

**ISSN 0130-7061**

**Index 76127**

# **მეცნიერება და ტექნოლოგია**

**სამეცნიერო რევიურირებადი ჟურნალი**

**SCIENCE AND TECHNOLOGIES**

**SCIENTIFIC REVIEWED MAGAZINE**

**НАУКА И ТЕХНОЛОГИИ**

**НАУЧНЫЙ РЕФЕРИРУЕМЫЙ ЖУРНАЛ**

**№3(729)**

**თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ**

**2018**

გამოდის 1949 წლის  
იანვრიდან,  
განახლდა 2013 წელს.

ମହାତ୍ମାଗାନ୍ଧୀ ଏବଂ  
ତଥିକରଣଲୋକଦିବସି

№3(729), 2018 №.

## **CONSTITUENTS:**

Georgian National Academy of Sciences  
Georgian Technical University  
Georgian Engineering Academy  
Georgian Academy of Agricultural Sciences  
Georgian Society for the History of Science

**ଭାଷ୍ଯମେଳିବା:**  
ସାକ୍ଷାରତଗ୍ରେହଣ ମେଂକିନ୍ଯୁର୍ବାତା ଜ୍ଞାନପୁରୀ ଦେଶମାନ  
ସାକ୍ଷାରତଗ୍ରେହଣ ମେଂକିନ୍ଯୁର୍ବାତା ଜ୍ଞାନପୁରୀ ଦେଶମାନ  
ସାକ୍ଷାରତଗ୍ରେହଣ ମେଂକିନ୍ଯୁର୍ବାତା ଜ୍ଞାନପୁରୀ ଦେଶମାନ  
ସାକ୍ଷାରତଗ୍ରେହଣ ମେଂକିନ୍ଯୁର୍ବାତା ଜ୍ଞାନପୁରୀ ଦେଶମାନ  
ସାକ୍ଷାରତଗ୍ରେହଣ ମେଂକିନ୍ଯୁର୍ବାତା ଜ୍ଞାନପୁରୀ ଦେଶମାନ

## **УЧРЕДИТЕЛИ:**

Национальная академия наук Грузии  
Грузинский технический университет  
Инженерная академия Грузии  
Академия сельскохозяйственных наук Грузии  
Грузинское общество истории наук

სარედაქციო კოლეგია:

ა. ფრანგიშვილი (თავმჯდომარე), ი. გორგიძე (თავმჯდომარის მოადგილე), ჟ. ნაჭეუბია (თავმჯდომარის მოადგილე), რ. ჩიქოვანი (თავმჯდომარის მოადგილე), გ. აბდუშელიძე შვილი, ა. აბშილავა, გ. არაბიძე, რ. არველაძე, რ. ბაბაიანი (რუსთი), ხ. ბაღათურია, თ. ბაციკაძე, გ. ბიბილიძე შვილი, ვ. ბურჯოვი (რუსთი), გ. გაგარდაშვილი, ზ. გახიტაშვილი, ო. გელაშვილი, ალ. გრიგოლიშვილი, დ. გურგებიძე, ბ. გუსევი (რუსთი), ი. ელიშავარგი (აშშ), გ. ვარშალომიძე, ს. ვასილიევი (რუსთი), მ. ზბუროვსკი (უკრინია), ო. ზუმბერიძე, ჰ. ზუნგარი (აგსტრია), დ. თაგხელიძე, ა. თოწოტიშვილი, ზ. კაპულია, ვ. კვარაცხელია, გ. კერისტაძე, ლ. კლიმიძაშვილი, ფ. კრაიდო (ესაბენთი), მ. კუხალიძე შვილი, რ. ლალიშვილი (აშშ), ჯ. ლილიძე, ხ. მახინაძე დეკანოზო, მ. მაცაცერიძე, ც. მატვეევი (რუსთი), ჰ. მექაძე, კ. მექმარიაშვილი, გ. მითიაშვილი, რ. ნათოშვილი, ც. ნამინიშვილი, დ. ნოვიკოვი (რუსთი), ს. პეტროლო (იტალია), რ. ქინეგიშიუსი (ლიბერ), პ. შუკოვსკი (რუსთი), პ. რიხი (იტალია), მ. სალუქეაძე, ფ. სიარლე (საფრანგეთი), რ. სტურუა, თ. სულაბერიძე, ფ. უნგერი (აგსტრია), ა. ფაშავევი (აზერბაიჯანი), ხ. ფავლაშვილი, ა. ჩხეიძე, გ. ცინცაძე, თ. ცინცაძე, ხ. წერეთელი, ზ. წვერაძე, გ. ხუმულური, თ. ჯაგორიძე შვილი, გ. ჯაგაბაძე, მიტროპოლიტი ა. ჯაფარიშვილი, გ. ჯერენგიაშვილი, მ. ჯერენგიაშვილი, რ. ჩავარდენიშვილი (იტალია).

## **EDITORIAL BOARD:**

A. Prangishvili (chairman), I. Gorgidze (vice-chairman), Sh. Nachkebia (vice-chairman), R. Chikovani (vice-chairman), G. Abdushelishvili, A. Abshilava, G. Arabidze, R. Arveladze, R. Babaian (Russia), N. Bagaturia, T. Batsikadze, G. Bibileishvili, V. Burkov (Russia), A. Chkheidze, P. Ciarlet (France), I. Elishakov (USA), Z. Gasitashvili, G. Gavardashvili, O. Gelashvili, G. Giugiaro (Italy), Al. Grigolishvili, D. Gurgenidze, B. Gusev (Russia), T. Jagodnishvili, Metropolitan A. Japaridze, G. Javakhadze, G. Jerenashvili, Z. Kakulia, N. Kavlashvili, G. Khubuluri, L. Klimiashvili, F. Kriado (Spain), M. Kukhaleishvili, V. Kvaratskhelia, G. Kvesitadze, J. Laitman (USA), R. Lazarov (USA), Z. Lomsadze, N. Makhviladze, Archpriest L. Mateshvili, M. Matsaberidze, V. Matveev (Russia), E. Medzmariaishvili, H. Meladze, G. Miqiaishvili, O. Namicheishvili, O. Natishvili, D. Novikov (Russia), A. Pashaev (Azerbaijan), S. Pedrolo (Italy), P. Ricci (Italy), M. Salukvadze, R. Sturua, T. Sulaberidze, H. Sunkel (Austria), D. Tavkhelidze, A. Topchishvili, G. Tsintsadze, T. Tsintsadze, N. Tzereteli, Z. Tzveraidze, F. Unger (Austria), G. Varshalomidze, S. Vasilev (Russia), M. Zgurovski (Ukraine), R. Zhinevichius (Lithuania), V. Zhukovski (Russia), O. Zumburidze.

## **РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

А. Прангишвили (председатель), И. Горгидзе (зам. председателя), Ш. Начкебия (зам. председателя), Р. Чиковани (зам. председателя), Г. Абдушлишвили, А. Абшилава, Г. Арабидзе, Р. Арвеладзе, Р. Бабаян (Россия), Н. Багатуриа, Т. Бацикадзе, Г. Бибилишвили, В. Бурков (Россия), Г. Варшаломидзе, С. Васильев (Россия), Г. Гавардашвили, З. Гаситашвили, О. Гелашивили, Ал. Григолишвили, Д. Гургенидзе, Б. Гусев (Россия), Г. Джавахадзе, Т. Джагоднишвили, Митрополит А. Джапаридзе, Г. Джеренашвили, Дж. Джуджаро (Италия), И. Елишаков (США), Р. Жиневичус (Литва), В. Жуковский (Россия), М. Згуровский (Украина), О. Зумбуридзе, Х. Зункел (Австрия), Н. Кавлашвили, З. Какулия, В. Кварацхелия, Г. Квеситадзе, Л. Климиашвили, Ф. Криадо (Испания), М. Кухалеишвили, Р. Лазаров (США), Дж. Лайтман (США), З. Ломсадзе, В. Матвеев (Россия), Протоиерей Л. Матешвили, Н. Махвиладзе, М. Мацаберидзе, Э. Медзмариашвили, Г. Меладзе, Г. Микиашвили, О. Намичишвили, О. Натишвили, Д. Новиков (Россия), С. Петроло (Италия), З. Ричи (Италия), М. Салуквадзе, Ф. Сиарле (Франция), Р. Стуруа, Т. Сулаберидзе, Д. Тавхелидзе, А. Топчишвили, Ф. Унгер (Австрия), А. Фашаев (Азербайджан), Г. Хубулури, З. Цвераидзе, Н. Церетели, Г. Цинцадзе, Т. Цинцадзе, А. Чхеидзе.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2018  
Publishing House “Technical University”, 2018  
Издательский дом “Технический Университет”, 2018  
<http://www.publishhouse.gtu.ge>



# შინაარსი

## სეისმური შეაცრობება

გ. გაბრიჩიძე. კაცობრიობა ეძებს მიზის მიზისაბან დაცვის ახალ გზებს ..... 9

## მპოლოგია

ა. მიქაბერიძე, გ. გვახარია, ტ. ადამია, გ. ჟორჟოლიანი. ქ. თბილისის საბჭროალოს  
რაიონის შალვა ნუცემიძის, სიმონ კანდელაკის, გუდაკეშტისა და გურამ ვანჭიძიძის  
ქართველის სატრანსპორტო ხმაურით დაბინძურების ხარისხის შეფასება ..... 18

## შეიძლებილობია

ნ. ალექსიძე. სარპისებრი ნეირონები და მათი როლი ახალმოგილების ფსიქომოციურ  
ცორისირებაში ..... 27

## სამყალისო მიპროგილობია

გ. გოგიჩაძე, ქ. მისაბიშვილი, ც. ერაძე ლენტი- და საუმავირუსების შესაძლო  
ონკოგენერი კოტენციალის შესახებ ..... 35

## ენერგეტიკა

ნ. არაბიძე, ს. მინდიაშვილი, ი. ფოფხაძე. ბირთვული ენერგეტიკის პრსაქტიკა  
საქართველოში ..... 39

## ეეტალურებია

ს. მებონია, დ. გვენცაძე, ა. შერმაზანაშვილი. ცილინდრული ნამზადის რადიალური  
მოჭიმვის პროცესში დეფორმაციების და ძაბვების კვლევა ..... 47

## მიმღები ტექნოლოგია

მ. სირაძე, ი. ბერძენიშვილი, ს. ძნელაძე, თ. შურდაია, ნ. გოზალიშვილი. მზეშემზირას  
ჩენერის გავლენა წარმოებული ზეთის ხარისხზე ..... 57  
მ. სირაძე, ი. ბერძენიშვილი, ს. ძნელაძე, ნ. გოზალიშვილი. მზეშემზირას 030სებები  
სიმღიმისა და შენახვის სხვადასხვა სტადიაზე ..... 65

## რკინიგზის ტრანსპორტი

ბ. დიდებაშვილი, მ. ჩალაძე, ტ. კოტრიკაძე, გ. ვაშაკიძე. შუალედური სადგურების  
სასარგებლო სიბრძის დაბრძელება რკინიგზის სიმძლავრისა და მატარებელია  
მოძრაობის სიჩქარის გაზრდის მიზნით ..... 70

**ნ. მუხიგულაშვილი, მ. ჩალაძე, ბ. დიდებაშვილი, მ. გრიგორაშვილი. მიკროპროცესორული  
გადასცლის სიმძლივაციის ავტომატური ტექნიკური მომსახურების ორგანიზება.....75**

#### **კვების ტექნოლოგია**

**გ. კაიშაური. ბაზმთა კვების აროდუელტენის რეცეპტურის შემუშავება დაბალანსებაშედების ვორმულის მოთხოვნების გათვალისწინებით .....80**  
**ნ. ბალათურია, ნ. ბეგიაშვილი, მ. ლოლაძე, ლ. უჯმაჯურიძე, დ. ჩიჩუა. ალკოჰოლური  
დუღილი ნახშირორქანბის მაღალი წნევისა და ვაკუუმის პირობებში .....87**  
**გ. კაიშაური, მ. ლირსიაშვილი. მოცხარის სახეების შედარებითი დახასიათება.....95**

#### **სპორტი**

**ე. მაჩაიძე. ჭიდაობის მაქოს ტესტირების მეთოდოლოგიური საფუძვლები .....103**

**ავტორთა საშუალებები .....110**

# CONTENTS

## SEISMIC SAFETY

|  |   |
|--|---|
| <b>G. Gabrichidze.</b> THE MANKIND LOOKS FOR NEW WAYS OF PROTECTION AGAINST EARTHQUAKES..... | 9 |
|--|---|

## ECOLOGY

|   |    |
|---|----|
| <b>A. Mikaberidze, V. Gvakharia, T. Adamia, G. Zhorzholiani.</b> ASSESSMENT OF THE STATE OF NOISE POLLUTION BY MOTOR TRANSPORT IN ROAD AREAS ADJASENT TO SHALVA NUTSUBIDZE, SIMON KANDELAKI, BUDAPEST AND GURAM PANJIKIDZE STREETS OF SABURTALO DIISTRICK OF TBILISI..... | 18 |
|---|----|

## PSYCHOBIOLOGY

|   |    |
|---|----|
| <b>N. Alekisdze.</b> MIRROR NEURONS AND THEIR ROLE IN THE PSYCHO-EMOTIONAL FORMATION OF NEW-BORNS ..... | 27 |
|---|----|

## MEDICAL MICROBIOLOGY

|   |    |
|---|----|
| <b>G. Gogichadze, E. Misabishvili, Ts. Eradze.</b> ON THE POSSIBLE ONCOGENIC POTENTIAL OF LENTI- AND SPUMAVIRUSES ..... | 35 |
|---|----|

## ENERGETICS

|   |    |
|---|----|
| <b>N. Arabidze, S. Mindiashvili, I. Popkhadze.</b> PERSPECTIVE OF NUCLEAR ENERGY IN GEORGIA ..... | 39 |
|---|----|

## METALLURGY

|  |    |
|--|----|
| <b>S. Mebonia, D. Gventsadze, A. Shermazanashvili.</b> EXPERIMENTAL STUDY OF DEFORMATIONS AND STRESSES IN THE PROCESS OF RADIAL FORGING OF CYLINDRICAL BILLETS ..... | 47 |
|--|----|

## CHEMICAL TECHNOLOGY

|   |    |
|---|----|
| <b>M. Siradze, I. Berdzenishvili, S. Dzneladze, T. Shurgaya, N. Gozalishvili.</b> EFFECT OF SUNFLOWER SEED SHELL ON THE MAJOR COMPONENTS OF EXTRACTED OIL ..... | 57 |
| <b>M. Siradze, I. Berdzenishvili, S. Dzneladze, N. Gozalishvili.</b> SUNFLOWER PROPERTIES AT DIFFERENT STAGES OF MATURITY AND STORAGE .....                     | 65 |

## RAILWAY TRANSPORT

|   |  |
|---|--|
| <b>B. Didebashvili, M. Chaladze, T. Kotrikadze, V. Vashakidze.</b> EXTENSION OF INTERMEDIATE STATIONS USEFUL LENGTH IN ORDER TO INCREASE THE RAILWAY CAPABILITY AND TRAIN |  |
|---|--|

|  |     |
|--|-----|
| MOVEMENT SPEED.....  | 70  |
| <b>N. Mukhigulashvili, M. Chaladze, B. Didebashvili, M. Grigorashvili.</b> ORGANIZATION OF AUTOMATIC MAINTENANCE OF THE MICROPROCESSORS CROSSING SIGNALIZATION ..... | 75  |
| <br><b>FOOD TECHNOLOGY</b>   |     |
| <b>G. Kaishauri.</b> DEVELOPMENT OF COMPOUNDING OF PRODUCTS OF KID'S FOOD TAKING INTO ACCOUNT THE REQUIREMENTS OF THE FORMULA OF THE BALANCED DELIVERY .....         | 80  |
| <b>N. Bagaturia, N. Begiashvili, M. Loladze, L.Ujmajuridze, D. Chichua.</b> ALCOHOLIC FERMENTATION UNDER HIGH PRESSURE OF CARBON DIOXIDE AND VACUUM CONDITIONS ..... | 87  |
| <b>G. Kaishauri, M. Ghirsashvili.</b> COMPARATIVE CHARACTERISTIC OF TYPES OF CURRANT .....   | 95  |
| <br><b>SPORT</b>   |     |
| <b>E. Machaidze.</b> METHODOLOGICAL DEVELOPMENT OF WRESTLING SHUTTLE TEST.....   | 103 |
| <b>TO THE AUTHORS ATTENTION .....</b>  | 110 |

# **СОДЕРЖАНИЕ**

## **СЕЙСМИЧЕСКАЯ БЕЗОПАСНОСТЬ**

**Г. К. Габричидзе.** ЧЕЛОВЕЧЕСТВО ИЩЕТ НОВЫЕ ПУТИ ЗАЩИТЫ ОТ ЗЕМЛЕТРЯСЕНИЯ .....9

## **ЭКОЛОГИЯ**

**А. А. Микаберидзе, В. Г. Гвахария, Т. А. Адамия, Г. Б. Жоржолиани.** ОЦЕНКА СОСТОЯНИЯ ШУМОВОГО ЗАГРЯЗНЕНИЯ АВТОМОБИЛЬНЫМ ТРАНСПОРТОМ ТЕРРИТОРИЙ, ПРИЛЕГАЮЩИХ К УЛИЦАМ ШАЛВЫ НУЦУБИДЗЕ, СИМОНА КАНДЕЛАКИ, БУДАПЕШТСКОЙ, ГУРАМА ПАНДЖИКИДЗЕ САБУРТАЛИНСКОГО РАЙОНА Г. ТБИЛИСИ....18

## **ПСИХОБИОЛОГИЯ**

**Н. Г. Алексидзе.** ЗЕРКАЛЬНЫЕ НЕЙРОНЫ И ИХ РОЛЬ В ПСИХОЭМОЦИОНАЛЬНОМ ФОРМИРОВАНИИ НОВОРОЖДЕННЫХ.....27

## **МЕДИЦИНСКАЯ МИКРОБИОЛОГИЯ**

**Г.К. Гогичадзе, Е.В. Мисабишвили, Ц. Ш. Эрадзе.** ВОЗМОЖНЫЙ ОНКОГЕННЫЙ ПОТЕНЦИАЛ ЛЕНТИ- И СПУМАВИРУСОВ .....35

## **ЭНЕРГЕТИКА**

**Н. Г. Арабидзе, С.Т. Миндиашвили, И. Т. Попхадзе.** ПЕРСПЕКТИВА ЯДЕРНОЙ ЭНЕРГЕТИКИ В ГРУЗИИ .....39

## **МЕТАЛЛУРГИЯ**

**С. А. Мебония, Д. А. Гвенцадзе, А. Г. Шермазанашвили.** ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ДЕФОРМАЦИЙ И НАПРЯЖЕНИЙ В ПРОЦЕССЕ РАДИАЛЬНОГО ОБЖАТИЯ ЦИЛИНДРИЧЕСКИХ ЗАГОТОВОВОК.....47

## **ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ**

**М. Г. Сирадзе, И. Г. Бердзенишвили, С. Дж. Дзнеладзе, Т. А. Шургая, Н. И. Гозалишвили.** ВЛИЯНИЕ СЕМЕННОЙ ОБОЛОЧКИ ПОДСОЛНЕЧНИКА НА КАЧЕСТВО ПРОИЗВОДИМОГО МАСЛА .....57

**М. Г. Сирадзе, И. Г. Бердзенишвили, С. Дж. Дзнеладзе, Н. И. Гозалишвили.** СВОЙСТВА ПОДСОЛНЕЧНИКА НА РАЗНЫХ СТАДИЯХ СОЗРЕВАНИЯ И ХРАНЕНИЯ .....65

## **ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫЙ ТРАНСПОРТ**

|   |    |
|---|----|
| <b>Б. Ш. Дидебашвили, М. И. Чаладзе, Т. И. Котригадзе, В. Р. Вашакидзе.</b> УДЛИНЕНИЕ ПОЛЕЗНОЙ ДЛИНЫ ПРОМЕЖУТОЧНЫХ СТАНЦИЙ ДЛЯ ЖЕЛЕЗНОДОРОЖНОЙ МОЩНОСТИ И УВЕЛИЧЕНИЯ СКОРОСТИ ПОЕЗДОВ ..... | 70 |
| <b>Н. И. Мухигулашвили, М. И. Чаладзе, Б. Ш. Дидебашвили, М. Т. Григорашвили.</b> ОРГАНИЗАЦИЯ ТЕХНИЧЕСКОГО ОБСЛУЖИВАНИЯ МИКРОПРОЦЕССОРНОЙ ПЕРЕЕЗДНОЙ АВТОМАТИЧЕСКОЙ СИГНАЛИЗАЦИИ.....       | 75 |

## **ПИЩЕВАЯ ТЕХНОЛОГИЯ**

|  |    |
|--|----|
| <b>Г. Н. Кайшаури.</b> РАЗРАБОТКА РЕЦЕПТУР ПРОДУКТОВ ДЕТСКОГО ПИТАНИЯ С УЧЕТОМ ТРЕБОВАНИЙ ФОРМУЛЫ СБАЛАНСИРОВАННОГО ПИТАНИЯ .....  | 80 |
| <b>Н. Ш. Багатурия, Н. А. Бегиашвили, М. Т. Лоладзе, Л. М . Уджмаджурдзе, Д. Т. Чичуа.</b> АЛКОГОЛЬНОЕ БРОЖЕНИЕ ПОД ВЫСОКИМ ДАВЛЕНИЕМ УГЛЕКИСЛОГО ГАЗА И В УСЛОВИЯХ ВАКУУМА..... | 87 |
| <b>Г. Н. Кайшаури, М. Р. Гирсиашвили.</b> СРАВНИТЕЛЬНАЯ ХАРАКТЕРИСТИКА ВИДОВ СМОРОДИНЫ .....   | 95 |

## **СПОРТ**

|   |     |
|---|-----|
| <b>Э. П. Мачайдзе.</b> МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ТЕСТИРОВАНИЯ ЧЕЛНОЧНОЙ БОРЬБЫ..... | 103 |
| <b>К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ .....</b>   | 110 |

## პაცობრიობა ემებს მიზისმავრისაგან დაცვის ახალ გზებს

### გურამ გაბრიჩიძე

(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია)

**რეზიუმე:** კაცობრიობა აღიარებს, რომ დედამიწის მნიშვნელოვანი ტერიტორიის, მასზე განლაგებული ქალაქებისა და სხვა ფასეულობების სეისმურ უსაფრთხოებას საქმარისად ვერ უზრუნველყოფს არსებული სეისმომედეგი მშენებლობის კონცეფცია და შესაბამისი ნორმატიული ბაზა, ამიტომ სეისმური საფრთხის შესამცირებლად საჭიროა დამატებითი შესაძლებლობების ძიება. ასეთ შესაძლებლობად კაცობრიობას დღეს მიაჩნია მიწისძვრის მოკლევა-დიანი პროგნოზისა და ადრეული შეტყობინების სისტემის დამუშავება.


ამ მიმართულებით მსოფლიოში მიმდინარეობს ინტენსიური პროცესი, რამაც შეიძლება კარდინალურად შეცვალოს სეისმომედეგი მშენებლობის, ადამიანთა და მატერიალური ფასეულობების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპები, მაგრამ არის იმის საშიშროებაც, რომ ამან შექმნას არაპროგნოზირებადი სიტუაცია და კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია კვლევების გაგრძელება სხვა მიმართულებითაც; სახელდობრ, უნდა ამაღლდეს სეისმომედეგი მშენებლობის კონცეფციისა და ნორმატიული ბაზის საიმედოობა და ამ პოზიციების გათვალისწინებით გაგრძელდეს მუშაობა ორი მიმართულებით: ა) აშენდეს ახალი, საიმედო შენობა-ნაგებობები და ბ) დაინგრეს ან გამაგრდეს არსებული არასაიმედო ნაგებობები.

**საკვანძო სიტყვები:** არასაიმედო შენობები; მიწისძვრა; სეისმომედეგობა; სეისმური უსაფრთხოება; წინასწარი შეტყობინება.

### შესავალი

სეისმომედეგი მშენებლობის კონცეფციის განვითარების მოკლე ისტორია. სეისმურად აქტიური რეგიონები, სადაც რამდენიმე მილიარდი ადამიანი სახლობს, დედამიწის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. 1-ლ ნახ-ზე წარმოდგენილია სეისმური საშიშროების გლობალური რუგა, რომელზეც თეთრადაა შეფერილი არასეისმური რეგიონები. სეისმურად აქტიურ რეგიონში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი რაღაც ხერხებით ცდილობდა ამ ვერაგი სტიქისაგან თავდაცვას. როცა მიწისძვრამ მისი საცხოვრისი დაანგრია, მან მომხდარის გათვალისწინებით და გარკვეული წესების დაცვით სცადა ახლის აშენება. მაგრამ შემდეგ უფრო ძლიერმა მიწისძვრამ ისიც დაანგრია ან დააზიანა და საჭირო იყო შედარებით უფრო მაგარი სახლის აშენების წესის შემუშავება. ასე გრძელდებოდა საუგუნეების განმავლობაში.



ნახ. 1. სეისმური საშიშროების გლობალური რუკა

რაც შეეხება მიზანმიმართულ, გააზრებულ ანტისეისმურ მშენებლობას, მის დასაწყისად შეიძლება XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი მივიჩნიოთ. ამ დროისათვის კაცობრიობამ ინტენსიურად აითვისა სეისმურად აქტიური რეგიონები, გაშენდა მრავალი დიდი ქალაქი, გამრავლდა მოსახლეობა. სეისმურად აქტიურ რეგიონებში განლაგებულ ქვეყნებში გაჩნდა სეისმომედუგი მშენებლობის პირველი ნორმები.


სეისმომედუგი მშენებლობის იდეოლოგიამაც რამდენიმე ეტაპი გაიარა, ვიღრე დღევანდელ კონცეფციას ჩამოაყალიბებდა.

### ძირითადი ნაწილი

**სეისმური საფრთხის დეტერმინისტული შეფასება.** თავდაპირველად ადამიანი მომხდარ მიწისძვრაზე უშუალო რეაგირებას ახდენდა – აყალიბებდა წესებს, თუ როგორ აქტინია სახლი, რომელიც გაუძლებდა მომხდარის მსგავს მიწისძვრას, ანუ ქმნიდა სეისმომედეგობის კონცეფციას და მიწისძვრის მოხდენის შესაძლებლობას აფასებდა დეტერმინისტულად – ამ ტერიტორიაზე რაც მოხდა, ისევ ის მოხდება.

სეისმომედუგი მშენებლობის პირველი ნორმები დამუშავდა იაპონიაში (ომირი, მონონბა), რომლებშიც შემოთავაზებული იყო ნაგებობათა გაანგარიშების კ. წ. სტატიკური თეორია.

1929 წელს საქართველოში დამუშავდა მსოფლიოში პირველი ნორმები [1], რომლებშიც ჩამოყალიბებული იყო შენობათა გაანგარიშების დინამიკური თეორია. ეს თეორია დღესაც წარმოადგენს სეისმურ ზემოქმედებაზე ნაგებობათა გაანგარიშების საფუძველს. მის ავტორად აღიარებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პ. ზავრიევი. ამ ნორმებში ბევრი საინტერესო მოსაზრებაა შეტანილი; ერთ-ერთია, მაგალითად, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამოყოფილი ზონები, რომლებზედაც მითითებულია მომხდარი მიწისძვრების ინტენსიურობა. მე-2 ნახ-ზე ნაჩვენებია 6-, 7-, 8- და 9-ბალიანი ზონები.



ნახ. 2. ამიერკავკასიის რესპუბლიკების სეისმური რეგიონები

9-ბალიანი მიწისძვრის შედეგი, მაკროსეისმური (ე. წ. მერკალი-კანკანის) სკალის მიხედვით, ასეა აღწერილი: „ტერიტორიული განლაგებული ნაგებობებიდან ზოგიერთი სრულად ან ნაწილობრივ დაინგრა, ბევრი ნაგებობა სერიოზული დაზიანებების გამო საცხოვრებლად აღარ გამოდგება. არის მსხვერპლი, დაჭრილები და გარდაცვლილები“ (აქ, რასაკვირველია, იგულისხმება სეისმური ზემოქმედების გათვალისწინების გარეშე აგებული მცირესართულიანი სახლები). 9-ბალიანი მიწისძვრისას შენობების დაუზიანებელი მდგომარეობის უზრუნველყოფად ნორმები გვთავაზობს მათ გაანგარიშებას დედამიწის ზედაპირზე სეისმური ტალღების გავლის 0,1 გ აჩქარებაზე (ე. არის თავისუფალი ვარდნის აჩქარება).


თბილისი მიკუთხნებულია 6-ბალიან ზონას და დამატებითი სეისმური ზემოქმედების გათვალისწინება არ არის ნავარაუდევი.

**სეისმური საფრთხის ალბათური შეფასება, რისკის ცნება.** დროთა განმავლობაში მიწისძვრის მოხდენის ალბათური ბუნება შეიცნო ადამიანმა – მიწისძვრა მოხდა იქ, სადაც არ მომხდარა, თანაც იმაზე მეტი სიძლიერისა, ვიდრე ადრე იყო (საერთოდ, სუსტი მიწისძვრა უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ძლიერი). ეს ვთარება სეისმოლოგებმა უკვე XX საუკუნის 50-იანი წლებისათვის დააფიქსირებს. ამ პერიოდიდან სეისმოლოგები ცდილობენ იმის პროგნოზირებას, თუ რა ინტენსიურობის მიწისძვრა შეიძლება მოხდეს ამა თუ იმ ტერიტორიაზე დროის გარკვეულ პერიოდში.

მე-3 ნახ-ზე ნაჩვენებია საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების ალბათური რუკების კომპლექტი, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს მთავრობის დაკვეთით დაამუშავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ [2].

ამ კომპლექტის ერთ-ერთი რუკა (სახელდორ, 2 %-იანი რუკა) მოდიფიცირებული სახით დართული აქვს საქართველოში 2009 წლიდან მოქმედ ოფიციალურ ნორმებს, „სეისმომედეგ შშენებლობას“ (პნ. 01.01.2009), რომელიც დამტეშავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კავრიელის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტმა.

ამ რუკების მიხედვით სეისმოლოგები გვატყობინებენ, რომ საქართველოს ტერიტორიის ამა თუ იმ უბანზე 50-წლიან პერიოდში აღბათობის რა პროცენტით (1, 2, 5 %-ით) არის მოსალოდნელი 6-, 7-, 8- და 9-ბალიანი მიწისძვრები და გვაწვდიან მათი შესაბამისი სეისმური ტალღის გავრცელების აჩქარებების სიდიდეებს.



ნახ. 3. საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური დარაიონების აღბათური რუკები

წარმოდგენილი რუკებიდან კარგად ჩანს, რომ ზოგიერთ ტერიტორიაზე სხვადასხვა სიძლიერის მიწისძვრა მოსალოდნელი. მაგალითად, თელავი (ელექტრონული ვერსიის მიხედვით) ლურჯი ზონიდან გადადის ჯერ ყვითელ, შემდეგ კი წითელ ზონაში, ანუ სხვადასხვა აღბათობით აქ მოსალოდნელია 0,2, 0,3 და 0,4 g აჩქარების სეისმური ტალღები.

როგორ უნდა გავითვალისწინოთ მიწისძვრის მოხდენის აღბათობა? იმ შემთხვევაში, თუ შენობა აღიჭურვა ჭარბი ანტისეისმური ღონისძიებებით და მიწისძვრა არ მოხდა, ზარალია და, პირიქით, თუ შენობა სუსტად აღიჭურვა და მიწისძვრამ იგი დააზიანა ან დაან-

გრია, ესეც ზარალია. სწორედ ამ აღბათური სიტუაციის გათვალისწინება დაიწყეს მეცნიერებმა. სეისმური რისკის ცნება თეორიულ საფუძვლად დაედო სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგიას, რომელიც სხვადასხვა დოზით რეალიზებული იყო საერთაშორისო (ISO), ევროპული (EN) და ცალკეული ქვეყნების სამშენებლო ნორმებში.

ნაგებობის ექსპლუატაციის ვადის, კონკრეტულ ტერიტორიაზე სხვადასხვა სიძლიერის მიწისძვრების მოხდენის აღბათობისა და მოსალოდნელი ზარალის მიხედვით მეცნიერებმა დაადგინეს გარკვეული ოპტიმალური კრიტერიუმები, ე. წ. „საანგარიშო მიწისძვრა“ (design earthquake).

ეს არ არის აღნიშნული ტერიტორიისათვის მოსალოდნელი არც მინიმალური და არც მაქსიმალური ინტენსიურობის მიწისძვრა. საანგარიშო ინტენსიურობის მიწისძვრისას ნაგებობა არ უნდა დაზიანდეს, მაგრამ, თუ საანგარიშოზე უფრო ძლიერი მიწისძვრა მოხდება, ნაგებობის რაღაც ნაწილი უნდა დაზიანდეს, უფრო ძლიერი მიწისძვრისას, ნაგებობა კიდევ უფრო მეტად უნდა დაზიანდეს და ა. შ.

სეისმომედეგი მშენებლობის კონცეფციის ამ მოთხოვნაზე რეაგირება XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისისათვის სულ სხვადასხვანაირად ხდებოდა.

**ნაგებობათა ქცევის შეფასება ძლიერი მიწისძვრისას.** მიწისძვრის დროს ნაგებობათა ქცევის შეფასება XX საუკუნის ბოლომდე ე. წ. ნიუმარკის პოსტულატიონით ხორციელდებოდა. ნიუმარკის პოსტულატიონის მიზნების ნაგებობის ტექნიკური პარამეტრების შერჩევას (სართულების სიმაღლე, კედლების სისქე, მასალის სიმტკიცე და სხვ.) ამ რეგიონისათვის მოსალოდნელი საანგარიშო მიწისძვრის გათვალისწინებით. მაგალითად, იქ, სადაც უკვე მოხდა 9-ბალიანი მიწისძვრა, ახლად ასაშენებელი შენობის ტექნიკური პარამეტრების შერჩევა ფაქტორივად ხდებოდა 7 ბალზე. ამ უბრივისათვის მოსალოდნელი „უფრო ძლიერი“ (8-ან 9-ბალიანი) მიწისძვრისას შენობა უნდა დაზიანებულიყო, მაგრამ არ უნდა დანგრეულიყო, რასაც მოახერხებდა თავისი შიგა რესურსებით, თუ მასში განხორციელებული იქნებოდა გარკვეული კონსტრუქციული დონისძიებები. ყოფილი საბჭოთა კავშირის ნორმებში ე. წ. რედუქციის ფუნქციას ასრულებდა K<sub>1</sub> კოეფიციენტი.

ის, რომ შენობა უნდა დაზიანებულიყო საანგარიშოზე უფრო ძლიერი მიწისძვრისას, ამას სეისმური რისკის მოთხოვნებზე დაფუძნებული სეისმომედეგი მშენებლობის კონცეფციიაც დეკლარირებდა, მაგრამ ნორმები არ თვალისწინებდა იმის დადგენას, თუ რა სახის დაზიანებებს მიიღებდა ასეთი შენობა საანგარიშოზე ძლიერი მიწისძვრისას.

XX საუკუნის მიწურულს შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა იმ პერიოდში მთელ მსოფლიოში მომხდარი მიწისძვრების შედეგები, რისთვისაც სპეციალური მრავალწლიანი კვლევებიც ჩატარდა.

დღეს უკვე საყოველთაოდაა აღიარებული, რომ სეისმომედეგი მშენებლობის პრაქტიკა, რომელიც ემყარებოდა სეისმომედეგი მშენებლობის პრინციპებს, თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში (ნიუმარკის მიღებობა) ვერ გაუძლო დროის გამოცდას – ამ პრინციპებით დაპროექტებული შენობები საანგარიშოზე უფრო ძლიერი მიწისძვრებისას ზედმეტად ზიანდებოდა, ინგრეოდა, დიდი იყო მატერიალური ზარალი და, რაც მთავარია, მაღალი იყო ადამიანური მსხვერპლი.

ეს იმას ნიშანავს, რომ XX საუკუნეში მთელი მსოფლიოს სეისმურ და აქტიურ რეგიონებში აშენებული კოლოსალური რაოდენობის სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების სამედო ქცევა ამ რეგიონებში მოსალოდნელ საანგარიშოზე უფრო ძლიერი მიწისძვრებისას არ არის გარანტირებული.

ეს არის რეალური სინამდვილე და ტრაგიკული გლობალური შედეგი სეისმომედეგი მშენებლობის კონცეფციაში ჩადებული სეისმური რისკის არასწორი შეფასებისა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე უცვლელია.

**XXI საუკუნე ნიუმარჯის პოსტულატის გარეშე.** XX საუკუნის მიწურულისათვის ჩამოყალიბდა სეისმომედეგი მშენებლობის ახალი კონცეფცია, რომლის დეკლარირებული მიზანია სეისმომედეგი მშენებლობის საიმედობის გაზრდა.

სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგია კვლავ ითვალისწინებს მიწისძვრების მოხდების ალბათურ ბუნებას, მაგრამ ფაქტობრივად იგივე რჩება საანგარიშო მიწისძვრის სიღილის რეკომენდაცია (მთავარი აქცენტი გადატანილია ამ იდეოლოგიის მოთხოვნების რეალიზაციის შესაძლებლობებზე).

ახალი მოთხოვნების მიხედვით, აუცილებელია გაანგარიშების გზით შესწავლილ იქნების რეალური ქცევა უველანირი მოსალოდნელი, მათ შორის საანგარიშოზე უფრო ძლიერი და დამანგრეველი მიწისძვრის დროს [3].

აქამდე მხოლოდ ნიუმარჯის მიდგომას იყენებდნენ. ახალი ნორმებით კი ზემოაღნიშნული მოთხოვნაა მთავარი. მისი განხორციელება შესაძლებლად მიაჩნიათ თანამედროვე გამოთვლითი მეთოდებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. ამასვე ითვალისწინებს გაეროს მიერ 2015 წელს დამტკიცებული ე.წ. სენდაის ჩარჩო-პროგრამა (UN Frame-Program for Disaster Risk Reduction, 2015–2030), რომელიც მსოფლიოში სხვადასხვა საფრთხის რისკის შემცირებას ემსახურება.

**კაცობრიობა სეისმური საფრთხის წინაშე.** სეისმური ზემოქმედებისას დაზიანებული, ნგრევის პირას მისული ნაგებობების მდგომარეობის დადგენა შეუძლებელია დღეს არსებული ცოდნის, გამოთვლითი მეთოდებისა და კომპიუტერული შესაძლებლობების არსებობის პირობებშიც კი [4–6].

მიწისძვრისას ნაგებობის დაზიანება დამოკიდებულია მასზე მოსულ ძაბვებზე, ხოლო ძაბვები – ნაგებობის დაზიანების მდგომარეობაზე. ეს ტავტოლოგია კარგად გამოხატავს აღნიშნული პრობლემის პრინციპულ სირთულეს, რომლის შესწავლას სჭირდება საკითხის განსხვავებული მეთოდოლოგიური განხილვა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სეისმომედეგი მშენებლობის ალბათური იდეოლოგიის მიერ გაცემული უსაფრთხოების გარანტიები მხოლოდ იღუზიად და მეტი არაფერი.

აქედან გამომდინარე, არც სეისმომედეგი მშენებლობის ნორმების გათვალისწინებით ნაგები შენობების უსაფრთხოებაა საანგარიშოზე ძლიერი მიწისძვრისას გარანტირებული.

ეს მოსაზრებები დასაბუთებულია წინამდებარე სტატიის ავტორის მონოგრაფიაში [5].

შეშფოთებული კაცობრიობა მიწისძვრებისაგან დაცვის ალტერნატიულ საშუალებებს ემებს. 2018 წელს, ევროპის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ფონდმა (Horizon 2020), გრანტით დასაფინანსებლად გამოაცხადა პროექტი „SC5-17–2018. Towards Operational Forecasting of Earthquake and Early Warning Capacities for More Resilient Societies“ (მიწისძვრის ოპერატორული წინასწარმეტყველება და ადრეული შეტყობინების შესაძლებლობები საზოგადოების მეტი დაცულობისათვის) [7], რომლის პრეამბულაში კვითხულობთ: „იმისათვეს, რომ დავეხმაროთ საზოგადოებას მიწისძვრებთან დაკავშირებული რისკის შემცირებაში, მას ესაჭიროება დამატებითი დაცვა იმასთან შედარებით, ვიდრე ამას უზრუნველყოფს სამშენებლო კოდები და აღდგენა-გაძლიერების ღონისძიებები“. ზემოაღნიშნული პროექტის მიზანია შეიქმნას რისკის შემცირების გამართული და რაციონალური გეგმა, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება დაბალი ალბათობის/ძლიერი ზემოქმედების შემთხვევების მართვა. მუდგრიდისციპლინარული კვლევების შედეგად შეიქმნება ახალი თაობის შეტყობინების სისტემა, რაც შეამცირებს მიწისძვრის ზემოქმედების ხარისხს საზოგადოებასა და ინფრასტრუქტურაზე.

ამ სისტემას შესაძლებლობა უქნება გააფრთხილოს მოსახლეობა მიწისძვრის შესახებ სეისმური რხევების დაწყებამდე. მოსახლეობა დროულად შეძლებს თავდაცვის ბუნებრივი ქმედების დაწყებას, რაც შეამცირებს მიწისძვრისას ადამიანურ და ეკონომიკურ დანაკარგებს.


ევროპას და მთელ მსოფლიოს აღარ სჯერა სეისმომედუგი მშენებლობის კონცეფციის აღიარებული ავტორიტეტებისა. ისინი არასაკმარისად თვლიან უსაფრთხოების გაცემულ გარანტიებს.

ასეთივე ჩვენებული შეფასებაც. ჩვენი აზრით, სეისმომედუგი მშენებლობის ვერც ძველი და ვერც მოქმედი ნორმები ვერ უზრუნველყოფს ნაგებობათა საიმედოობას ძლიერი მიწისძვრისას. დღეს უკვე მსოფლიოს შეხედულებების მოშველიებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ სეისმური რისკის არასწორი შეფასების შედეგად მსოფლიოს მნიშვნელოვანი ტერიტორიები, სეისმურად აქტიურ რეგიონებში განთავსებული ქალაქები და სხვა ფასეულობები მაღალი სეისმური რისკის შემცველი ობიექტების სიმრავლეს წარმოადგენს, რომელიც დაუცველია ძლიერი მიწისძვრის მოხდენის შემთხვევაში.

მიწისძვრის მოკლევადიანი განგაშის ვირტუალური სურათი. მთელი მსოფლიო მიწისძვრების მოკლევადიან პროგნოზს მიიჩნევს გაზრდილი სეისმური რისკის შემცირების ალტერნატიულ მიმართულებად, რაც ბევრ პრობლემას ახლებულად აყენებს. ახალი მიდგომის არსის საილუსტრაციოდ გამოღვება იაპონიის დელეგაციის მიერ 2016 წლის იანვარში უნივერსიტეტის გამართულ კონფერენციაზე გავრცელებული სარეკლამო ბუკლეტის თავფურცელი (ნახ. 4), სადაც ადამიანები გაურბიან ყველაფერს – მიწისძვრის შედეგად გაჩენილი ცუნამის მაღალ ტალღებს, დაზიანებული შენობის ნანგრევებს, ხანძარს {8}.

საფრთხისაგან გარიდება არის ფაქტობრივად ახალი მიდგომის ძირითადი შესაძლებლობა, რაც მას არსებითად განასხვავებს იმ გარანტიებისაგან, რომლებსაც იძლევა საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პროგნოზირება და მათზე დაფუძნებული სეისმომედუგი მშენებლობის თანამედროვე ნორმები. ამ ნორმებს არასაკმარისად მიიჩნევს დაეჭვებული საზოგადოება.

იაპონელების სარეკლამო ბუკლეტზე წარმოდგენილ სურათზე ადამიანები მარტივად გაურბიან საფრთხეებს, მაგრამ, თუ იგივე ვითარებას წარმოვიდგნეთ ქალაქში ან მეგაპოლისში, სურათი ძალიან მძიმე, არაპროგნოზირებადი და ძნელად სამართავი შეიძლება აღმოჩნდეს; რასაც სერიოზული გააზრება და მომზადება სჭირდება.



ნახ. 4. 2016 წელს უნივერსიტეტის გამართულ კონფერენციაზე  
იაპონიის დელეგაციის მიერ გავრცელებული სარეკლამო ბუკლეტი

## **დასკვნა**

მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს ინტენსიური პროცესი მიწისძვრის მოკლევადიანი პროგნოზის მიმართულებით, რამაც შეიძლება ძირფესვიანად შეცვალოს სეისმომედეგი მშენებლობისა და ადამიანთა და მატერიალურ ფასეულობათა უსართხოების უზრუნველყოფის პრინციპები, ამიტომ აუცილებელია კვლევების გაგრძელება მეორე მიმართულებითაც. პირველ რიგში უნდა ამაღლდეს სეისმომედეგი მშენებლობის კონცეფციისა და ნორმატიული ბაზის საიმედოობა, რაც ითვალისწინებს ახალი, საიმედო, სეისმომედეგი შენობა-ნაგებობების მშენებლობას და დაზიანებული, არასაიმედო ნაგებობების დანგრევას ან გამაგრებას.

## **ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Технические условия проектирования и построики в сейсмических районах ЗСФСР гражданских и искусственных сооружений. Сейсмостойкость сооружений//Труды Закавказского института сооружений. Тифлис, 1931.
2. საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური დარაიონების რუკები (ზედ-90). მოკლე განხმარტებითი ბარათი, თბ., 1999.
3. Eurocode 8. Design of structures for earthquake resistance (EN 1998).
4. Габричидзе Г.К. Сейсмостойкое строительство на рубеже XXI века, уроки XX века, что дальше?//Сейсмостойкое строительство. Безопасность сооружений, №4, 2007.
5. გურამ გაბრიჩიძე. წესრიგი და უწესრიგობა (სამეცნიერო მონოგრაფია) თბ., 2014. - 80 გვ.
6. Some Thought on Permanent Risk in Earthquake Engineering Context, by Guram Gabrichidze. ICVRAM- ISUMA, University of Liverpool, UK. Second International Conference on Vulnerability and Risk Analysis and Management and Sixth International Symposium on Uncertainty Modeling and Analysis. ASCE Council on Disaster Risk Management. Monograph No. 9, 13-16 July, 2014.
7. European Research and Innovation Program HORIZON 2020.
8. UNISDR Science and Technology Conference. Mobilising science to implement the four priorities of Sendai Framework. Geneva, Switzerland , 27-29 January, 2016.

**THE MANKIND LOOKS FOR NEW WAYS OF PROTECTION AGAINST EARTHQUAKES**

**G. Gabrichidze**

(Georgian National Academy of Sciences)

**Resume:** Mankind acknowledges, that seismic safety of a vast majority of the earth, towns situated through it and other values are not adequately maintained by antiseismic construction concept and proper legal building codes. Additional efforts shoud be taken to reduce the threat. short-term earthquake prediction and the development of earthquake early warming systems are currently regarded, as this kind of efforts by the mankind. In this direction intensive process is under the way in the modern world, that can cardinally change the principles of earthquake engineering and safety of people and material assets, Nevertheless there is a threat of creating unpredictable situation, that can even result in devastating consecuences. Therfore, the adoption of measure in an other direction is also nessesery. The reliability of the concept and building codes should be enhanced and from this standpoint measures should be taken in two ways: to build new reliable building and to get rid of current unreliable ones.

Overtime vulnerable territories and infrastructure will stop being dangerous and seismic warning signal will be received quietly, it won't be necessary to run away.

**Key words:** earthquake; prediction; seismic stability; seismic safety; unreliable building.

**СЕЙСМИЧЕСКАЯ БЕЗОПАСНОСТЬ**

**ЧЕЛОВЕЧЕСТВО ИЩЕТ НОВЫЕ ПУТИ ЗАЩИТЫ ОТ ЗЕМЛЕТРЯСЕНИЯ**

**Габричидзе Г. К.**

(Национальная Академия Наук Грузии)

**Резюме.** Мировое сообщество признает, что сейсмическую безопасность огромной территории планеты, расположенных там городов и других ценностей, не обеспечивают в должной степени нормы сейсмостойкого строительства. Поэтому нужны другие возможности увеличения безопасности. Такой возможностью сегодня рассматривается разработка системы раннего оповещения и краткосрочного предсказания землетрясений. В этом направлении во многих странах мира ведутся интенсивные исследования, которые могут вызвать кардинальное изменение принципов сейсмостойкого строительства и обеспечения безопасности людских ресурсов и материальных ценностей. Но чрезмерный крен мирового сообщества в этом направлении может создать непредсказуемую ситуацию и даже привести к катастрофическим последствиям.

Исходя из этого, надо двигаться и в другом направлении – в первую очередь нужно повысить надежность норм сейсмостойкого строительства и с этих позиций: возводить новые надежные сооружения и удалять, или укреплять существующие ненадежные сооружения.

**Ключевые слова:** землетрясение; ненадежные здания; предварительное оповещение; сейсмостойкость; сейсмическая безопасность.

ქ. თბილისის საპურთალოს ობინის შალვა ლუკაშიძის, სიმონ გაცლელაშვილის,  
გუდამაშტისა და გურამ ვაჯიბიძის ძმების სატრანსპორტო ხმაშრით  
დაგინდურების სარისხის შევასება

ალექსანდრე მიქაბერიძე, ვახტანგ გვახარია, ტარიელ ადამია,  
გურამ უორულიანი

(ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ალ. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი)

**რეზიუმე:** განხილულია ქ. თბილისის საბურთალოს ობინის სატრანსპორტო მაგისტრალების (შალვა ნუცუბიძის, სიმონ გაცლელაშვილის, ბუდაპეშტისა და გურამ ვაჯიბიძის ქუჩების) საავტომობილო ტრანსპორტის ხმაურით დაბინძურების მდგრმარეობა. გამოთვლები ჩატარებულია მაგისტრალების სხვადასხვა მონაკვეთებზე დროის ერთეულში გამავალი ტრანსპორტის ორდენობის განსაზღვრის საფუძველზე. საკვლევ რაიონებში გამოთვლილია ტრანსპორტის ნაკადის ხმაურის მახასიათებლები.

**საკვანძო სიტყვები:** ხმაური; მოძრაობის ინტენსიურობა; ხმაურით დაბინძურება; ხმაურის დონე.

### შესავალი

გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) განმარტებით „ხმაური თანამედროვე მსოფლიოს უბედურებაა, ტექნიკური ცივილიზაციის არასასურველი პროდუქტი“: უკანასკნელ ათწლეულებში საგრძნობლად შეიცვალა ცივილიზაციის განვითარების პრიორიტეტები. გამოჩენილი გერმანელი აკუსტიკოსის, პროფესორ მანუფრედ ხეკლის აზრით, ტექნოლოგიები, რომელთა ძირითად ტენდენციას წარმოადგენდა „უფრო მეტი, უფრო ჩქარი, უფრო მაღალი“, თანამედროვე ეტაპზე შეიცვალა ახალი ტექნოლოგიებით, რომელთა ტენდენცია – „უფრო უკეთესი, უფრო უსაფრთხო, უფრო ჩუმი“.

ხმაურით დაბინძურება განისაზღვრება, როგორც ფიზიკური დაბინძურების ფორმა, რომელიც მდგრმარეობს ხმაურის დონის ბუნებრივ დონეზე გადაჭარბებაში. აკუსტიკური, ანუ ხმაურით დაბინძურება არის ადამიანზე ფიზიკური ზემოქმედების მეტად გავრცელებული ფაქტორი. ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, ხმაური არასასიკეთოდ აღქმული ბგარაა, წარმოადგენს ერთ-ერთ ტიპურ ეკოლოგიურ დაბინძურებას და უშუალოდ ზემოქმედებს იმ გარემოზე, რომელზედაც დამოკიდებულია ადამიანის ჯანმრთელობა.

გადამეტებული ხმაური ჩვენი ცივილიზაციის უბედურებაა. ქალაქში მცხოვრებთა დაავადებების 30 %-ზე მეტი დაკავშირებულია გადამეტებული ხმაურის ხანგრძლივ ზემოქმედების

დებასთან. ეს დაავადებებია: დაღლილობა, სისხლის წნევის მომატება, კუჭის წყლული, მეხსიერების გაუარესება, ნერვულ-ფსიქიკური დაავადებები და სხვ.

## ძირითადი ნაწილი

დიდ ქალაქებში აკუსტიკური ხმაურით დაბინძურების ძირითადი წყაროა საავტომობილო ტრანსპორტი, რომელზეც, ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, მოდის აკუსტიკური დაბინძურების წყაროების 80–90 %-მდე. ბოლო ათწლეულების განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებების, ამორტიზებული ტრანსპორტის რაოდენობისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო აკუსტიკური კვლების ზემოქმედება ხმამადლობის სუბიექტური აღქმის მიხედვით გაიზარდა არანაკლებ 1,5-ჯერ, ასევე გაიზარდა იმ მოსახლეობის რაოდენობაც, რომელიც იმყოფება ხმაურის ზენორმატიული ზემოქმედების პირობებში.

ხმაურის კველაზე დიდი დონე, რომელიც აღწევს 70–80 დბ-ს, ფიქსირდება მაღალინტენსიური სატრანსპორტო მაგისტრალების მიმდებარე საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს. დღის საათებში საცხოვრებელ უბნებში ხმაურის ნორმა შეადგენს 55 დბ-ს, მაგრამ ტრანსპორტის ნაკადის უშუალო ზეგავლენის ქვეშ მყოფი სახლების ფასადებზე ხმაურმა ნორმას შესაძლოა 15-25 დბ-ით გადააჭარბოს.

მაღალი დონის აკუსტიკური ხმაურის გამოსავლენად, ჩვეულებრივ, გამოიყენება ხმაურის მახასიათებლის როგორც გაზომვის, ისე გამოთვლის მეთოდები [1–3], რომლებიც გამიზნულია ადგილზე გამოკვლევებისათვის და ითვალისწინებს ურბანიზებული ტერიტორიის ფარგლებში ბგერითი ტალღების გავრცელებაზე მოქმედ კველა ფაქტორს.


საავტომობილო ტრანსპორტის ხმაურის მახასიათებელია L<sub>A</sub>ქშ. (დბა) მაჩვენებელი, რომელიც დამოკიდებულია დღისა და დამის კველაზე უფრო ხმაურიან პერიოდებში მოძრაობის ინტენსიურობაზე, ნაკადში სატვირთო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის წილზე, ტრანსპორტის ნაკადის საშუალო სიჩქარეზე, გზის გეომეტრიულ მახასიათებლებზე, გამყოფი ზოლის პარამეტრებზე და სხვ.

ჩვენ მიერ ადრე შესწავლილი იყო ვაკისა და საბურთალოს რაიონების ძრითადი სატრანსპორტო მაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიების საავტომობილო ტრანსპორტით დაბინძურების სარისხი [4–8].

წინამდებარე ნაშრომი ეხება ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სატრანსპორტო მაგისტრალების (შალვა წუკუბიძის, სიმონ კანდელაგის, ბუდაპეშტისა და გურამ ფანჯიკოძის ქუჩების) საავტომობილო ტრანსპორტის ხმაურით დაბინძურების ხარისხის შეფასებას. საკვლევი მაგისტრალების გასწვრივ მდებარეობს სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებები, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დაწილებულების შენობები. მაგისტრალების გადაკვეთის ზონებს ყოფს მოძრაობის რეგულირებადი და თვითრეგულირებადი გამყოფზოლიანი ქუჩები.

კვლევები ტარდებოდა სამუშაო დღეებში. საკვლევ უბნებზე დათვლილ იქნა 1 სო-ის განმავლობაში ორივე მიმართულებით მოძრავი საავტომობილო ტრანსპორტის ერთეულების საშუალო რაოდენობა დღე-დამის განმავლობაში. ავტოტრანსპორტის ძირითად ნაკადს შეადგენდა მსუბუქი ავტომობილები. მათი რაოდენობა გავლილი კველა ავტომობილის 90 %-ზე მეტი იყო. საკვლევ უბნებზე გავლილი ავტოტრანსპორტის რაოდენობა იცვლებოდა დღე-დამის დროზე დამოკიდებულებით.

1-ლ ნახ-ზე მოცემულია ნუცუბიძის ქუჩის გზაჯვარედინებზე დროის ერთსაათიან შუალედში გავლილი ავტომანქანების ინტენსიურობის (ავტ/სთ) ცვლილება დღე-დამის განმავლობაში.




ნახ. 1. ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიურობის ცვლილება შალვა ნუცუბიძის ქუჩაზე დროის ერთსაათიან შუალედში დღე-დამის განმავლობაში. 1 – სანდრო ეულისა და ბესარიონ ჟღენტის ქუჩებს შორის; 2 – ბესარიონ ჟღენტისა და გიორგი მოწენიძის ქუჩებს შორის; 3 – ფერდინანდ თაგაძისა და მიხეილ ასათიანის ქუჩებს შორის; 4 – მიხეილ ასათიანისა და ბუდაპეშტის ქუჩებს შორის; 5 – გიორგი მოწენიძისა და ფერდინანდ თაგაძის ქუჩებს შორის

ნახაზიდან ჩანს, რომ მოძრაობის ინტენსიურობა 8-9 სთ-დან 9-10 სთ-მდე საგრძნობლად მატულობს თითქმის ყველა მონაკვეთზე. შემდეგ 11-12 სთ-ის შუალედში მოძრაობის ინტენსიურობა იკლებს. 14-15 სთ-ის ინტერვალში ინტენსიურობა ისევ იზრდება, აღწევს მაქსიმუმს 18-20 სთ-ის შუალედში და მკვეთრად მცირდება 21-22 სთ-ის შუალედში.


მე-2 ნახ-ზე მოცემულია სიმონ კანდელაკის, ბუდაპეშტისა და გურამ ფანჯიკიძის ქუჩების ცალმხრივი მოძრაობის გზაჯვარედინებზე დროის ერთსაათიან შუალედში გავლილი ავტომანქანების ინტენსიურობის (ავტ/სთ) ცვლილება დღე-დამის განმავლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ დილის საათებში აღმოსავლეთის მიმართულებით მოძრავი ავტომობილების ნაკადი მნიშვნელოვნად აღემატება დასავლეთის მიმართულებით მიმავალი ავტომობილების ნაკადს. სადამოს საათებში კი დასავლეთის მიმართულებით მიმავალი ავტომობილების ნაკადის ინტენსიურობაა მეტი.

მე-3 ნახ-ზე წარმოდგენილია შალვა ნუცუბიძის ქუჩის მაღალინგენსიური მოძრაობის გზაჯვარედინებზე დღე-დამის განმავლობაში დროის ერთსაათიან შუალედში ხმაურის ექვივალენტური დონის L<sub>AAE</sub> განსაზღვრისათვის ჩატარებული გამოთვლების შედეგები.




ნახ. 2. სიმონ კანდელაკის, ბუდაპეშტისა და გურამ ფანჯიკიძის ცალმხრივი მოძრაობის ქუჩბზე დროის ერთსაათიანი შუალედში გავლილი ავტომანქანების ინტენსიურობის (ავტ/სთ) ცვლილება დღე-დამის განმავლობაში. 1 – სიმონ კანდელაკის ქუჩაზე მოძრავი ტრანსპორტისთვის; 2 – ბუდაპეშტის ქუჩაზე მოძრავი ტრანსპორტისთვის; 3 – გურამ ფანჯიკიძის ქუჩაზე მოძრავი ტრანსპორტისთვის



ნახ. 3. შალვა ნუცუბიძის ქუჩის მონაკვეთზე დღე-დამის განმავლობაში დროის ერთსაათიან შუალედში ხმაურის ექვივალენტური დონე,  $L_{Aeq}$   
 1 – შალვა ნიცუბიძის ქუჩის მონაკვეთი სანდრო ეულისა და ბესარიონ ჟღენტის ქუჩებს შორის; 2 – შალვა ნიცუბიძის ქუჩის მონაკვეთი ბესარიონ ჟღენტისა და გიორგი ძოწენიძის ქუჩებს შორის; 3 – შალვა ნიცუბიძის ქუჩის მონაკვეთი გიორგი ძოწენიძისა და ფერდინანდ თავაძის ქუჩებს შორის; 4 – შალვა ნიცუბიძის ქუჩის მონაკვეთი ფერდინანდ თავაძისა და მიხეილ ასათიანის ქუჩებს შორის; 5 – შალვა ნიცუბიძის ქუჩის მონაკვეთი მიხეილ ასათიანისა და ბუდაპეშტის ქუჩებს შორის

მე-4 ნახ-ზე წარმოდგენილია სიმონ კანდელაკის, ბუდაპეშტისა და გურამ ფანჯიკიძის ცალმხრივი მოძრაობის ქუჩებზე დღე-დამის განმავლობაში დროის ერთსაათიან შუალედში ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული ხმაურის ექვივალენტური დონის  $L_{A,\text{ექ}}$ . მნიშვნელობები.



ნახ. 4. სიმონ კანდელაკის, ბუდაპეშტისა და გურამ ფანჯიკიძის ქუჩებზე დროის ერთსაათიან შუალედში დღე-დამის განმავლობაში ხმაურის ექვივალენტური დონის ( $L_{A,\text{ექ}}$ ) მნიშვნელობები. 1 – სიმონ კანდელაკის ქუჩაზე მოძრავი ტრანსპორტისთვის; 2 – ბუდაპეშტის ქუჩაზე მოძრავი ტრანსპორტისთვის; 3 – გურამ ფანჯიკიძის ქუჩაზე მოძრავი ტრანსპორტისთვის


მე-4 ნახ-ზე კარგად ჩანს, რომ 4-5 სთ-ისათვის  $L_{A,\text{ექ}}$ -ის მნიშვნელობა მცირდება 67 დბ-ა-მდე, ხოლო 6-7 სთ-დან მატულობს და უკვე 9-10 სთ-ისათვის აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას. 19-20 სთ-დან  $L_{A,\text{ექ}}$ -ის მნიშვნელობები იწყება კლებას.

მე-5 და მე-6 ნახ-ებზე მოცემულია შალვა ნუცუბიძის, სიმონ კანდელაკის, ბუდაპეშტისა და გურამ ფანჯიკიძის ქუჩების რუკები, რომლებზეც მითითებულია  $L_{A,\text{ექ}}$ -ის მაქსიმალური მნიშვნელობები.



ნახ. 5. შალვა ნუცუბიძის ქუჩის მონაკვეთი (სანდრო ეულის ქუჩიდან ვერდინანდ თავაძის ქუჩამდე)

შალვა ნუცუბიძის ქუჩის ამ მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული ხმა-ურის მაქსიმალური დონე იცვლება 77 დბა-დან 80 დბა-მდე.



**ნახ. 6. შალვა ნუცუბიძის ქუჩის მონაკვეთი (ფერდინანდ თავაძის ქუჩიდან ბუღალტების ქუჩამდე),  
სიმონ კანდელაძის ქუჩა, ბუღალტების ქუჩის მონაკვეთი (შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან  
ტაშენტის ქუჩამდე), გურამ ფანჯიკიძის ქუჩა**

ამჟამად საქართველოში არსებული სანიტარიული ნორმების მიხედვით [9] საცხოვრებელ კვარტალებში დღის საათებში (7 სთ-დან 23 სთ-მდე) ხმაურის დონის დასაშვები ნორმა 55 დბა, ხოლო დამის საათებში (23 სთ-დან 7 სთ-მდე) – 45 დბა.

ცნობილია, რომ ტერიტორია, სადაც ხმაურის დონე 80 დბა-ზე მეტია, მიეკუთვნება დისკომფორტული ტერიტორიების ჯგუფს, თუ ხმაურის დონეა 60 – 80 დბა – შედარებით დისკომფორტულს, ხოლო როცა 40 – 60 დბა – შედარებით კომფორტულს და თუ 40 დბა-ზე ნაკლებია – კომფორტულს.

ხმაურის დონის ზემოაღნიშნული შეფასების მიხედვით, ნუცუბიძის ქუჩის მიმდებარებელი ტერიტორია (გიორგი ძოწენიძის ქუჩიდან ბუღალტების ქუჩამდე) შეიძლება ჩაითვალოს დისკომფორტულ ტერიტორიად. მთლიანობაში შესწავლილი ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები, სადაც Lაქე-ის მნიშვნელობებია 77–79 დბა, ხმაურის დონის მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს შედარებით დისკომფორტულ ზონებად.

## დასკვნა

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტოტრანსპორტი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საბურთალოს რაიონის ეკოსისტემაზე. საჭიროა ხმაურის დონის შემცირებასთან დაკავშირებული დონისძიებების შემუშავება. უნდა მოხდეს ხმაურით დაბინძურების წყაროების ოპტიმიზაცია ტრანსპორტის ნაკადის სიჩქარის შეზღუდვის, დღვ-დამის განსაზღვრულ დროს ტრანსპორტის ნაკადში საბარგო ტრანსპორტის წილის შემცირების გზით და ა.შ.

ხმაურის შეფასებასა და მართვასთან დაკავშირებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კვრისაბჭოს დირექტივებს [10]. საქართველოში გარემოს ხმაურით დატვირთვასთან დაკავშირებული სამუშაოები მხოლოდ საწყის სტადიაშია და ისინი ეფუძნება უშუალო გაზომვებს [11-13]. ამიტომ აქტუალურია თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების საშუალებით ქალაქის ხმაურის რეკების შედგენა. ელექტრონული კომპიუტერიზებული ხმაურის რეკები წარმოადგენს ამა თუ იმ ტერიტორიაზე ხმაურის რეჟიმის შესახებ ობიექტური ინფორმა-

ციის და ხმაურით გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებას. ხმაურის რუკების საშუალებით შესაძლებელი იქნება ხმაურის წინააღმდეგ კველაზე უფრო რაციონური დონისძიებების გატარება, გარემოს ხმაურით დაბინძურების მონიტორინგის განხორციელება, საცხოვრებელ კვარტალებში ხმაურის გავრცელების კანონზომიერების შესავლა, საპროექტო გადაწყვეტილებების კორექტირება და ა.შ. [14-19].

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Методические рекомендации по защите от транспортного шума территорий, прилегающих к автомобильным дорогам. ОДМ 218.2.013-2011. М.: Росавтодор, 2011.
2. Методические рекомендации по учету шумового загрязнения в составе территориальных комплексных схем охраны среды городов. Л., 1989.
3. Методические рекомендации по оценке необходимого снижения звука у населенных пунктов и определению требуемой акустической эффективности экранов с учетом звукопоглощения. Министерство транспорта Российской Федерации. Государственная служба дорожного хозяйства. М.: Росавтодор, 2003.
4. ა. მიქაელერიძე, მ. ჯიბლაძე, ვ. გვახარია, ტ. ადამია, გ. ჟორჟოლიანი, მ. გოგილავა. ქ. თბილისის ვაკის რაიონის მირითადი სატრანსპორტო მაგისტრალების ხმაურით დაბინძურების ხარისხის შეფასება//მეცნიერება, 2014, №3(716), გვ. 45-51.
5. Микаберидзе А. А., Гвахария В. Г., Джиладзе М. И., Адамия Т. А., Жоржолиани Г. Б. Оценка состояния шумового загрязнения автомобильным транспортом проспекта И. Чавчавадзе г. Тбилиси/Институт геологии им. Александре Джанелидзе Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили. Труды. Новая серия. Вып. 127. 2015, с. 211-214.
6. A. Mikaberidze, †M. Jibladze, V. Gvakharia, T. Adamia, G. Zhorzhiani. Assessment of the State of Noisy Pollution In Some Main Traffic Highways Saburtalo District of Tbilisi. Power of Geology is the Precondition For Regeneration of Economics. Book of Abstracts. 3<sup>rd</sup> International Scientific-Practical Conference on Up-to-date Problems of Geology. Tb., 1–2 June, 2017, pp. 92-95.
7. ა. მიქაელერიძე, მ. ჯიბლაძე, ვ. გვახარია, ტ. ადამია, გ. ჟორჟოლიანი, ზ. ბერაძე. ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალების (ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ერთეულების გამზირები, პეტრე ქავთარაძის ქუჩა) ხმაურით დაბინძურების ხარისხის შეფასება // მეცნიერება და ტექნოლოგიები, № 2(725), თბ., 2017, გვ. 39-47.
8. A. Mikaberidze, V. Gvakharia, T. Adamia, G. Zhorzhiani. Estimation of Noisy Pollution of Shalva Nutsubidze and Simon Kandelaki Streets of Tbilisi By Motor Transport. Power of Geology is the Precondition For Regeneration of Economics. Book of Abstracts. 4<sup>th</sup> International Scientific-Practical Conference on Up-to-date Problems of Geology. May, 29–30, Tb., 2017, pp. 79-82.
9. სანიტარიული ნორმები 2.2.4/2.1.8. 003/04-01. ხმაური სამუშაო აღილებზე, 2001.
10. Directive 2002/49/EC of the European Parliament and of the Council relating to the assessment and management of environmental noise //Official Journal of the European Communities, July 18, 2002.
11. გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში. სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“, 2010.
12. GEO-ქალაქები. თბილისი: საქართველოს დედაქალაქის მდგომარეობის და ტენდენციების ინტეგრირებული გარემოსდაცვითი შეფასება. თბ., 2011.
13. მ. არაბიძე, მ. გრძელიშვილი, მ. ლაშეაური, ქ. კიბნაძე, ნ. შებითიძე, ი. ფადავა. თბილისის ფარგლებში არსებულ სარეკრეაციო ზონებსა და მიმდებარე ცენტრალურ

გამზირებზე გენერირებული სმაურის პიგიენური შეფასება//თანამედროვე მედიცინა, №1, 2007, გვ. 51-54.

14. A. Fyhri and G.M. Aasvang. Noise, sleep and door health: Modeling the relationship between road traffic noise and cardiovascular problems. *Science of the Total Environment*, Vol. 408, 2010, pp. 4935-4942.
15. D. Benerjee, K. Chakraborty, S. Bhattacharyya and A. Gangopadhyay. Appraisal and mapping the spatial-temporal distribution of urban road traffic noise//*International Journal of Environmental Science & Technology*, Vol. 6, 2009, pp. 325-335.
16. J. Cao, L. Dai, L. Fan, N. Mobed. Assessment of Traffic Noise Impact on Residential Areas of Regina // *Environmental Informatics Archives*. Vol. 2, 2004, pp. 456-463.
17. K. Kaliski, E. Duncan, J. Cowan. Community and Regional Noise Mapping in the United States // *Sound and Vibration*. September, 2007, pp. 14-17.
18. V. Pathak, B. D. Tripathi and V. K. Mishra. Evaluation of traffic noise pollution and attitudes of exposed individuals at working place//*Atmospheric Environment*. Vol. 42, 2008, pp. 3892-3898.
19. Eunice Y. Lee, Michael Jerrett, Zev Ross, Patricia F. Coogan and Y.W. Seto. Assessment of Traffic-Related Noise in Three Cities in the United States. *Environmental research*. Vol. 132, July 2014, pp. 182-189.

**ASSESSMENT OF THE STATE OF NOISE POLLUTION BY MOTOR TRANSPORT  
IN ROAD AREAS ADJASENT TO SHALVA NUTSUBIDZE, SIMON KANDELAKI,  
BUDAPEST AND GURAM PANJIKIDZE STREETS OF SABURTALO DIISTRICT OF  
TBILISI**

**A. Mikaberidze, V. Gvakharia, T. Adamia, G. Zhorzhiani**

(A. Janelidze Institute of Geology of I. Javakhshvili Tbilisi State University)

**Resume:** There was studied noise pollution by motor transport in road areas adjacent to Shalva Nutsubidze, Simon kandelaki, Budapest and Guram Panjikidze streets of Saburtalo district of Tbilisi. Calculations were carried out through a quantitative count of units of transport passing in the target sections of the streets per unit of time. Noise characteristics of the traffic flow were calculated in the areas of research.

**Key words:** noise; noise pollution; sound level; traffic intensity.

**ЭКОЛОГИЯ**

**ОЦЕНКА СОСТОЯНИЯ ШУМОВОГО ЗАГРЯЗНЕНИЯ АВТОМОБИЛЬНЫМ  
ТРАНСПОРТОМ ТЕРРИТОРИЙ, ПРИЛЕГАЮЩИХ К УЛИЦАМ ШАЛВЫ  
НУЦУБИДЗЕ, СИМОНА КАНДЕЛАКИ, БУДАПЕШТСКОЙ, ГУРАМА  
ПАНДЖИКИДЗЕ САБУРТАЛИНСКОГО РАЙОНА Г. ТБИЛИСИ**

**Микаберидзе А. А., Гвахария В. Г., Адамия Т. А., Жоржолиани Г. Б.**

(Геологический институт им. А. Джанелидзе Тбилисского государственного университета им.

И. Джавахишвили)

**Резюме.** Проведена оценка шумового загрязнения автомобильным транспортом территорий, прилегающих к улицам Шалвы Нуцубидзе, Симона Канделаки, Будапештской, Гурама Панджикидзе Сабурталинского района г. Тбилиси. Расчеты проведены посредством количественного учета единиц транспорта, проезжающего по определенным участкам улиц за единицу времени. Рассчитаны шумовые характеристики транспортного потока в районе исследований.

**Ключевые слова:** интенсивность движения; уровень шума; шум; шумовое загрязнение.

## სარგისებრი ცენტრები და მათი როლი ახალშობილების ფსიქოეთნოლოგიურ ცორვისაში

### ნუგზარ ალექსიძე


(ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია 1992 წელს ჯაკომო პიცოლატის მიერ ცხოველების თავის ტვინში აღმოჩენილი სარკისებრი ნეირონები (mirror neurons), რომლებიც აღიგზნება ვერბალური ზემოქმედებისას და სხვის საუბრის საპასუხოდ და ემფატიკური აღქმის შედეგად განაპირობებს ახალშობილების ფსიქოეთნოლოგიური ქცევის ფორმირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრესიულ სოციალურ პირობებში ახალშობილის პოსტემბრიონული განვითარებისას ემფატიკურად ფორმირდება აგრესიული ქცევები, რაც მოგვიანებით შეიძლება მკაფილებაშიც კი გადაიზარდოს. ადამიანების სარკისებრი ნეირონების ნეიროფიზიოლოგიური შესწავლისას ნეირონების აქტიურობაში გამოვლენილ იქნა განდღერული განსხვავება, კერძოდ, ახალშობილი გოგონების ორგანიზმები გამოირჩეოდნენ სარკისებრი ნეირონების უფრო ძლიერი აქტიურობით, ვიდრე ვაჟებისა. შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში გოგონები გაცილებით ადრე იწყებენ მეტყველებას, ვიდრე ვაჟები, რაც სრულ შესაბამისობაშია გოგონების სარკისებრი ნეირონების უფრო ადრეულ მომწიფებასთან. როგორც ჩანს, ემფატიკური აღქმა დაკავშირებულია ემოციურ ინტელექტთან, ფსიქოლოგიური კომუნიკაციის დამყარების ჩვევასთან და განიხილება, როგორც თანაგანცდის და თანადგომის ჰუმანური აქტი. პაციენტის საუბარი ემფატიკურად აღიძება მსმენელის თავის ტვინის სენსორული უბნის სარკისებრი ნეირონებით, რაც დასტურდება თანაგანცდის პირობებში აღმოცენებული იმპულსების რაოდენობით. საგულისხმოა, რომ 5 წთის შემდეგ მსმენელის თავის ტვინში მოსაუბრის თავის ტვინთან შედარებით განცდის აღქმის იმპულსების რაოდენობა 130–300 %-ით იზრდება.


**საკვანძო სიტყვები:** აგრესიის ფორმირება; ემფატიკური აღქმა; სარკისებრი ნეირონები; ფსიქოლოგიური კომუნიკაცია.

### შესავალი

1992 წელს ჯაკომო პიცოლატის მიერ ცხოველების თავის ტვინში აღმოჩენილ იქნა სარკისებრი ნეირონები (mirror neurons), რომლებიც აღიგზნება როგორც ვერბალური, ისე სხვის ზემოქმედების განცდისას. ხშირად მათ მოიხსენიებენ როგორც სხვისი ცნობიერების შემცნობ ნეირონებად, რაც ნეირობიოლოგებმა ერთ-ერთ უდიდეს აღმოჩენად აღიარეს [1, 2].



ნახ. 1. სარკისებრი ნეირონები



ნახ. 2. თავის ტენის სხვადასხვა სტრუქტურაში  
სარკისებრი ნეირონების განაწილება

აღნიშნული ნეირონების აღმოჩენის ისტორია დაიწყო იმით, რომ ჯაკომო პიცოლატის პეავდა მაიმუნი მაკაკა რეზუსი, რომლის თავის ტენის ქერქის შებლის წილში (F5) ჩანერგილი ჰქონდა მიკოელექტროდები და სწავლობდა ნეირონების აქტიურობას საკვების მოპოვებისა და კვების დროს. ერთ დღეს ჯაკომო პიცოლატი დაინტერესდა, თუ როგორ მოიქცეოდა მაკაკას თავის ტენის ნეირონები მისგან დამოუკიდებლად და როგორ განახორციელებდა მის წინ არსებული საკვების მოპოვებასა და ჭამას, როდესაც ჯაკომომ აიღო საკვები და დაიწყო მისი ჭამა, მაიმუნი გაშეშდა და თვალებში ჩააცემდა მას. მოხდა საოცარი რამ, თავის ტენის გამოვლინდა ნეირონების ისეთივე აქტიურობა, როგორიც აღნიშნა მაიმუნის მიერ საკვების მიღებისას [1, 3].

შედეგები მან გამოაქვეყნა ძალზე ავტორიტეტულ „Nature“-ში 1996 წელს და აღიარა, რომ მან აღმოაჩინა სარკისებრი ნეირონები, რომელთა მეშვეობით ხდება უცხო პირის ქმედების აღქმა. როგორც გაირკვა, სარკისებრი ნეირონებით ახალშობილების მიერ მასთან მოსაუბრის მეტყველება ემფატიკურად აღიქმება.

## ძირითადი ნაწილი

სარკისებრი ნეირონების აქტიურობის შესწავლის მიზნით გამოიყენება მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია და ელექტროგნიფალოგრაფიული მეთოდი. გაცილებით მაღალი აქტიურობის მქონე სარკისებრი ნეირონები იქნა აღმოჩნილი ადამიანის თავის ტვინის ისეთ უბნებში, როგორიცაა თხემის წილი, შუბლის წილი, საფეთქლის უკანა შუა წილის ხვეული, პირველადი და მეორეული სომატოსენსორული ქერქი, დორსალური პრემოტორი, დამატებითი მოტორი, ნათხემი და სხვ. საყურადღებოა, რომ ადამიანების სარკისებრი ნეირონების ნეიროფიზილოგიური შესწავლისას, ნეირონების აქტიურობაში გამოვლენილ იქნა გენდერული განსხვავება, კერძოდ, გოგონების ორგანიზმები პოსტემბრიონული განვითარებისას გამოირჩეოდა სარკისებრი ნეირონების უფრო ძლიერი აქტიურობით, ვიდრე ვაჟებისა. ქედან გამომდინარე, ბუნებრივად ისმება კოთვა, ვაჟები უფრო ადრე იწყებენ მეტყველებას, თუ გოგონები? დადასტურებული მონაცემებით, გოგონები უფრო ადრე იწყებენ მეტყველებას, ვიდრე ვაჟები, რაც სრულ შესაბამისობაშია გოგონებში სარკისებრი ნეირონების უფრო ადრეულ ფორმირებასა და ძლიერ აქტიურობასთან. სარკისებრი ნეირონები მოქმედებს არა როგორც ურთეული, არამედ, როგორც სინერგიული ნეირონები. მართალია, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მრავალი საკითხია დასაზუსტებელი, მაგრამ ერთი რამ ნათელია, რომ სარკისებრი ნეირონები აქტიურად მონაწილეობს იმიტაციისა და მიბაძვის მექანიზმებში, რამაც ხშირად შესაძლებელია საკუთარი თავისადმი აგრძესიული განწყობა გამოიწვიოს [4, 5].

ცნობილია, რომ ჩვილი ასაკის ბავშვები სწავლობენ მეტყველებას მასწავლებლისა და წიგნების გარეშე, ისინი ახდენენ მათ სიახლოეს მყოფი ადამიანების მეტყველებისა და ქცევის კოპირებას სარკისებრი ნეირონების საშუალებით. ცხადია, ეჭვს არ იწვევს, რომ, სარკისებრი ნეირონების აქტიურობიდან გამომდინარე, ახალშობილების პულტურის ჩამოყალიბებაში გადამწვევტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ადამიანთა რესურსების როგორი დონის გარემოში მოხდება მათი ფსიქომოციური ფორმირება. სარკისებრი ნეირონებით მოქმედების შემცნება ხდება ემფატიკურად, რაც გულისხმობს საკუთარი თავის სხვის მდგომარეობაში ჩაყენებას, რათა შეიცნო მასთან მყოფი პიროვნების მეტყველება და ქცევა. ემფატიკა დაკავშირებულია აგრეთვე ემოციურ ინტელექტთან, ფსიქოლოგიური კომუნიკაციის დამყარების ჩვევასთან და განიხილება, როგორც თანაგანცდის და თანადგომის ჰუმანური აქტი [1, 6, 7]. ირკვევა, რომ მოსაუბრეთა შორის ინფორმაციის გადაცემა ხორციელდება დისტანციურად თავის ტვინის ნეირონული სისტემის უშუალო მონაწილეობით (ნახ. 3).




ნახ. 3. ორი ადამიანის საუბრისას მათ შორის სარკისებრი ნეირონებით კავშირის დამყარების სქემა

ამრიგად, სარკისებრი ნეირონები ქმნის ემფატიკურ შესაძლებლობას და განწყობის უნარს, რათა ჩვენი ფსიქომოციური მდგრმარეობა გახდეს სოციალურად წარმატებული.

სარკისებრი ნეირონების სრულყოფილი ფორმირებითაა განპირობებული ბავშვთა მეტყველების დაწყება განსხვავებულ დროში, რაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალიზაციას, სმენას და ვერბალური გამოთქმების ემფატიკურ აღქმას. აღნიშნულთანაა დაკავშირებული აგრეთვე სკოლებში პირველკლასები ბავშვების მიღების საკითხიც. ჩვენი აზრით, ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა მოხდეს ბავშვების მეხსიერების უნარის წინასწარი დადგენა ვიზუალური, ვერბალური და სმენითი ტესტების გამოყენებით, რაც საშუალებას მოგცემს პერსონალურად განვსაზღვროთ, თუ რომელი ასაკის – 5, 6, 7 თუ 8 წლის ბავშვი უნდა იქნეს მიღებული სასწავლებლად სკოლის პირველ კლასში. საბედნიეროდ, ბოლო ხანებში, პრაქტიკულად აიკრძალა სკოლებში 5 წლის ასაკის ბავშვების მიღება, თუმცა ეს პრობლემა კვლავ სადათ რჩება და მას მეცნიერული დასაბუთება სჭირდება სარკისებრი ნეირონების დროში ფორმირების გათვალისწინებით [8].

სამწუხაოდ, დღეს არ გვაქვს სრული ინფორმაცია პოსტემბრიონული განვითარებისას რომელ ასაკში ხდება სარკისებრი ნეირონების სრულყოფილი ფორმირება, რაც პრაქტიკულად განსხვრავს ასაკის მიხედვით ბავშვის მეხსიერების ჩამოყალიბებას. როგორც ცნობილია, ინფორმაციის დამახსოვრება თავის ტვინით გრძელდება 150 წლის განმავლობაში. ინფორმაციის სრული დამახსოვრებისათვის კი, საჭიროა მოხდეს მისი ხანგრძლივი მეხსიერების კონსოლიდაცია, რაც შეიძლება გაგრძელდეს 15 წთ-დან ერთი საათის განმავლობაში. ცნობილია ისიც, რომ ნორმალურმა ადამიანმა შეიძლება დაიმახსოვროს 8–10 საგანი, 4–5 ციფრი და 5–6 ასო, რაც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მეხსიერება შეფასებულ იქნეს დადებითად. საგულისხმოა ისიც, რომ, თუ დასამახსოვრებელი ალტერნატიული ინფორმაცია დიდი მოცულობისაა, დამახსოვრების უნარი მნიშვნელოვნად მცირდება, ეს კი გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოლებში ბავშვების სწავლების დროს.



ნახ. 4. საუბრის ემფატიკური აღქმის დროს იმპულსური პასუხები: მსმენელის თავის ტვინი (წითელი), მოსაუბრის თავის ტვინი (ლურჯი). აბსცისაზე აღნიშნულია დრო წუთობით, ორდინატაზე – იმპულსების რაოდენობა პირობით ერთგულში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემფატიკური თანაგანცდა თავის ტვინის თანდაყოლილი თვისებაა. ნაჩვენებია, რომ სხვა ადამიანების ქცევაზე ვიზუალური დაკვირვების შედეგად ხდება ანალოგიური ქცევის ანალიზი და სარკისებრი იმიტაცია. ამ მოვლენაზე პრინციპულ გავლენას ახდენს ადამიანის სუბიექტური განწყობა, ემფატიკური თანაგანცდა და პირადი დისკომფორტი. პაციენტის საუბარი ემფატიკურად აღიქმება, მსმენელის თავის ტვინის სენსორულ უბანში სარკისებრი ნეირონებით, რაც დასტურდება თანაგანცდის პირობებში აღმოცენებული იმპულსების რაოდენობით. როგორც მე-4 ნახ-დან ჩანს, 5 წთ-ის შემდეგ მსმენელის თავის ტვინში მოსაუბრის თავის ტვინთან შედარებით, განცდის აღქმის იმპულსების რაოდენობა საშუალოდ 130–300 %-ით უფრო მაღალია [1, 2, 8].

ადამიანებში სარკისებრი ნეირონების სისტემის ფორმირება ხდება დაბადების პირველივე დღიდან, თუმცა სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაციის ფორმირება დროში საპაოდ ცვალებადია ახალშობილის ინდივიდუალურ განვითარებაზე დამოკიდებულების გამო. **Falck-Ytter**-ისა და თანაავტორების მიერ ნაჩვენები იქნა (2006 წ.), რომ 6 თვის ასაკის ახალშობილებში სარკისებრი ნეირონებით არ ხდება გარეშე პირის ხელის მიზანმიმართული მოქმედების შეცნობა, 12 თვის ასაკის ბავშვები უკვე აღიქვამენ ხელის მოძრაობას და აანალიზებენ მოძრაობის მიზანს, ე. ი. 12 თვის ასაკის ბავშვის სარკისებრი ნეირონებით შეიცნობა და აანალიზდება ადამიანის მიზანმიმართული ქმედება. **Blakemore da Decety**-ის (2001 წ.) ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებში გამოყენებული იყო 2 პირობითი სიტუაცია: სუფრაზე დგას ჭიქა, ჩაით სავსე, ჭიქა ჩაის გარეშე და ხელის მოძრაობა ჩაით სავსე ჭიქის ასაღებად. ასეთ პირობებში თავის ტვინის სპეციფიკურ უბნებში სარკისებრი ნეირონების აქტიურობა პრინციპულად განსხვავებული აღმოჩნდა. საგულისხმოა, რომ სარკისებრი ნეირონების ემფატიკურად აღქმიდან გამომდინარე, თუ ახალშობილის პოსტემბრიონული განვითარება ოჯახში მიმდინარეობს აგრესიული სოციალური გარემოს პირობებში, მისი კულტურის ჩამოყალიბების პროცესში, ოჯახის წევრთა ყველა ქმედება ემფატიკური იმიტაციის გზით ჩაინერგება მის გენეტიკურ აპარატში, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ორგანიზმში დარჩება და, რაც მთავარია, მოგვიანებით გამოვლინდება ახალგაზრდის აგრესიული და კრიმინალური ქცევების სახით. ვინაიდან აგრესიის ფორმირების ერთ-ერთ ნეიროქიმიურ კორელატად აღიარებულია ბიოგენური ამინი სეროტონინი, ამიტომ პრეკარбინულის მიზნით საკვებდანამატის სახით სასურველია გამოყენებული იქნეს სეროტონინის წინამორბედი ამინმჟავათი მდიდარი საკვები დანამატი, კერძოდ, პოლანდიური და მდნარი ყველით მომზადებული ბუტერბროდები, რომელთა ყოველი 100 გ შეიცავს, შესაბამისად, 750 და 500 მგ ტრიპტოფანს.

## დასკვნა

ზემოაღნიშნულის მიხედვით, სარკისებრი ნეირონებით ხდება ახალშობილების მიერ მასთან მოსაუბრის მეტყველების ემფატიკური აღქმა. ნეირონების აქტიურობაში გამოვლენილია გენდერული განსხვავება, კერძოდ, გოგონებში სარკისებრი ნეირონების ფორმირება პოსტემბრიონული განვითარებისას ხდება გაცილებით ადრე ვიდრე ვაჟებში. შედეგად, გოგონები ვაჟებთან შედარებით გაცილები ადრეულ ასაკში იწყებენ მეტყველებას. აღნიშნულთან დაკავშირებულია აგრეთვე სკოლის პირველ კლასში ბავშვების მიღების საკითხიც. სარკისებრი ნეირონები აქტიურად მონაწილეობს იმიტაციისა და მიბაძვის მექანიზმებში, ახალშობილების კულტურის ჩამოყალიბებაში. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ადამიანთა რესურსების როგორი დონის გარემოში ხდება მათი ფსიქოემოციური ფორმი-

რება. სარგისებრი ნეირონებით მოქმედების შემცნება ხდება ემფატიკურად, რაც გულისხმობს საკუთარი თავის სხვის მდგომარეობაში ჩაყენებას. ფსიქოლოგიური კომუნიკაციის დამყარება განიხილება, როგორც თანაგანცდისა და თანადგომის ჰუმანური აქტი. აგრესიის ფორმირების ერთ-ერთ ნეიროქიმიურ კორელატად აღიარებულია ბიოგენური ამინი – სეროტონინი, ამიტომ პრევენციის მიზნით კვების დანამატის სახით სასურველია მივიღოთ სეროტონინის წინამორბედი ამინმეავათი მდიდარი საკვები დანამატი; კერძოდ, პოლანდიური და მდნარი ყველის ბუტერბროდები, რომელთა ყოველი 100 გ შეიცავს, შესაბამისად, 750 და 500 მგ ტრიპტოფანს.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. 6. ალექსიძე. ფსიქოლოგიის სალექციო კურსი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013.
2. N. Aleksigze. Psychobiological foundation of the theory of attitude. Advances in Psychology research. Vol.. 98, 2013, pp. 125-128.
3. 6. ალექსიძე. ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები. თბ.: უნივერსალი, 2016.
4. [https://en.wikipedia.org/wiki/Mirror\\_neuron](https://en.wikipedia.org/wiki/Mirror_neuron)
5. <http://www.apa.org/monitor/oct05/mirror.aspx>
6. Beth Azar. How mimicry begat culture. Researchers from varied disciplines look to mirror neurons to explain many aspects of human evolution. Vol. 36, No. 9, 2005. - 50 p.
7. L. Winerman. The mind's mirror// Monitor on Psychology. Vol. . 36, No. 9, 2005, pp.205-209.

**MIRROR NEURONS AND THEIR ROLE IN THE PSYCHO-EMOTIONAL FORMATION OF NEW-BORNS**

**N. Alekcidze**

(I. Javakhishvili Tbilisi State University)

**Resume:** The functions and properties of mirror neurons, first detected in the brain of animals by Jakomo Pizzolatti in 1992 have been considered in this paper. The neurons are excited by means of verbal action in response to external conversation and as a result of emphatic perception determine a psychic-emotional behavior of new-borns. Consequently, as a result of aggressive social conditions in the period of postembryonic new-borns the aggressive actions are emphatically formed, which further can turn into the aggressive behavior. Neurophysiological study of human mirror neurons revealed a gender difference in the activity of new-borns, in particular, in new-born girls the increased activity was revealed, as compared with new-born boys. In most cases, the development of speech in girls begins earlier than in boys, which corresponds to an earlier development of mirror neurons. Apparently, emphatic perception is connected to the emotional intellect, as well as to the skills of establishment of psychological communication and it is considered as an humane act of compassion and support. The conversation of patient is emphatically perceived by the mirror neurons of sensory area of the brain. This is corroborated by the occurrence of an increased number of impulses in conditions of compassion. It is noteworthy, that 5 minutes later in the brain of listener as compared with the brain of interlocutor a number of perceived impulses of feelings increased by 100–130% at the average.

**Key words:** emphatic perception; formation of aggression; mirror neurons; psychological communication.

**ПСИХОБИОЛОГИЯ**

**ЗЕРКАЛЬНЫЕ НЕЙРОНЫ И ИХ РОЛЬ В ПСИХОЭМОЦИОНАЛЬНОМ ФОРМИРОВАНИИ НОВОРОЖДЕННЫХ**

**Алексидзе Н. Г.**

(Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили)

**Резюме.** Рассмотрены функции и свойства зеркальных нейронов (mirror neurons), впервые обнаруженных в 1992 году ученым Джакомо Пиццолатти в головном мозге животных. Нейроны возбуждаются вербальным воздействием, в ответ на постороннюю беседу и в результате эмфатического восприятия обуславливают формирование психоэмоционального поведения новорожденных. Сле-

довательно, в результате агрессивных социальных условий в период постэмбрионального новорожденного эмфатически формируются агрессивные поступки, которые в дальнейшем могут перерасти в агрессивное поведение. Нейрофизиологическое изучение зеркальных нейронов человека выявило гендерное различие в активности нейронов, в частности, в новорожденных девочках выявлена повышенная активность по сравнению с нейронами новорожденных мальчиков, в большинстве случаев у девочек развитие речи начинается раньше, чем у мальчиков, что соответствует более раннему развитию зеркальных нейронов. По-видимому, эмфатическое восприятие связано с эмоциональным интеллектом, с навыками установления психологической коммуникации, и рассматривается как гуманный акт сострадательности и поддержки. Беседа пациента эмфатически воспринимается зеркальными нейронами сенсорной зоны головного мозга, что подтверждается возникновением повышенного количества импульсов в условиях сострадания. Примечательно, что через 5 минут в головном мозге слушателя по сравнению с головным мозгом собеседника количество воспринятых импульсов переживаний в среднем возрастало на 100–130 %.

**Ключевые слова:** зеркальные нейроны; психологическая коммуникация; формирование агрессии; эмфатическое восприятие.

**ლენტი- და საუმავირუსების შესაძლო რეპოზიტორი პოტენციალის შესახებ  
გიორგი გოგიჩაძე, ეკატერინე მისაბიშვილი, ციური ერაძე  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ინსტიტუტი ტექნიკორმი)**

**რეზიუმე:** ლენტი- და საუმავირუსების ონკოგენური პოტენციალის დასადგენად გამოყენებულ იქნა კანცეროგენეზის კარიოგამული თეორია. ამ თეორიის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატის შესაბამისად წებისმიერი ვირუსი (წებისმიერი სხვა წარმოშობის აგენტი ან ფაქტორი), რომელიც იწვევს სომატური უჯრედების ფუზოგენიას, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პოტენციური კანცეროგენი. რეტროვირუსების ოჯახის წარმომადგენლებს აქვთ ფუზოგენური თვისებები; კერძოდ, ისინი იწვევენ პოლიკარიოციტების ფორმირებას და რადგანაც ამ ვირუსებს შეუძლიათ პოლიკარიოციტების ფორმირება, ისინი პარალელურად მაღალი ონკოგენური პოტენციის მქონე დიკარიონების პროდუცირებასაც შეძლებენ.

**საკვანძო სიტყვები:** ლენტივირუსები; საუმავირუსები; პოლიკარიოციტები; დიკარიოები; კანცეროგენეზი.

### შესავალი

რეტროვირუსები წარმოადგენენ ადამიანისა და სხვა ძუძუმწოვრებისაგან გამოყოფილი ვირუსების მრავალრიცხოვან ოჯახს. სახელწოდება დაკავშირებულია ვირიონების შემადგენლობაში შემავალ ფერმენტ ტრანსკრიპტაზისთან, რომელიც შებრუნებითი ტრანსკრიპციის პროცესის კატალიზატორია.

ლენტი- და საუმავირუსები Rettroviridae-ს ოჯახის გვარებია. ლენტივირუსების წარმომადგენელია აივ-ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ვირუსებს შორის ყველაზე უფრო დეტალურადაა შესწავლილი. რაც შეეხებათ საუმავირუსებს, ლენტივირუსებისაგან განსხვავებით, ისინი რეტროვირუსების ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი გვარია, რომელიც საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული ბუნებაში. მათ გამოყოფენ პრიმატებისაგან (მათ შორის ადამიანისაგან), მსხვილი რქოსანი საქონლისაგან, კატებისაგან, ზაზუნებისაგან და სხვ. ისინი პირველადი უჯრედული კულტურების სშირი კონტამინანტებია, თუმცა მათი კავშირი ადამიანის რომელიმე კონკრეტულ დაავადებასთან აქამდე დადგენილი არ არის.

### ძირითადი ნაწილი

ადამიანსა და ცხოველებში აღინიშნება საუმავირუსების უსიმპტომო მატარებლობა, რასაც თან ახლავს ინფიცირებული უჯრედების სპეციფიკური მორფოლოგიური ცვლილებები.

ბები, კერძოდ, ციტოპლაზმის ქაფისებრი (გაკუოლისმაგვარი) დეგენერაცია (ლათინური სპუმა ქართულად ქაფს ნიშნავს).

სპუმაგირუსების დიამეტრი მერყეობს 80–100 ნმ-ს შორის. მათ სფერული ფორმა აქვთ, თუმცა შერეული ინფექციის (ე.წ. მიქსტ-ინფექციის) პირობებში (ამ ვირუსების, რესპირატორულ-სინციტიური და ვაქცინის ვირუსების მონაწილეობით) შესაძლებელია სპუმაგირუსების სხვადასხვა ანომალიური ფორმების წარმოქმნა.

სპუმაგირუსების დამახასიათებელი თავისებურებაა მათი მორფოგენეზის საბოლოო სტადიის – ბადინგის მეშვეობით გამოყოფის უნარი უჯრედის თითქმის ყველა მემბრანული ორგანოდიდან (ნუკლეოლემა, პლაზმალემა, გრანულარული ენდოპლაზმური რეტიკულუმის სტრუქტურები, გოლჯის კომპლექსი, ვაკუოლები).

ქრონიკული ინფექციის შემთხვევაში რეტროვირუსების ოჯახის ვირუსების გენომი ახორციელებს რეპლიკაციის უნიკალურ სტრატეგიას. ამისათვის ვირუსები იყენებენ შებრუნებითი ტრანსკრიპციის მექანიზმს. თუმცა ვირუსული გენომი წარმოდგენილია ერთჯაჭვიანი რნმ-თი, მისი რეპლიკაციის პროცესში იგი (რნმ) უჯრედში გადის ერთჯაჭვიანი დნმ-ს (ე.წ. პროდნმ-ს) სტადიას, რომელიც უვექტურად ინტეგრირებს სამიზნე უჯრედის განომთან. როგორც ცნობილია, ვიბრიონის რნმ-ს დნმ-დ ტრანსფორმაცია ხორციელდება ფერმენტ რევერტაზას მეშვეობით, ხოლო პროდნმ-ს ინტეგრაცია სამიზნე უჯრედის გენომში, ფერმენტ ინტეგრაზათი.

აღსანიშნავია, რომ რეტროვირუსებს აქვთ მთელი რიგი სპეციფიკური თვისებები. იმ დროს, როდესაც მრავალი სხვა ტიპის ვირუსი იწვევს დაინფიცირებული სამიზნე უჯრედის დესტრუქციას, რეტროვირუსები, როგორც წესი, იწვევენ ქრონიკულ ინფექციას. რეტროვირუსული წარმოშობის გენების ხანგრძლივ ექსპრესიას, ჩვეულებრივ, თან არ ახლავს ციტოტოქსიკური ეფექტები, რადგანაც რეტროვირუსების უმეტესობა არ იწვევს მგრძნობიარე უჯრედების დესტრუქციას. პირიქით, რეტროვირუსული ინფექციის შემთხვევაში ეშირად ძლიერდება უჯრედული პროლიფერაცია.

ცნობილია, რომ რეტროვირუსების ოჯახში შემავალი 7 გვარიდან 5-ს (ალფარეტროვირუსებს, ბეტარეტროვირუსებს, გამარეტროვირუსებს, დელტარეტროვირუსებს და აფსილონრეტროვირუსებს) უკვე დაუდგინდათ ონკოგენური პოტენციალი. კითხვის ქვეშაა ასეთივე პოტენციალის არსებობა რეტროვირუსების ოჯახის სპუმაგირუსის და ლენტივირუსის გვარებში.

სპუმა- და ლენტივირუსების ონკოგენური პოტენციალის დადგენას ჩვენ შევეცდებით კანცეროგენეზის კარიოგამული თეორიის პოზიციებიდან [1, 2]. ამ თეორიის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატის მიხედვით, ნებისმიერი ვირუსი (ან სხვა ბუნების აგენტი ან ფაქტორი), რომელიც სომატურ უჯრედებში იწვევს ფუზოგენიას, შესაძლებელია ჩაითვალოს პოტენციურ კანცეროგენად (სრულ კანცეროგენად ან ინიციატორად მაინც) [3].

სპუმაგირუსების გვარის წარმომადგენლებს (ისვევ როგორც ლენტივირუსებს) აღმოაჩნდათ ფუზოგენური თვისებები. კერძოდ, ისინი წარმოქმნიან პოლიკარიოციტებს (სიმპლასტებს). აღნიშნული ეფექტი კი, გამომდინარე კარიოგამული თეორიის პოზიციებიდან, შესაძლებელია მიუთითებდეს სპუმაგირუსების ონკოგენურ პოტენციალზე. იმ შემთხვევაში, თუკი ესა თუ ის ვირუსი წარმოქმნის პოლიკარიოციტებს, მან არ შეიძლება პარალელურად არ წარმოქმნას მაღალი ონკოგენური პოტენციალის მქონე დიკარიონებიც.

სპუმაგირუსების სომატურ უჯრედებზე ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი პოლიკარიოციტები სიცოცხლისუცნარონი არიან, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ე.წ. გენეტიკურ ჩიხს, არ შედიან უჯრედული ციკლის S ფაზაში, შესაბამისად, მიტოზში და მაღლ იდუპლიბიან. რაც შეეხება დიკარიონებს, ისინი ზოგჯერ, კერძოდ, ბირთვების გაერთიანების შემთხვევაში, შეიძლება ტრანსფორმირდნენ ერთბირთვიან პიტრიდულ სინკარიონად, ანუ პრე-

კანცეროზულ უჯრედად. ეს უჯრედი გენოტიპურად სრულიად განსხვავებულია მისი საწყისი უჯრედებისაგან, ფენოტიპურად კი შეიძლება დაემსგავსოს ერთ-ერთ მათგანს ანდა შესაძლებელია ჰქონდეს ე.წ. შუალედური, ანუ მოზაიკური მორფოლოგია.

ლენტივირუსების გვარის წარმომადგენლებს, კერძოდ, აიგ-ს, ასევე აღმოაჩნდა ფუზოგენური თვისებები. ცნობილია, რომ მათ უჯრედულ დონეზე აქვთ ორმაგი პათოგენური – ციტოდესტრუქციული და ციტოპროლიფერაციული მოქმედების უნარი. აიგ-მა ერთ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს ინფექციური პროცესი (შეძენილი იმუნოდეფიციტი – შიდსი), რადგან იწვევს იმუნოკომპეტენტური უჯრედების კატასტროფულ შემცირებას პირდაპირი ციტოდესტრუქციული მოქმედებით ან ფუზოგენით, კერძოდ, სიცოცხლისუცნარო პოლიკარიოციტების ფორმირებით [4]. მეორე შემთხვევაში აიგ-მა შეიძლება გამოიწვიოს ონკოგენური პროცესები (კაპოშის სარკომა, ლიმფომები) მაღალი ონკოგენური პოტენციალის მქონე დიკარიონების ფორმირების გამო. ამის ყველაზე დემონსტრაციული, უკვე დადგენილი წარმომადგენელია EB ვირუსი ჰერპესვირუსების ოჯახიდან (HHV-4), რომელსაც შეუძლია დიამეტრულად საწინააღმდეგო პროცესების ინდუცირება, ერთ შემთხვევაში – ინფექციური მონოუკლეოზი, ხოლო მეორე შემთხვევაში – ძალზე აგრესიული ბერკიტის ლიმფომა.

## დასკვნა

ამრიგად, გამოკვლეულით დადგინდა, რომ რეტროვირუსების ოჯახის 7-ვე გვარის წარმომადგენლებს, მათ შორის რეტროვირუსებს და სპუმავირუსებს, აქვთ სხვადასხვა ინტენსიურობის ონკოგენური პოტენციალი.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. L. Hallion. Sur la pathogenie du cancer; theorie karyogamique. Press Med. 1907, pp. 10-11.
2. G.K.Gogichadze, E.V. Misabishvili, T.G. Gogichadze. Tumor cell formation by normal somatic cells fusing and cancer prevention prospects. Med. Hypotheses, Vol. 66, №1, 2006, pp.133-136.
3. G.K. Gogichadze, T.G. Gogichadze, G.K. Kamkamidze. Presumably Common Trigger Mechanism of Action of Diametrically Different Carcinogens on Target Cells. Cancer and Oncology Research, №1(2) 2013, pp. 65-68.
4. J. D. Lifson, G. R. Reyes, M. S. McGrath et al. AIDS retrovirus induced cytopathology: giant cell formation and involvement of CD4 antigen. Science. Vol. 232, 1986, pp. 1123-1127.

## MEDICAL MICROBIOLOGY

### ON THE POSSIBLE ONCOGENIC POTENTIAL OF LENTI- AND SPUMAVIRUSES

**G. Gogichadze, E. Misabishvili, Ts. Eradze**

(Institute Techinformi of the Georgian Technical University)

**Resume:** The possible oncogenic potential of lenti- and spumaviruses has been established from the standpoint of the karyogamic theory of carcinogenesis. According to one of the major postulates of this theory, any virus inducing fusogeny in somatic cells can be considered as a potential carcinogen. Representatives of the family of retroviruses reveal fusogenic properties. In particular, they form polykaryocytes. Since these viruses are capable of provoking the formation of polykaryocytes, they evidently can produce in parallel dikaryons of high oncogenic potential.

**Key words:** carcinogenesis; dikaryons; lentiviruses; polykaryocytes; spumaviruses.

## МЕДИЦИНСКАЯ МИКРОБИОЛОГИЯ

### ВОЗМОЖНЫЙ ОНКОГЕННЫЙ ПОТЕНЦИАЛ ЛЕНТИ- И СПУМАВИРУСОВ

**Гогичадзе Г.К., Мисабишвили Е.В., Эрадзе Ц. Ш.**

(Институт Техинформи Грузинского технического университета)

**Резюме.** Онкогенный потенциал ленти- и спумавирусов установлен с позиции кариогаммной теории канцерогенеза. В соответствии с одним из главных постулатов этой теории, любой вирус (любой агент или фактор другого происхождения), который индуцирует фузогению в соматических клетках, можно рассмотреть в качестве потенциального канцерогена. Представители семейства ретровирусов обнаруживают фузогенные свойства. В частности, они формируют поликариоциты. Так как эти вирусы способны провоцировать образование поликариоцитов, они, вероятно, могут параллельно продуцировать и дикарионы с высокой онкогенной потенцией.

**Ключевые слова:** дикарионы; канцерогенез; лентивирусы; поликариоциты; спумавирусы.

## ბირთვული ენერგეტიკის ავარიეტიპა საშართველოში

ნათია არაბიძე, სოსო მინდიაშვილი, ირაკლი ფოფხაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

**რეზიუმე:** განხილულია ბირთვული ენერგეტიკა, როგორც XX საუკუნის ენერგეტიკის უდიდესი მიღწევა და ამ დარგის განვითარების პერსპექტივა საქართველოში.

იმ ენერგიის აღმოჩენის მომენტიდან მოყოლებული, რისი მოცემაც რადიოაქტიურ საწვავს შეუძლია, კაცობრიობა მუდმივად ვითარდება და ხელში ბირთვული რეაქტორის კონსტრუქციულ მახასიათებლებსა და თავისებურებებს.

მეცნიერები აქტიურად მუშაობენ ახალი, უფრო ეფექტური რეაქტორების შექმნაზე და მომავალში მათ უფრო მასშტაბურ გამოყენებაზე.

საქართველოს, რომელსაც მოთხოვნილების ზრდიდან გამომდინარე, ბევრად უფრო მეტი ელექტროენერგია ესაჭიროება, შესაძლებლობა აქვს სრულიად ინოვაციური რეაქტორის მშენებლობით გადაჭრას ეს პრობლემა.

**საკანდო სიტყვები:** ატომური ელექტროსადგური (აეს); ატომური რეაქტორი; ბირთვული ენერგეტიკა.

### შესავალი

XX საუკუნეში მსოფლიოში აღმოცენდა და განვითარდა ენერგეტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პერსპექტიული სფერო – ბირთვული ენერგეტიკა.

ბირთვული ენერგეტიკის ისტორია იწყება 1942 წლის 20 დეკემბრიდან, როდესაც ჩიკაგოს უნივერსიტეტში პირველად განხორციელდა ჯაჭვური რეაქცია. 1951 წლის 20 დეკემბერს სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე EBR-I (Experimental Breeder Reactor) რეაქტორის მეშვეობით პირველად გამოიმუშავეს ელექტროენერგია. 1954 წლის 9 მაისს ქ. ობნინსკში (რუსეთი) ამუშავდა 5 კვტ სიმძლავრის პირველი ატომური რეაქტორი. ამ რეაქტორში გამომუშავებული ელექტროენერგია იყო პირველი, რომელიც ჩაერთო ერთობლივ სამომხმარებლო ქსელში.

1955 წელს ბირთვული ენერგიის სფეროში ჩატარებულ პირველ საერთასორისო სამეცნიერო კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ამიერიდან ეს სფერო აღარ იქნება გასაიდუმლობული. ამ მომენტიდან ბირთვული ენერგეტიკა აღიარებულ იქნა მსოფლიო ენერგეტიკის უმნიშვნელოვანების და პერსპექტიულ დარგად.

2017 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ფუნქციონირებს 449 ატომური ელექტროსადგური 369 818 მეგ კვტ ერთობლივი დადგმული სიმძლავრით, რაც მსოფლიოში გამომუშავებული ელექტროენერგიის 11 %-ია.

ბირთვული ენერგეტიკის დარგში პირველ ხუთეულშია:

- აშშ (804 მლრდ კვტ სთ/წ), სადაც 99 აეს-ი გამოიმუშავებს ელექტროენერგიის 20 %-ს.
- საფრანგეთი (379 მლრდ კვტ სთ/წ) – 58 აეს-ი გამოიმუშავებს ელექტროენერგიის 78,1 %-ს.

- ჩინეთი (210 მლრდ კვტ სთ/წ) – 39 რეაქტორი გამოიმუშავებს ელექტროენერგიის 3,6 %-ს.
- რუსეთი (187 მლრდ კვტ სთ/წ) – 37 რეაქტორი გამოიმუშავებს ელექტროენერგიის 17,8 %-ს.
- სამხრეთ კორეა (141 მლრდ კვტ სთ/წ) – 24 რეაქტორი გამოიმუშავებს ელექტროენერგიის 27,1 %-ს.

ამ მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ აეს-ები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ენერგეტიკაში. დამაბრკოლებელ ფაქტორებად ითვლება პირველ რიგში რადიოაქტიურობა, რომელიც ადამიანისათვის მომაკვდინებელია და ის, რომ აეს-ის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შევვანა საკმაოდ დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული.

## ძირითადი ნაწილი

აეს-ში თბური ენერგიის გამომუშავების წყაროა ჯაჭვური რეაქცია. რადიოაქტიური საწვავის ატომები ნეიტრონთან შეჯახების შედეგად იშლება და წარმოქმნება ახალი ნეიტრონები, რომლებიც შლის სხვა ატომებს და ეს რეაქცია ჯაჭვურად მიმდინარეობს, რის შედეგადაც კოლოსალური რაოდენობის სითბო გამოიყოფა.

მუშაობის პრინციპით აეს-ი თბოელექტროსადგურს (თეს) წააგავს, სადაც საწვავის წვის შედეგად მიღებული სითბო გადაეცემა წყალს, წყალი ცხელდება და გენერირდება ორთქლად, რომელიც ატრიალებს ტურბინას და მექანიკური ენერგია გარდაქმნება ელექტროენერგიად. პრინციპული და უმნიშვნელოვანები განსხვავება თეს-სა და აეს-ს შორის საწვავშია. თეს-ში საწვავად გამოიყენება ნახშირი, ბუნებრივი აირი, მაზუთი (უფრო იშვიათად); ადრე ტორფსა და წვად ფიქალსაც იყენებდნენ. აეს-ში სითბოს გამოყოფა გაცილებით რთული და საშიში რეაქციის მეშვეობით ხდება. აეს-ის საწვავი ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. ბუნებრივი ურანის საწვავი – პლუტონიუმ-239, რომელიც ნედლი სახის საწვავისაგან მიიღება; 2. იზოტოპები ურან-233 და თორიუმ 232, რომლებიც ბირთვის მიერ ნეიტრონების მიერთების შედეგად წარმოიქმნება.


ატომური რეაქტორები ძირითადად ორ ტიპად იყოფა. ერთია თბურ ნეიტრონებზე მომუშავე და, მეორე, სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორები.

თბურ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორები, ანუ წყალ-წყლის ენერგეტიკული რეაქტორები (წწერ). პრინციპული სქემის მიხედვით თეს-ებისაგან ძირითადად განსხვავდება როგორც აქტიური ზონით, ისე კ. წ. კონტურების რაოდენობით.

არსებობს ორ- და სამკონტურიანი აეს-ები. ორკონტურიან აეს-ში წყალი, რომელიც პირველ კონტურშია მოთავსებული, სითბოს აარომევს აქტიურ ზონას და მიმართავს ორთქლგენერატორისაკენ, სადაც რადიატორის პრინციპით სითბოს გადასცემს მეორე კონტურში გამდინარ წყალს. წყალი ცხელდება, გარდაიქმნება ორთქლად და ატრიალებს ტურბინას. სამკონტურიანი სქემის შემთხვევაში პირველ და მეორე კონტურს შორის მოთავსებულია დამატებითი კონტური, რომელიც მოქმედებს იმავე პრინციპით. მისი ფუნქციაა უფრო მეტი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რათა პირველი კონტურის რადიოაქტიური წყალი არ შეერიოს მეორე კონტურის წყალს, რომელიც ორთქლად გარდაქმნილი ტურბინისაკენ მიემართება.

რადგანაც თეს-სა და აეს-ს შორის ძირითადი პრინციპული განსხვავება კონტურების რაოდენობასა და სითბოგამომყოფ ზონას უკავშირდება, ცალ-ცალკე განვიხილოთ წწერ-ის ზოგადი პრინციპული სქემა და აქტიური ზონის სითბოგამომყოფი ელემენტები.

აქვე წარმოგიდგენთ წწერ-1000-ის პირველი კონტურის ზოგად პრინციპულ სქემას.



ნახ. 1. წყერის ზოგადი პრინციპული სქემა: 1 – რეაქტორი; 2 – საბარბიტაჟო ავზი; 3 – ავარიული გაცივების სისტემის წყლის აგზები (მოცულობის კომპენსატორი), 4 – მოცულობის კომპენსატორები, 5 – სპლინერი; 6 – ორთქლგანერატორი; 7 – მთავარი საცირკულაციო ტუბმბო, 8, 15 – რეგენერაციული თბოგადამცემი; 9 – სითბომცვლელები; 10 – ბორის ავზი აგარიული სიტუაციებისათვის; 11 – დაყოვნების ავზი; 12 – საკონდენსაციო ტუბმბო; 13 – თბოგადამცემები; 14 – კვების დაწარატორი; 16 – ბორის აგარიული ნაკადის მისაღები ავზი; 17 – კვების ტუბმბო; 18 – აგარიული გაცივების თბოგადამცემები; 19 – თბოგადამცემების აგარიული საკონდენსაციო ტუბმბო; 20 – ბორის აგარიული გაფრქვევის ტუბმბო; 21 – გაფრქვეული ბორის მიღების ტუბმბო, 22 – ბორის აგარიული ავზი, 23 – სპრინკლერის ტუბმბო; 24 – წყლის გადინების ტუბმბო; 25 – სპრინკლერის სისტემისათვის საჭირო სითხეების ავზი; 26 – აგარიული კვების ტუბმბო; 27 – უმარილო წყლის აგარიული ავზი; 28 – მცველი სარქველი; 29 – სწრაფმოქმედი რედუქციული დანაღგარი

1-ლი ნახ-ის მიხედვით, შესაძლებელია არა მარტო რეაქტორის პრინციპული სქემის განსაზღვრა, არამედ იმის დანახვაც, თუ რამდენი და როგორი უსაფრთხოების სისტემა არსებობს.

თბურ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორის მუშაობის პრინციპი შედარებით მარტივია. ის ეფუძნება ურან-235-ის კრიტიკული მასის მიღწევის შედეგად თვითშენარჩუნებადი ჯაჭვური რეაქციის მიღებას. კრიტიკული მასა რადიოაქტიური საწვავის ის რაოდენობაა, რომლის დროსაც იწყება ნივთიერების თვითნებური დაშლა. ურან-235-ის შემთხვევაში კრიტიკული მასაა 0.8 კგ (ნედლი ურანის შემთხვევაში – 50 კგ). აქ ურან-235 მხოლოდ 0.714 %-ია, დანარჩენი 99.28 % – ურან-238. 0.006 % კი – ურან-234. ურან-238-ის დასაშლელად, რომელშიც ნედლი საწვავის თითქმის სრული მასაა, საჭიროა 1 მლნ ელექტრონგვოლტზე მეტი ენერგიის მქონე ნეიტრონები და ამ შემთხვევაშიც დაშლა უმნიშვნელოა).


ურან-235-ის გაყოფისას საჭიროა სწრაფი ნეიტრონების შენელება, რათა ისინი არ ასცდნენ მეზობელ ატომებს და შესაძლებელი გახდეს ჯაჭვური რეაქციის დაწყება. ამასთან, აუცილებელია დაშლის შედეგად გამოყოფილი სითბოს გადაცემა მისი შემდგომი გამოყენებისათვის, ასევე აქტიურ ზონაში გამოყოფილი რადიაციისგან გარემოს დაცვა. რეაქტორის აქტიური ზონის ბიოლოგიური დაცვისათვის ნეიტრონების შემანელებლად და თბოგადამცემადაც გამოიყენება წყალი, ასევე სუფთა გრაფიტი, მძიმე წყალი და სხვ. (ამ შემთხვევაში იგულისმება ჩვეულებრივი სასმელი წყალი).

როგორც ზემოთ აღვხიშვეთ, აეს-ის მუშაობის პრინციპის ასახსნელად მნიშვნელოვანია თვით რეაქტორის კონსტრუქციის განხილვა. რეაქტორის აქტიური ზონა მოთავსებულია ფოლადის ცილინდრულ ან კვადრატულ გარსაცმში, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა

ბეტონის საძირკველს. გარსაცმი, რომელშიაც აქტიური ზონა მდებარეობს, იზოლირებულია და რკინაბეტონის კონსტრუქციაში მყარადაა მოთავსებული. აქტიური ზონა იკვებება წნევის ქვეშ მყოფი წყლით, რათა მოხდეს სითბოს სწრაფი არინება, ზონის გაცივება და წყლის გაცხელება ნომინალურ ტემპერატურამდე (ნომინალურ ტემპერატურა დამოკიდებულია რეაქტორის ტიპები, სიმძლავრეზე, კონსტრუქციულ თავისებურებებზე და ა. შ.).


კონსტრუქციის ძირითად ნაწილია აქტიური ზონა, რომელშიაც საწვავია მოთავსებული. წწერ-1000-ის შემთხვევაში აქტიური ზონა შედგება 61 რეგულირებადი და 102 არარეგულირებადი უგარსაცმო აწყობილი მუშა არხისაგან. აქ საწვავად გამოიყენება მცირედ გამდიდრებული ურანის დიოქსიდი. მუშა არხი შედგება 312 სითბოგამომყოფი ელემენტისაგან. აქტიურ ზონაში გამოიყენება 715 000 კგ საწვავი.

მიუხედავად იმისა, რომ ჯაჭვური რეაქციის მისაღებად უფრო ხელსაყრელია საწვავის მაქსიმალური ზედაპირის არხებობა (მაგალითად, სფეროსებრი), რეაქტორში ისინი წარმოდგენილია ცილინდრის სახით და მოთავსებულია ალუმინის „მილაკში“, რომელსაც სიბოგამომყოფ ელემენტს უწოდებენ (ნახ. 2).



ნახ. 2. სითბოგამომყოფი ელემენტის შემაღებელი ნაწილები: 1 – ქვედა სახშობი; 2 – ზამბარის მილისი; 3 – საწვავი აბი; 4 – გარსაცმი; 5 – მილისი; 6 – დაბოლოება

რეაქტორში ეწყობა ე. წ. „მუშა არხი“, რომელიც შედგება რამდენიმე ათეული სითბოგამომყოფი ელემენტისგან (ნახ. 3).



ნახ. 3. აწყობილი მუშა არხი: 1 – სახურავი, საიდანაც ხდება სითბოგამომყოფი ელემენტების შუშა არხში მოთავსება; 2 – თავსაფარი, რომელიც უზრუნველყოფს კონსტრუქციისა და საწვავის არხების სიმტკიცეს; 3 – ზედა ბადე, რომელზედაც მიმაგრებულია სითბოგამომყოფი ელემენტები; 4 – მუშა არხის კორპუსი; 5 – სითბოგამომყოფი ელემენტები (ცირკონიუმის მილაკები, სადაც ურან-235-ია მოთავსებული); 6 – ქვედა ბადე, რომელიც კორპუსის სიმტკიცესა და კონსტრუქციის სიმტკიცეს უზრუნველყოფს, 7 – კონსტრუქციის „კუდი“; 8 – არხი, საიდანაც ხდება სითბოგამომყოფი ელემენტების განთავსება

ადსანიშნავია, რომ წწერ-ის (იგივე თბეურ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორის) აქტიური ზონა კონსტრუქციულად განსხვავებულია სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორისაგან.

რეაქციის მიმდინარეობის რეგულირება (შესაბამისად, სიმძლავრის რეგულირება) და ასევე რეაქტორის ჩართვა-გამორთვა ხდება გრაფიტის ღეროების მეშვეობით, რომლებიც სითბოგამომყოფ ელემენტებს შორისაა მოთავსებული და არ აძლევს რადიოაქტიურ ურან-235-ს იმის საშუალებას, რომ დაშლისას გამოყოფილი ნეიტრონებით წამოიწყონ ჯაჭვური რეაქცია.

სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორებზე რეაქციის ეფექტური შემნელებელი არ არსებობს. ამიტომ ურანის დაშლის კოეფიციენტი გაცილებით დიდია. იმისათვის, რომ ურან-235-ის მეტი ნაწილის დაშლა მოხდეს, შესაბამისად, ნეიტრონების ენერგეტიკული ველიც ბევრად უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ეს საჭიროა წწერ-ში. აქედან გამომდინარე, დაშლის შედეგად მიღებული ურან-238-ის დიდი ნაწილი ერთვება რეაქციაში. წინა შემთხვევაში ურან-238-ის დაშლა წწერ ტიპის რეაქტორში წამგებიანი იყო, რადგანაც შენელებულ ნეიტრონებს ბირთვში მოხვედრის და ჯაჭვური რეაქციის გაგრძელების გაცილებით უფრო ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა. ამ შემთხვევაში იზრდება რეაქტორის სიმძლავრეც და პარალელურად შესაძლებელი ხდება მეტი სახის საწვავის გამოყენებაც, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა პირველი წწერ ტიპის რეაქტორების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ ჯაჭვური რეაქციის განხორციელება ნეიტრონების შენელების გარაშე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ არ შეანელებს მსუბუქი ბირთვები. ამიტომ აქ გამორიცხულია წყალბადისა და სხვა თბომცვლელ-საკონდენსაციო ნივთიერებების გამოყენება.

თბოგადამცემის ეფექტური მუშაობისათვის საჭიროა:

- ნეიტრონების შენელების დაბალი მაჩვენებელი;
- მინიმალური დუღილის ტემპერატურა;
- იყოს ნაკლებკოროზიული, რეაქტორის გამართული ფუნქციონირებისა და საექსპლუატაციო ვადის შესანარჩუნებლად;
- იყოს დიდეფექტიანი და დაშლისას გამოყოფილი ენერგია არ უნდა აღმოჩნდეს წწერში ჯაჭვური რეაქციის შედეგად მიღებულ ენერგიაზე ნაკლები.

უკელა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შეძლო რამდენიმე მსუბუქმა ლითონმა: ნატრიუმმა, ვერცხლისწყალმა და ტყვიამ (თუმცა ვერცხლისწყალი მაღალკარიზიულია. ამიტომ დარჩა მხოლოდ ნატრიუმი და ტყვია). სხვა მსუბუქ ლითონებთან შედარებით, ნატრიუმის დუღილის ტემპერატურა დაბალია ( $98^{\circ}\text{C}$ ). ნატრიუმის გამოყენება მოგებიანია იმ მხრივაც, რომ ის ნაკლებკოროზიულია.

სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორის პრინციპული სქემა დიდად არ განხვავდება წწერ ტიპისაგან. აქტიურ ზონაში მოთავსებულია საწვავი, რომელიც იშლება მეტი ეფექტურობით და დაშლისას გამოყოფს სითბოს. სითბოს არინებას ახდენს თბოგადამცემი (ამ შემთხვევაში ნატრიუმი). ნატრიუმი სითბოს გადასცემს ორთქლგენერატორს, სადაც მეორე კონტურის მიღებში გადის წყალი, რომელიც, თავის მხრივ, აორთქლების შედეგად წნევის ქვეშ მყოფი მიემართება ტურბინისაკენ.

ასეთი ტიპის რეაქტორებზე მეცნიერებმა მსჯელობა 1950-იან წლებში დაიწყეს, თუმცა იმის გამო, რომ ასეთი ტიპის რეაქტორს სჭირდებოდა უფრო მეტი კონტროლი და უფრო მაღალი დონის ტემპერატური, პროექტები მაღალ დაიხურა.

2009 წელს საფრანგეთში ამუშავდა სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე პირველი რეაქტორი (phenix). შემდეგ რესეტშიც მოხდა ანალოგიური ტიპის რეაქტორების ამუშავება. ევლაზე ძლიერი დღესდღისობით არის 880 მეგატ სიმძლავრის BN-800 ტიპის რეაქტორი, რომელიც 1980 წელს იქნა გაშვებული ექსპლუატაციაში. სითბოგადამცემად იქაც ნატრიუმი იყო გამოყენებული.

სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორს ბევრი დადებითი მახასიათებელი გააჩნია:

- წწერ რეაქტორები საწვავად იყენებს მხოლოდ ურან-235-ს და პლუტონიუმ-238-ს (ყველა სხვა საწვავი არაეფექტურია); ნარჩენები ექვემდებარება უტილიზაციას და მათი გამოყენება ამავე ტიპის რეაქტორში შეუძლებელია. სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორში კი შესაძლებელია ამ ნარჩენების მეორეული გამოყენება და დიდი რაოდენობის

ენერგიის მიღება. ამასთან, საწვავად, ზემოაღნიშნულის გარდა, შეიძლება სამხედრო მიზნებისთვის განკუთვნილი ბირთვული საწვავის გამოყენებაც;

- ამ რეაქტორების თბოგადამცემი (ამ შემთხვევაში ნატრიუმი) არ იმყოფება წნევის ქვეშ, ამიტომ არ არსებობს მისი გადახურების ან გაუონვის საშიშროება და არც ორთქლ-ცირკონიუმის ურთიერთქმედების რისკი, რაც გახდა იაპონიაში ფუკუსიმას აეს-ზე კატასტროფის მიზეზი;
- დაბალი წნევა რომელიც ზემოხსენებული რეაქტორის შემთხვევაში 7 ატმოსფეროზე ნაკლებია, ასევე ამარტივებს სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორის კონსტრუქციულ თავისებურებებს. მას არ სჭირდება დამატებითი მოწყობილობები (როგორც ეს წწერ რეაქტორებშია), შესაბამისად, არც მათი სარეზერვო და მაკონტროლებელი ხელ-საწყობია საჭირო;
- ამ ტიპის რეაქტორში გამოყენებული ლითონის მაღალი თბოგამტარობა ჰერმეტული ელექტროტუმბოების ეფექტური მუშაობის საშუალებას იძლევა;
- რეაქტორის მთავარი პრივილეგია ალბათ ისაა, რომ მასში თხევადი ლითონები ერთ-ატომიანია და თბოგადამცემში რადიაციული რდვევის პრობლემა არ არსებობს, რადგან ლითონის ატომების მხოლოდ მცირე ნაწილი შეიძლება გარდაიქმნას სხვა ლითონად.

წწერ ტიპის რეაქტორებს გარკვეული დადებითი მხარეებიც აქვა:

- ტუტე ლითონების ურთიერთქმედება წყალთან საშიშია, რადგანაც ნატრიუმი სითბოს გადასცემს წყალს და ამ შემთხვევაში იზრდება მათ შორის ბარიერის რდგვევისა და ავარიული სიტუაციის წარმოქმნის რისკი. ანალოგიური შემთხვევები ყოფილა, თუმცა, საბედნიეროდ, მათი დროული აღმოფხვრა მოხერხდა. ეს პრობლემა არ არსებობს წწერ ტიპის რეაქტორებში;
- თბოგადაცემის აქტივაციის პროცედურა წწერ რეაქტორში მარტივია და, განსხვავებით სხვა ტიპის რეაქტორისგან, დამატებით ბიოლოგიურ დაცვას არ საჭიროებს;
- დღესდღეისობით კარგადაა შესწავლილი ანალოგიური ტიპის რეაქტორები. კაცობროობას კარგად ახსოვს ჩერნობილის კატასტროფა, რომლის გათვალისწინებითაც დაიხვეწა სისტემები და ტექნოლოგიები;
- წწერ რეაქტორებში შესაძლებელია თბოგადამცემის სამკონტრიანი სქემის გამოყენება, რაც განსაკუთრებით ზრდის უსაფრთხოების დონეს.

დღეს, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნები, საქართველოც დგას ისეთი პრობლემის წინაშე, როგორიცაა ელექტოენერგიის მოთხოვნილების მკვეთრი ზრდა. ამიტომ სხვა ალტერნატიულ წყაროებთან ერთად დღის წესრიგში შეიძლება დადგეს აეს-ის მშენებლობის საკითხი.

უოგელივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში უფრო მიზანშეწონილი იქნება სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორის მშენებლობა, რომელიც წაადგება ქვეყნის არა მარტო ენერგეტიკას და ეკონომიკას, არამედ საგარეო პოლიტიკასა და მეცნიერების განვითარებასაც.

სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორის მშენებლობას საქართველოში, მთელი რიგი პრივილეგიები გააჩნია, კერძოდ:

- შემცირდება ელექტროენერგიის იმპორტი და გაიზრდება ექსპორტი. საქართველოს შემატება ენერგიის ახალი სტაბილური წყარო და, შესაბამისად, გაიზრდება ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობა;
- სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორის მშენებლობის შემთხვევაში გაიზრდება უცხოური ინვესტორების ინტერესი, რადგანაც ასეთ რეაქტორში შესაძლებელია წწერ

რეაქტორებისა და სამხედრო რადიოაქტიური ნარჩენების გაუგებელყოფა. საქართველო იღებს საწვავს, რომლის უტილიზაცია დღესაც პრობლემაა და იყენებს მას ელექტროენერგიის მისაღებად. ამასთან, იქცევს ინგენიერების ყურადღებას და იძენს პოლიტიკურ ინტერესს;

- ვითარდება საქართველოს სამეცნიერო სივრცა, ენერგეტიკის ახალი პერსპექტიული დარგი და ჩნდება მოთხოვნა სპეციალისტებზე;

სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორის ტექნოლოგიების გათვალისწინებით, საჭიროა ადგილის სწორად შერჩევა, რადგანაც აქს-ი უნდა აშენდეს იქ, სადაც მიწისქვეშა წყლების დონე და ქანების მოძრაობის მაჩვენებლი დაბალია.

ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია 1200 მეგვტ სიმძლავრის BN-800 ტიპის რეაქტორის მშენებლობა. ასეთი ტიპის რეაქტორის ტექნოლოგია მეტად დახვეწილია და პრაქტიკაშიც დღესდღისობით ყველაზე აქტიურად გამოიყენება. თუმცა, აქს-ის მშენებლობის ყველაზე დამაბრკოლებელ ფაქტორად ითვლება ის, რომ დღეს ქვეყნის 20 % ოკუპირებულია.

## დასკვნა

ატომური ენერგეტიკა მეცნიერების სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე ახალგაზრდათა. მიუხედავად ამისა, მცირე პერიოდში მეცნიერებმა აღმოაჩინეს, დახვეწილია განავითარეს ელექტროენერგიის მიღების ის საშუალება, რომელიც ყველაზე პერსპექტიულ სფეროდაც შეიძლება ჩაითვალოს.

ტექნოლოგიების დახვეწილი შესაძლებელი გახდა ატომის დაშლის პროცესის კონტროლის უმაღლეს დონეზე აყვანა და, შესაბამისად, ენერგიის სტაბილური წყაროს მიღება.

სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე რეაქტორები ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს ქვეყნისთვის, რადგანაც ისინი უსაფრთხოების დონით გაცილებით მაღალ საფეხურზე დგანან, ვიდრე წწერ რეაქტორები; გარდა ამისა, მუშაობენ ისეთი ტიპის საწვავზე, რომელიც კაცობრიობამ რადიოაქტიური ნარჩენების სახით უკვე საქმაოდ დააგროვა.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Левин В. Е. Ядерная физика и ядерные реакторы. 4-е изд. М.: Атомиздат, 1979.
2. Петунин В.П. Теплоэнергетика ядерных установок. М.: Атомиздат, 1960.
3. ა. კალანდია. რადიოქიმიისა და დოზიმეტრიის საფუძვლები. თბ.: საბჭოთა საქართველო, 1964.
4. Transient and accident analysis of BN-800 type LEFR with near zero void effect. Final report. European commission 1994-1998.

**PERSPECTIVE OF NUCLEAR ENERGY IN GEORGIA**

**N. Arabidze, S. Mindiashvili, I. Popkhadze**

(Georgian Technical University)

**Resume:** There is considered nuclear power, as the greatest achievement of the XX century and the prospect of its development in Georgia. From the moment of the energy, that can be given off by nuclear fuel can be supplied by mankind, it goes ahead and improves the design of the characteristics and characteristics of the reactor. Among scientists are working on the construction of a new more efficient reactor and its large-scale operations.

Georgia, as a country, that is on the rise demand of electricity has a chance with the construction of the innovative reactor to solve this problem and at the same time getting a benefit.

**Key words:** atomic power station; nuclear power engineering; nuclear energetics.

**ЭНЕРГЕТИКА**

**ПЕРСПЕКТИВА ЯДЕРНОЙ ЭНЕРГЕТИКИ В ГРУЗИИ**

**Арабидзе Н. Г., Миндиашвили С.Т., Попхадзе И. Т.**

(Грузинский технический университет)

**Резюме.** Рассмотрена ядерная энергетика как величайшее достижение ХХ века, и ее перспектива в Грузии. С момента открытия энергии, которая может дать ядерное топливо человечеству, постоянно развиваются и совершенствуются конструктивные характеристики и особенности реактора. Среди ученых идет работа по созданию нового, более эффективного реактора и о его масштабного использования.

Грузия, как страна, которая по росту требованиям электроэнергии, имеет шанс с постройкой инновационного реактора решить эту проблему.

**Ключевые слова:** атомная электростанция; атомный реактор; ядерная энергетика.

## ცილინდრული ნამზადის რაღიალური მოჰიმის პროცესი დეფორმაციების და ძაბვების კვლევა

სლავა მებონია, დავით გვენცაძე, ალექსანდრე შერმაზანაშვილი  
(რ. დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი)

**რეზიუმე:** განხილულია ცილინდრული ნამზადის დაბაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა რადიალური საჭედი მანქანების დეფორმაციის კერაში და შესწავლილია ნამზადში მოქმედი ძაბვები. რადიალური ჭედვის პროცესში ძაბვების ზუსტი განსაზღვრა აუცილებელია პროცესის სათანადო წარმართვისა და მაღალხარისხოვანი ნაკეთობების მიღებისათვის.

წარმოადგენილია ცილინდრული ნამზადის რადიალური მოჭიმვის პროცესში დეფორმაციებისა და ძაბვების ექსპერიმენტული კვლევის შედეგები. კვლევა ჩატარდა რადიალური მოჭიმვის სპეციალურ მოწყობილობაზე, რომელიც სტანდარტული გამოსაცდელი წესის დახმარებით ცილინდრული ფორმის ნიმუშების რადიალური დეფორმაციის სხვადასხვა რეჟიმის განხორციელების საშუალებას იძლევა. ექსპერიმენტით მიღებული შედეგების ანალიზით დადგინდა, რომ 20 და 24 მმ დიამეტრის ქონე ნიმუშების დეფორმაციის დროს ნიმუშებში მოქმედი ძაბვები დეფორმაციის კერაში თოთქმის თანაბრად იცვლება.

**საკვანძო სიტყვები:** რადიალური მოჭიმვა; ძალა; დეფორმაცია; ძაბვა.

### შესავალი


რადიალური ჭედვის პროცესი უზრუნველყოფს მიღებული ნაკეთობების ზომების მაღალ სიზუსტეს და ზედაპირის ხარისხს. ეს განსაკუთრებით ციფად დამუშავებას ეხება. ამ დროს ხარისხობრივი მაჩვენებლები ძალიან მაღალია – ზომების სიზუსტე აღწევს მე-2, მე-3 კლასს, ხოლო ზედაპირის სისუფთავე – მე-9, მე-10 კლასს, რაც დამახასიათებელია ლითონისაჭრელ ჩარხებზე დამუშავებული დეტალებისათვის. ე.ი. რადიალურ საჭედ მანქანაზე შესაძლებელია მინიმალური დანახარჯებით ზუსტი ზომების, სუფთა ზედაპირისა და მაღალი მექანიკური თვისებების მქონე მზა ლითონური ნაკეთობების მიღება [1, 2].

რადიალური ჭედვით მიიღება მანქანათმშენებლობაში გამოსაყენებლ დერძსიმეტრიული დეტალები: საფეხურებიანი ლილები და დერძები, შიგასაფეხურებიანი და სპირალურ შლიცებიანი მიღები [3].

ჭედვის პროცესში რადიალურ საჭედ მანქანაზე მოქმედებს გარკვეული ძალები, ხოლო ნამზადში იქმნება როტული დაბამულ-დეფორმირებული მდგომარეობა, რომლის განსაზღვრა ძალზე მნიშვნელოვანია რადიალური ჭედვის პროცესის სტაბილურობისათვის და მანქანის საიმედო მუშაობისათვის.


## ძირითადი ნაწილი

რადიალური ჭედვის პროცესში მოქმედ ძაბვათა სქემა მოცემულია 1-ლ ნახ-ზე.



ნახ. 1. რადიალური ჭედვის პროცესში მოქმედ ძაბვათა სქემა:  
1 – საცემელები; 2 – ნამზადი

ჭედვის დროს ლითონი იმყოფება საცემელების მოქმედების ზონაში და განიცდის აქტიური მკუმშავი  $P_x$  ძალისა და ხახუნის  $T_1$  და  $T_2$  ძალების ზემოქმედებას. აქტიური მკუმშავი  $P_x$  ძალა ლითონზე გამოიწვევს  $\sigma_1$  და  $\sigma_3$  ძაბვებს. ხახუნის  $T_1$  და  $T_2$  ძალების მოქმედების გამო გაჩნდება  $\sigma_2$  მკუმშავი ძაბვა. ასე რომ, რადიალური ჭედვის პროცესში ღფფორმაციის კერაში იქმნება ყოველმხვრივ არათანაბარი მკუმშავი დაძაბული მდგომარეობა. დაძაბულ-ღეფორმირებული მდგომარეობის სქემა მოცემულია მე-2 ნახ-ზე.



ნახ. 2. დაძაბულ-ღეფორმირებული მდგომარეობის სქემა:  
ა – მთავარი ძაბვები; ბ – მთავარი ღეფორმაციები


ასეთი მექანიკური სქემა განაპირობებს ყველაზე ხელსაყრელ პირობებს ლითონზი პლასტიკური ღეფორმაციის განხორციელებისათვის. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში კრისტალთშორისი ძვრები შეზღუდულია, პლასტიკური ღეფორმაცია ვითარდება ძირითადად შიგაკრისტალური ძვრების ხარჯზე.

ლითონების წნევით დამუშავების პროცესებში დაძაბულ-ღეფორმირებული მდგომარეობის შესწავლის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, რომელთაგან აღსანიშნავია მასასიათუ-ბლების [4], მასალების პლასტიკური ღეფორმაციისადმი წინაღობის [5], ვარიაციული და

სხვ. მეთოდები [6]. მიღებული შედეგების შემოწმება ხდება ტენზომეტრული და პოლარიზაციულ-ოპტიკური ექსპერიმენტული მეთოდებით. ძაბვებისა და დეფორმაციების შესასწავლად მიზანშეწონილია გამყოფი ბადეების მეთოდების გამოყენება [7-8].

რადიალური მოჭიმვის პროცესში ლითონის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის კვლევა ჩატარდა სპეციალურ მოწყობილობაზე რ. დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის სტანდარტული გამოსაცდელი წნევის დახმარებით, რითაც შესაძლებელი გახდა რადიალური დეფორმაციის სხვადასხვა რეჟიმზე ტყვიის ნიმუშებში დეფორმაციებისა და მოქმედი ძაბვების დაგენა.

აღნიშნული მოწყობილობის კონსტრუქციული სქემა მოცემულია მე-3 ნახ-ზე. სადგარის ზედა ფილაზე (1) დამაგრებულია ორი მიმმართველი შტიფტი (2), რომლებზედაც გადაადგილდება დამწოდილი მილისა (3). დამწოდილი მილისა თავისი შიგა კონუსური ზედაპირით შეუდლებულია მომჭერების (4) გარე კონუსურ ზედაპირებთან. ასეთი მომჭერი ოთხია. მომჭერების შიგა ზედაპირი დახმარების საჭედი მანქანების საცემელების მუშა ზედაპირის ანალოგიურად.




ნახ. 3. მოწყობილობის სქემა: 1 – სადგარის ზედა ფილა;  
2 – მიმმართველი შტიფტი; 3 – დამწოდილი მილისა;  
4 – მომჭერები; 5 – ზამბარა; 6 – ჭანჭიკი

ექსპერიმენტული მოწყობილობა მუშაობს შემდეგი პრინციპით: ნიმუშის ქვედა ბოლო მაგრდება ნამზადის დამჭერში. მოწყობილობა თავსდება წნევის მაგიდაზე. ამის შემდეგ ნიმუში თანდათან გარკვეული ბიჯით გადაადგილდება დეფორმაციის კერაში მანამ, სანამ ნიმუშის წინა ტორსი არ მიაღწევს მომჭერების შიგა ზედაპირს. ამის შემდეგ ჩაირთვება წნევი, რომლის ყვინთა გადაადგილებს დამწოდ მილისას ქვევით წინასწარ გათვლილ მანძილზე. დამწოდილი მილისა თავისი შიგაკონუსური ზედაპირით აწვება მომჭერების გარე-კონუსურ ზედაპირებს და აიძულებს მათ მიუახლოვდნენ ერთმანეთს, რის შედეგადაც ხორციელდება ლითონის პლასტიკური დეფორმაცია და ნიმუშის დიამეტრის მოჭიმვა. წნევის რევერსის შემდეგ დამწოდი მილისა და მომჭერები ზამბარების (5) მეშვეობით უბრუნდება საწყის მდგომარეობას და დეფორმაციის კერაში თავისუფლდება ადგილი ნიმუშის მომდევნო მიწოდებისა და მოჭიმვისათვის.

რადიალური მოჭიმვის პროცესის ექსპერიმენტული კვლევა ჩატარდა რ. დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის მასალების საცდელი ლაბორატორიის წნევზე, რომელიც

ფაქტობრივად კუმშვაზე გამოსაცდელ MC-500 ტიპის დანადგარს წარმოადგენს. ამ დანადგარის სქემა მოცემულია მე-4 ნახ-ზე.



ნახ. 4. კუმშვაზე გამოსაცდელი დანადგარის სქემა

დანადგარის ტექნიკური მახასიათებლები:

დამტვირთავი მოწყობილობის ტიპი – ორკოლონიანი, ვერტიკალური;

მუშა ცილინდრის დიამეტრი – 160 მმ;

მუშა ცილინდრის ფართობი – 201 სმ<sup>2</sup>;

მუშა ცილინდრის დგუშის სვლა – 50 მმ;

მუშა ცილინდრის დგუშის საყენებელი სვლა – 150 მმ;

საყრდენი ფილების ზომები – 320 x 320 მმ;

სამუშაო არის სიმაღლე – 360 მმ;

მაღალი წნევის ტუმბოს ტიპი – ყვინთიანი, არარეგულირებადი;

ნომინალური მუშა წნევა – 25 მეგ პა;

ტუმბოს მწარმოებლურობა – 1,3 x 10<sup>-5</sup> მ<sup>3</sup>/წმ;

ლილვის ბრუნთა რიცხვი – 930 ბრ./წთ;


ზეთის რეკომენდებული მარკები – MC-14, MC-20;

გაბარიტული ზომები – სიგრძე x სიგანე x სიმაღლე – 1050 x 600 x 1370 მმ;

მასა – 420 კგ.

საცდელი MC-500 დანადგარის გამოყენებით, რომელიც აღჭურვილი იყო ზემოთ აღწერილი რადიალური მომჰიმი მოწყობილობით, ლაბორატორიულ პირობებში შესწავლილ იქნა ლითონის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა დეფორმაციის კერაში რადიალური მოჭიმვის დროს. ექსპერიმენტში მონაწილეობდა ორი ნაწილისგან შედგენილი ტყვიის ცილინდრული ნიმუშები, რომელთა ერთ-ერთი ნახევრის დერმულ სიბრტყეში და-

ტანილი იყო წრიული ანაბეჭდები, გ.წ. საკოორდინაციო ბადე. საცდელი ნიმუშები ნაჩვენებია მე-5 ნახ-ზე. ნიმუშების მასალად გამოყენებული იყო ტყვია, რომლის სიმტკიცე გაჭიმვაზე 12 – 13 მეტ პა-ია, კუმშვაზე – 50 მეტ პა. ნიმუშების ზომები ასეთია: დიამეტრი – 20; 24 მმ; სიგრძე – 100 მმ; წრიული ანაბეჭდების დიამეტრი – 5 მმ.



ნახ. 5. საცდელი ნიმუშები: а – D20; б – D24


დეფორმაციის რეჟიმი:

საერთო დიამეტრული მოჭიმვა:

4 მმ – D20 ნიმუშისათვის და 4 მმ – D24 ნიმუშისათვის;

ერთეული მოჭიმვა ორივე ნიმუშისათვის:  $\max \Delta d = 0,32$  მმ;  $\min \Delta d = 0,3$  მმ.

მიწოდება დეფორმაციის პერაში – 2 მმ.



ნახ. 6. დეფორმირებული ნიმუშები: а –D20; б – D24

ნიმუშების დეფორმაციის შედეგად საკოორდინაციო ბადე განიცდის ფორმისა და ზომების ცვლილებას (ნახ. 6). ელემენტარული სფეროები, რომელთა რადიუსია  $r = 5$  მმ დეფორმაციის შემდეგ გარდაიქმნება ელიფსოიდებად. პლასტიკურობის თეორიიდან ცნობი-

ლია, რომ ელიფსოიდების ნახევარდერძების შეფარდება საწყისი სფეროების რადიუსებთან წარმოადგენს შესაბამისი მთავარი დეფორმაციის მნიშვნელობას. დეფორმაცია ელიფსო-იდის მთავარი დერძის გასწვრივ იქნება  $\varepsilon_1 = \ln \frac{a}{r}$ , ხოლო დეფორმაცია მეორე დერძის გასწვრივ  $-\varepsilon_2 = \ln \frac{b}{r}$ . ამ ფორმულებში  $a$  და  $b$  ელიფსოიდების ნახევარდერძების მნიშვნელობებია ნამზადის დერძული და რადიალური მიმართულებით.

დეფორმაციის მესამე კომპონენტი მოიქცია მოცულობის მუდმივობის პირობიდან გამომდინარე, პლასტიკური დეფორმაციის დროს, ანუ ტოლობიდან  $\varepsilon_1 + \varepsilon_2 + \varepsilon_3 = 0$ , დეფორმაციის საძიებელი კომპონენტი  $-\varepsilon_3 = \varepsilon_1 + \varepsilon_2$ .

მოჭიმვის შემდეგ ინსტრუმენტული მიკროსკოპით ხდებოდა ელიფსოიდების ნახევარდერძების გაზომვა სამი მთავარი დერძის მიმართულებით და შესაბამისი დეფორმაციის სიდიდის გამოთვლა. შედეგები მოცემულია 1-ლ და მე-2 ცხრილებში.

### ცხრილი 1

#### ელემენტის ზომები და დეფორმაციები

| კვეთის №              | ნამზადი 20           |                     |                        |                      |                          |
|-----------------------|----------------------|---------------------|------------------------|----------------------|--------------------------|
|                       | დერძული მიმართულებით |                     | რადიალური მიმართულებით |                      | ტანგენციური მიმართულებით |
|                       | a                    | $\varepsilon_1, \%$ | b                      | $-\varepsilon_2, \%$ | $\varepsilon_3,$         |
| საშუალო მნიშვნელობები |                      |                     |                        |                      |                          |
| 0                     | 5,00                 | 0,0                 | 5,00                   | 0,0                  | 0,0                      |
| 1                     | 5,34                 | 6,8                 | 4,68                   | 6,4                  | -0,4                     |
| 2                     | 5,48                 | 9,6                 | 4,54                   | 9,2                  | -0,4                     |
| 3                     | 5,64                 | 12,8                | 4,46                   | 12,2                 | -0,6                     |

### ცხრილი 2

#### ელემენტის ზომები და დეფორმაციები

| კვეთის №              | ნამზადი 24           |                     |                        |                      |                          |
|-----------------------|----------------------|---------------------|------------------------|----------------------|--------------------------|
|                       | დერძული მიმართულებით |                     | რადიალური მიმართულებით |                      | ტანგენციური მიმართულებით |
|                       | a                    | $\varepsilon_1, \%$ | b                      | $-\varepsilon_2, \%$ | $\varepsilon_3,$         |
| საშუალო მნიშვნელობები |                      |                     |                        |                      |                          |
| 0                     | 5,00                 | 0,00                | 5,00                   | 0,00                 | 0,00                     |
| 1                     | 5,26                 | 5,2                 | 4,76                   | 4,8                  | -0,4                     |
| 2                     | 5,39                 | 7,8                 | 4,62                   | 7,6                  | -0,2                     |
| 3                     | 5,54                 | 10,8                | 4,48                   | 10,4                 | -0,4                     |

დეფორმაციების მოცემული მნიშვნელობების მიხედვით განისაზღვრა ელემენტში მოქმედი ძაბვები. ვინაიდან დეფორმაციების მნიშვნელობები არ აღემატებოდა მცირე პლასტიკური დეფორმაციების მნიშვნელობებს, ამიტომ შემდგომი გაანგარიშება მოხდა გ. გენკის თეორიაზე დაყრდნობით [9]. ამ თეორიის შესაბამისად დადგენილია კავშირი პლასტიკური დეფორმაციების ექვს კომპონენტსა და ძაბვების ექვს კომპონენტს შორის, რაც მათგატიკურად ასე გამოისახება:

$$\begin{aligned}
Xx &= K\Delta + \frac{2}{3\varphi} [\varepsilon_{xx} - \frac{\varepsilon_{yy} + \varepsilon_{zz}}{2}]; \\
Yy &= K\Delta + \frac{2}{3\varphi} [\varepsilon_{yy} - \frac{\varepsilon_{xx} + \varepsilon_{zz}}{2}]; \\
Zz &= K\Delta + \frac{2}{3\varphi} [\varepsilon_{zz} - \frac{\varepsilon_{xx} + \varepsilon_{yy}}{2}]; \\
Xy &= \frac{1}{2\varphi} \times \varepsilon_{yz}; \quad Yz = \frac{1}{2\varphi} \times \varepsilon_{yz}; \quad Xz = \frac{1}{2\varphi} \times \varepsilon_{zx},
\end{aligned}$$

სადაც

$Xx, Yy, Zz, Xy, Yz, Xz$  – ძაბვების კომპონენტებია;  
 $\varepsilon_{xx}, \varepsilon_{yy}, \varepsilon_{zz}, \varepsilon_{xy}, \varepsilon_{yz}, \varepsilon_{xz}$  – დეფორმაციების კომპონენტები;  
 $\Delta = \varepsilon_{xx} + \varepsilon_{yy} + \varepsilon_{zz}$ ;

$\varphi$  ცვლადი სიდიდეა, რომელიც დაკავშირებულია ძვრის მოდულთან და ელემენტის კოორდინატებზეა დამოკიდებული;

K არის სიდიდე, რომელიც მასალას გააჩნია.

მოცულობის მუდმივობის კნონიდან გამომდინარე,  $\Delta = 0$ , მაშინ  $K\Delta = 0$ .

ვინაიდან შერჩეული საკოორდინატო სისტემა მთავარია, შეიძლება დაიწეროს, რომ:

$$\begin{aligned}
Xx &= \sigma_1; Yy = \sigma_2; Zz = \sigma_3 \\
Xy &= Yz = Xz = 0; \\
\varepsilon_{xx} &= \varepsilon_1; \varepsilon_{yy} = \varepsilon_2; \varepsilon_{zz} = \varepsilon_3 \\
\varepsilon_{xy} &= \varepsilon_{yz} = \varepsilon_{xz} = 0.
\end{aligned}$$

ამის მიხედვით რჩება სამი განტოლება ოთხი უცნობით, რომელთაგან სამი ძაბვის კომპონენტია და მეოთხე – ცვლადი  $\varphi$  სიდიდე, რომელიც კოორდინატების ფუნქციაა და დეფორმაციის ყოველი მომენტისათვის მოითხოვს განსაზღვრას:

$$\begin{aligned}
\sigma_1 &= \frac{2}{3\varphi} [\varepsilon_1 - \frac{\varepsilon_2 + \varepsilon_3}{2}]; \\
\sigma_2 &= \frac{2}{3\varphi} [\varepsilon_2 - \frac{\varepsilon_1 + \varepsilon_3}{2}]; \\
\sigma_3 &= \frac{2}{3\varphi} [\varepsilon_3 - \frac{\varepsilon_1 + \varepsilon_2}{2}];
\end{aligned} \tag{1}$$

მეოთხე განტოლებად შეიძლება გ. მიზანის პლასტიკურობის პირობის გამოყენება:

$$(Xx - Yy)^2 + (Yy - Zz)^2 + (Zz - Xx)^2 + 6(Xy^2 + Yz^2 + Zx^2) = 8K^2, \tag{2}$$

სადაც K არის მასალის პლასტიკურობის მუდმივა.

მოცემულ შემთხვევაში (მთავარ საკოორდინატო სისტემაში) ეს პირობა ასე ჩაიწერა:

$$(\sigma_1 - \sigma_2)^2 + (\sigma_2 - \sigma_3)^2 + (\sigma_3 - \sigma_1)^2 = 2\sigma_s^2. \tag{3}$$

მაშასადამე, თუ ცნობილია  $(\varepsilon_1, \varepsilon_2, \varepsilon_3)$  დეფორმაციების კომპონენტები, ადვილად მოძებნება  $(\sigma_1, \sigma_2, \sigma_3)$  ძაბვების კომპონენტებიც.

მაგალითისათვის განვიხილოთ 1-ლი ცხრილის კონკრეტული მონაცემების (კვეთი № 1, ზედა განაპირა შრე) გაანგარიშება. ტყვიის ნიმუშისათვის შეიძლება მივიღოთ:  $\sigma_s = 2 \text{ კგ}/\text{მმ}^2$ ;  $k = 1 \text{ კგ}/\text{მმ}^2$ .

(1) ფორმულაში მონაცემების ჩასმით გვექნება:  $\varepsilon_1 = 6,8$ ;  $\varepsilon_2 = -6,4$ ;  $\varepsilon_3 = -0,4$ .

$$\sigma_1 = \frac{2}{3\varphi} [6,8 - \frac{-6,4 - 0,4}{2}] = \frac{1}{\varphi} \times 6,73;$$

$$\sigma_2 = \frac{2}{3\varphi} [-6,4 - \frac{6,8 - 0,4}{2}] = -\frac{1}{\varphi} \times 6,34;$$

$$\sigma_3 = \frac{2}{3\varphi} [-0,4 - \frac{6,8 - 6,4}{2}] = \frac{1}{\varphi} \times 0,33.$$

$\varphi$  – ის განსაზღვრისათვის ძაბვების ეს მნიშვნელობები უნდა ჩაისვას პლასტიკურობის პირობაში:

$$\frac{1}{\varphi^2} \times \{[6,73 - (-6,34)]^2 + [(-6,34) - (-0,4)]^2 + [(-0,4 - 6,73)^2\} = 8,$$

საიდანაც  $\varphi = 5,63$ .

ამ შემთხვევაში ძაბვების მნიშვნელობები იქნება:

$$\sigma_1 = 1,19 \text{ კგ/მმ}^2; \quad \sigma_2 = -1,12 \text{ კგ/მმ}^2; \quad \sigma_3 = 0,058. \text{ კგ/მმ}^2.$$

ანალოგიური გამოთვლების შედეგად, მოჭიმვის დანარჩენ სტადიებზე მიიღება ძაბვების შემდეგი მნიშვნელობები (ცხრილები 3 და 4):

### ცხრილი 3

#### ძაბვების მნიშვნელობები

| ნაშადი D20            |                         |                  |                 |                                    |             |             |
|-----------------------|-------------------------|------------------|-----------------|------------------------------------|-------------|-------------|
| პვეთის №              | მთავარი დეფორმაციები, % |                  |                 | მთავარი ძაბვები, ნ/მმ <sup>2</sup> |             |             |
|                       | $\varepsilon_1$         | $-\varepsilon_2$ | $\varepsilon_3$ | $\sigma_1$                         | $-\sigma_2$ | $-\sigma_3$ |
| საშუალო მნიშვნელობები |                         |                  |                 |                                    |             |             |
| 0                     | 0,0                     | 0,0              | 0,0             | 0,0                                | 0,0         | 0,0         |
| 1                     | 6,8                     | 6,4              | -0,4            | 1,19                               | 1,12        | 0,06        |
| 2                     | 9,6                     | 9,2              | -0,4            | 1,18                               | 1,13        | 0,05        |
| 3                     | 12,8                    | 12,2             | -0,6            | 1,178                              | 1,14        | 0,02        |

### ცხრილი 4

#### ძაბვების მნიშვნელობები

| ნაშადი 24             |                         |                  |                 |                                    |             |             |
|-----------------------|-------------------------|------------------|-----------------|------------------------------------|-------------|-------------|
| პვეთის №              | მთავარი დეფორმაციები, % |                  |                 | მთავარი ძაბვები, ნ/მმ <sup>2</sup> |             |             |
|                       | $\varepsilon_1$         | $-\varepsilon_2$ | $\varepsilon_3$ | $\sigma_1$                         | $-\sigma_2$ | $-\sigma_3$ |
| საშუალო მნიშვნელობები |                         |                  |                 |                                    |             |             |
| 0                     | 0,00                    | 0,00             | 0,00            | 0,00                               | 0,00        | 0,00        |
| 1                     | 5,2                     | 4,8              | -0,4            | 1,19                               | 1,11        | 0,09        |
| 2                     | 7,8                     | 7,6              | -0,4            | 1,18                               | 1,13        | 0,05        |
| 3                     | 10,8                    | 10,4             | -0,4            | 1,17                               | 1,14        | 0,04        |

ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ რადიალური მოჭიმვის პროცესში ლითონი დეფორმაციის კერაში იმყოფება რთულ დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაში. დეფო-

რმაციის კერის ლითონით შევსების პროცესში ძაბვები  $\sigma_1$  და  $\sigma_2$  მცირდება (კვეთები № 1, 2, 3). ასევე იცვლება დერძული ძაბვაც  $\sigma_2$ . დეფორმაციის პროცესში რადიალური და დერძული ძაბვების მნიშვნელობები თითქმის ერთმანეთის ტოლია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ლითონი ამ უბანზე იმყოფება სუფთა ძვრისადმი მიახლოებულ დაძაბულ მდგომარეობაში, სადაც პლასტიკური დეფორმაცია ინტენსიურად მიმდინარეობს. მიღებული შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ორივე ვარიანტში (ნამზადები 20 და 24) ძაბვების მნიშვნელობები თითქმის ერთი და იგივეა.

## დასკვნა

1. დამზადებულია რადიალური მოჭიმვის სპეციალური მოწყობილობა, რომელიც სტანდარტულ პიდრავლიკურ წნევზე რადიალური დეფორმაციის სხვადასხვა რეჟიმის დროს ცილინდრული ფორმის ტყვიის ნიმუშებში მოქმედი ძაბვების მნიშვნელობების დაგენის საშუალებას იძლევა;
2. ექსპერიმენტული კვლევის შედეგების საფუძველზე მიღებულია შედეგები, რომელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ დეფორმაციის კერის ლითონით შევსების პროცესში რადიალური მოჭიმვის ძაბვები შედარებით ნელა მცირდება დეფორმაციის კერის გამოსავალი კვეთისაკენ.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Богуслаев В. А., Борисевич В. В., Борисевич В. К. и др. Обработка металлов давлением. Харьков: Нац. аэрокосмический ун-т, Харьковский авиационный ин-т, 2002. - 419 с.
2. Семенов Е. И. Ковка и горячая штамповка. М.: МГИУ, 2011. - 414 с.
3. Тюрин В. А., Лазоркин В. А., Поспелов И. А., Флаховский. Х. П. Ковка на радиально-обжимных машинах. М.:Машиностр.,1990. - 331 с.
4. Томленов А. Д. Теория пластического деформирования металлов. М.:Металлургия,1972. - 408 с.
5. Смирнов-Аляев Г. А. Сопротивление металлов пластическому деформированию. М.:Машгиз, 1961. - 328 с.
6. Тарновский Н. Я. Деформации и усилия при обработке металлов давлением. М.:Машгиз, 1959. - 356 с.
7. Чиченев Н. А., Кудрин А. Б., Полухин П. И. Методы исследования процессов обработки металлов давлением. М.:Металлургия, 1977. - 310 с.
8. Чекмарев А. П., Ольдзиевский С. А. Методы исследования процессов прокатки. М.:Металлургия, 1969. - 294 с.
9. Смирнов-Аляев Г. А., Розенберг В. М. Технологические задачи теории пластичности. Л.:Лениздат, 1951. - 184 с.

**EXPERIMENTAL STUDY OF DEFORMATIONS AND STRESSES IN THE PROCESS OF RADIAL FORGING OF CYLINDRICAL BILLETS**

**S. Mebonia, D. Gventsadze, A. Shermazanashvili**

(R. Dvali Institute of Machine Mechanics)

**Resume:** There is considered the stress-deformed state of cylindrical billets in the deformation zone of radial forging machine and the stresses acting in the billet are studied. The precise determination of the operating stresses in radial forging machines is necessary for the proper design and reliable operation of the machine.

The results of the experimental study of the stresses acting in the process of radial compression are presented. The study was carried out on a special device for radial compression, which with the help of a standard test press allows for various modes of radial deformation of cylindrical samples.

By analyzing the results obtained from the experiment, it was found, that the strains acting in the work piece are almost equally varied along the length of the deformation zone, when the samples with a diameter of 20 and 24 m are deformed.

**Key words:** deformation; force; radial compression; tension.

**ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ДЕФОРМАЦИЙ И НАПРЯЖЕНИЙ В ПРОЦЕССЕ РАДИАЛЬНОГО ОБЖАТИЯ ЦИЛИНДРИЧЕСКИХ ЗАГОТОВОВОК**

**Мебония С.А., Гвенцадзе Д.А., Шермазанашвили А.Г.**

(Институт механики машин им. Р. Двали)

**Резюме.** Рассмотрено напряженно-деформированное состояние цилиндрических заготовок в очаге деформации радиально-ковочной машины и изучены действующие в заготовке напряжения. Точное определение действующих в радиально-ковочных машинах напряжений обязательно для проектирования и надежной эксплуатации машины.

Представлены результаты экспериментального исследования действующих в процессе радиального обжатия напряжений. Исследование проводилось на специальном устройстве для радиального обжатия, которое с помощью стандартного испытательного пресса позволяет осуществлять различные режимы радиальной деформации образцов цилиндрической формы.

Путем анализа полученных из эксперимента результатов установлено, что при деформации образцов диаметром 20 и 24 мм действующие в заготовке напряжения почти одинаково изменяются по длине очага деформации.

**Ключевые слова:** деформация; напряжение; радиальное обжатие; усилие.

## მზეშმზირას ჩენოს გაცლენა წარმოებული ზეთის ხარისხზე

მანანა სირაძე, ირინე ბერძენიშვილი, სოფო ძნელაძე, თეიმურაზ შურდაია,  
ნოდარ გოზალიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქართველ მეწარმეთა ასოციაცია, სოფლის  
მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი)

**რეზიუმე:** გამოკვლეულია მზესუმზირას დაქუცმაცებული გულისა და ჩენოს ნარევიდან გამოწვლილული ზეთის ხარისხზე ჩენოს რაოდენობის გაცლენა. ექსპერიმენტულად დამტკიცდა, რომ მზესუმზირას გულის ნარევში ჩენოს მომატებით მცირდება ნიმუშის ცხიმიანობა. თითქმის მთლიანად და ჩენოს დამატებული რაოდენობის პროპორციულად ლიპიდები გადადის ცხიმოვანი მჟავები, გაუსაპნავი და ცვილისმაგვარი ნივთიერებები, ასევე ქლოროფილები, რაც იწვევს ზეთის შეფერილობის გაუარესებას (შემდგრევას).

**საკვანძო სიტყვები:** გაუსაპნავი ნივთიერებები; გული; თავისუფალი ცხიმოვანი მჟავები; კაროტინოიდები; ლიპიდები; მზესუმზირას ზეთი; ნარევი; ქლოროფილები; შეფერილობა; ჩენოს.

## შესავალი

ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა მცენარეულ ზეთებზე მოთხოვნილება, რამაც განაპირობა ზეთების წარმოებისადმი დიდი ინტერესი. მცენარეული ზეთების წარმოების გაზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ზეთოვანი ნედლეულის წარმოების მდგომარეობის ყოველმხრივ შესწავლა და კრიტიკული ანალიზი [1, 2, 5]. ამასთან, აუცილებელია სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება და სიახლეების ძიება როგორც წარმოებაში, ისე ზეთოვანი ნედლეულის ახალი თანამედროვე ჯიშების გამოყვანასა და გადამუშავებაში. მხოლოდ კარგი ხარისხის ნედლეულისაგან არის შესაძლებელი მაღალი კვებითი დირექტულების ზეთების მიღება.

ზეთის ხარისხის დასადგენად საჭიროა არსებული ნედლეულისა და მზა პროდუქტისათვის დამახასიათებელი აპარატების შესწავლა და მიღებული მონაცემების გათვალისწინებით ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა.

## ძირითადი ნაწილი

მზესუმზირას წარმოებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მზესუმზირას ნედლეულის მომზადების თავისებურებებს, შენახვისა და გადამუშავების არახელსაყრელი

მდგომარეობის პრობლემებს, რაც გარკვეულწილად მოქმედებს ნედლეულის ტექიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებზე. აქედან გამომდინარე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელია აღგილობრივი მზესუმზირას ნედლეულის ტექნოლოგიური ინდივიდუალურობის შესწავლა, ნედლეულისაგან პრეს-ექსტრაქციის მეთოდით ზეთების მიღების სტადიაზე ტრიგლიცერიდების თანმხლები ნივთიერებების გამოწვლილვის შესახებ მეცნიერულ-ტექნიკური წარმოდგენების გაფართოება, აგრეთვე ამ ნედლეულისაგან ზეთების წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

ზეთოვანი ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნედლეულის დაქუცმაცება და ჩენჩოს გაყოფა, რადგან თესლის გულისაგან ჩენჩოს სრულად მოშორება მთელ რიგ დადებით ფაქტორებთანაა დაკავშირებული (არარაფინირებულ ზეთში ნარჩენების და, შესაბამისად, რაფინირებისას დანაკარგების შემცირება; გამსხველის დანაკარგების შემცირება ექსტრაქციის დროს და სხვ.) [7, 8].

მზესუმზირას გულების ჩენჩოსაგან მაქსიმალურად განცალკევების ტენდენცია გარკვეულწილად ეწინააღმდეგება რეკომენდაციებს ნარევში ჩენჩოს ნაწილაკების არსებობის შესახებ, ვინაიდან გარკვეული რაოდენობის ჩენჩო აუცილებელია ექსტრაქციისას გამსხველის გაფრქვევის გაუმჯობესების მიზნით [5].

ექსტრაქციის პროცესის დროს ჩენჩოს არსებობით გამოწვეული უარყოფითი გავლენის თავიდან აცილება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ნედლეულის გადამუშავების უგათესი მეთოდების ასათვისებლად.

მზესუმზირას ზეთის მიღებისაას დაქუცმაცებულ გულს გმატება გარკვეული რაოდენობის ჩენჩო (3,0 – 8,0 %). რეალურად საწარმოებში ხდება ჩენჩოს უფრო მეტი რაოდენობით დამატება.

მზესუმზირას გულისა და ჩენჩოს ქიმიური შედგენილობა რადიკალურად განსხვავდებულია. მაგალითად, გულში ლოკალიზებულია ლიპიდები და ცილები. ჩენჩო კი შეიცავს არააზოტოვან ექსტრაქციულ ნივთიერებებს, უჯრედისს, ხოლო მისი ლიპიდები – თავისუფალ ცხიმოვან მჟავებს, ცვილებსა და ცვილისმაგვარ ნივთიერებებს. ცხიმების გამოყოფის დროს ხდება აღნიშნული ნივთიერებების ზეთში გადასვლა, ხარისხის გაუარესება და ზეთის რაფინირებისას ნეიტრალური ცხიმების დანაკარგის გაზრდა [2, 4].

მზესუმზირას დაქუცმაცებული გულისა და ჩენჩოს ნარევიდან გამოწვლილული ზეთის ხარისხები ჩენჩოს რაოდენობის გავლენის დასადგენად შესწავლილ იქნა საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან 2017 წლის მოსავლის თანამედროვე ჯიშების გულებიდან მიღებული ლიპიდების შედგენილობა (ცხრილი 1), გამოკვლეულია მზესუმზირას გულისა და ჩენჩოს სხვადასხვა რაოდენობის მოდელური ნარევებისაგან (3-დან 15 %-მდე) ლაბორატორიულ პირობებში გამოწვლილული ზეთები (ცხრილი 2). ლაბორატორიულ პირობებში მიღებული ზეთების პარალელურად ხდებოდა მაღალი და დაბალი ხარისხის მზესუმზირას ნედლეულისაგან მიღებული საწარმო ზეთების ნიმუშების შესწავლაც (ცხრილი 1) [3, 6].

როგორც 1-ლი ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, საწარმო ზეთებში ტექნიკური ხარისხის შემცირებასთან ერთად იზრდება თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების შემცველობა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოში მოყვანილ მზესუმზირას ნედლეულში არსებულ თავისუფალ ცხიმოვან მჟავებს. ამ ფაქტის მიხედვით უნდა ხდებოდეს გლიცერიდების პიდროლიზური გახლება. მაგრამ ამ დასკვნას არ აღასტურებს დიგლიცერიდების გაზრდილი წილი დაბალი ხარისხის საწარმო ზეთებში. სავარაუდოდ, დაბალი ხარისხის ზეთებში მჟავური რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა განპირობებულია ექსტრაქციის დროს ზეთში გადასული ფოსფოლიპიდების ფოსფატიდური მჟავების რაოდენობის გაზრდით.

## მზესუმზირას გულის ლიპიდების ხარისხის მაჩვენებლები

| ხარისხის მაჩვენებლები,<br>%  | მზესუმზირას ლიპიდები საქართველოს<br>სხვადასხვა რაიონიდან |                      |                      | მზესუმზირას საწარმოო<br>ზეთები |                      |                      |
|--|--|----------------------|----------------------|--------------------------------|----------------------|----------------------|
|  | დედოფლის-<br>წყარო                                       | სიღნაღი              | გურჯანი              | I                              | II                   | III                  |
| მჟავური რიცხვი მგKOH*  | 2,25   | 3,2                  | 2,7                  | 3,3                            | 4,1                  | 5,8                  |
| ფოსფატები**  | 0,7  | 0,5                  | 0,9                  | 0,8                            | 1,1                  | 2,0                  |
| გაუსაპნავი ნივთიერებები  | 0,5  | 0,8                  | 0,7                  | 1,0                            | 1,3                  | 1,9                  |
| ქლოროფილები ( $\times 10^{-4}$ )                                   | 0,3  | 0,3                  | 0,4                  | 0,56                           | 0,68                 | 0,91                 |
| კაროტინოიდები ( $\times 10^{-4}$ )                                 | 6,3  | 5,1                  | 5,8                  | 5,5                            | 5,5                  | 6,0                  |
| ცხიმმჟავური შედგენილობა:<br>ნაჯერი<br>ოლეინის<br>ლინოლის           | 8,2<br>47,0<br>44,4                                      | 9,0<br>46,8<br>43,9  | 8,6<br>46,2<br>45,0  | 11,8<br>27,3<br>59,9           | 10,2<br>30,0<br>59,5 | 9,1<br>34,5<br>50,0  |
| გლიცერიდები:<br>მონოგლიცერიდები<br>დიგლიცერიდები<br>ტრიგლიცერიდები | გვალი<br>2,0<br>92,0                                     | გვალი<br>1,5<br>93,4 | გვალი<br>1,6<br>93,3 | გვალი<br>2,1<br>92,5           | გვალი<br>2,8<br>91,6 | გვალი<br>3,7<br>91,8 |

\* მოცემულია ოლეინის მჟავაზე გადაანგარიშებით.

\*\* მოცემულია სტეროოლეოლეციტინზე გადაანგარიშებით.

მზესუმზირას თანამედროვე ჯიშების ლიპიდებში გაუსაპნავი ნივთიერებების შემცველობა შედარებით მუდმივი სიღიდეა (0,5-დან 0,8 %-მდე).

მზესუმზირას ზეთის პიგმენტური შედგენილობა წარმოდგენილია კაროტინოიდებით, რომელთა შემცველობა არ არის დამოკიდებული ტექნიკურ ხარისხებზე. პიგმენტები წარმოდგენილია ქლოროფილებითაც, რომლებიც პირდაპირ დამოკიდებულებაშია ზეთის ტექნიკურ ხარისხებზე.

კვლევისას არსებითი დამოკიდებულება ლიპიდების ცხიმმჟავურ შემცველობასა და მზესუმზირას მარცვლის ხარისხს შორის არ აღმოჩნდა, მაგრამ, შეინიშნება ნაჯერი ცხიმვანი მჟავების წილის შემცირებისა და ოლეინის მჟავას მასური წილის მომატების ტექნიკია მზესუმზირას მარცვლების ხარისხის გაუარესებასთან ერთად, რამაც შეიძლება განაპირობოს, შესაბამისად, ლინოლენის მჟავას შემცველობის შემცირება.


საწარმოო ზეთებში გამოვლინდა ტრიგლიცერიდების თანმდევი ნივთიერებების მნიშვნელოვანი მატება ლაბორატორიულ პირობებში მიღებულ მზესუმზირას გულის ლიპიდებთან შედარებით, რაც გამოწვეულია მოცემული ნივთიერებების გადასვლით ნარევში ჩენჩოს დამატებით ზეთის გამოწვლილვისას, რაზედაც მიუთითებს მომდევნო კვლევების შედეგები.

მზესუმზირას ზეთის ხარისხებზე ჩენჩოს გავლენის დასადგენად მომზადებულ იქნა მზესუმზირას გულისა და ჩენჩოს სხვადასხვა რაოდენობის ნარევი. ჩენჩო დამატებულ იქნა 3-დან 15 %-მდე. დამატებული ჩენჩოს ზედა ზღვარი ნაკარნახები იყო საწარმოო პრაქტიკიდან გმომდინარე. მიღებული მოდელური ნარევების ნიმუშების ექსტრაპოლაციით განვხდინეთ სოქსლების აპარატში პეტროლეუმის ეთერით ( $T^o \approx 40-60 {}^{\circ}\text{C}$ ) 3 სთ-ის განმავლობაში (ცხრილი 2 და ნახ. 1).

## ცხრილი 2

### მზესუმზირას გულის ლიპიდების ხარისხის მაჩვენებლები სხვადასხვა რაოდენობის ჩენჩოსთან ერთად

| ხარისხის მაჩვენებლები, %                                   | ნარევში დამატებული ჩენჩოს რაოდენობა, %<br>(ექსპრიმენტული მონაცემები) |      |      |      |      |                       |
|--|--|------|------|------|------|-----------------------|
|  | 0<br>(მხოლოდ<br>გული)  | 3    | 8    | 12   | 15   | 100 (მხოლოდ<br>ჩენჩო) |
| ნიმუშის ცხიმიანობა   | 37,2   | 34,6 | 32,2 | 28,7 | 25,1 | 0,52                  |
| ზეთის შედგენილობა:   |  |      |      |      |      |                       |
| გაუსაპნავი ნივთიერებები:                                   | 0,8  | 1,7  | 2,1  | 2,3  | 2,5  | 16,3                  |
| ცვილისმაგარი<br>ნივთიერებები                               | 0,01   | 0,5  | 1,6  | 2,7  | 3,9  | 37,3                  |
| თავისუფალი ცხიმოვანი<br>მჟავები, მგ KOH                    | 1,5  | 2,5  | 3,7  | 5,4  | 7,0  | 42,6                  |
| ქლოროფილები ( $\times 10^{-4}$ )                           | 0,53   | 1,69 | 1,84 | 2,8  | 3,1  | 5,49                  |
| შეფერილობა:  |  |      |      |      |      |                       |
| კოლორიმეტრ<br>„ლოვიბონდის“ მიხედვით,<br>15 გვითელ ერთეულზე | 1,4  | 1,5  | 1,6  | 1,67 | 1,67 | 3,9                   |




ნახ. 1. თანმდევი ნივთიერებების დამოკიდებულება ჩენჩოს რაოდენობაზე

ექსპერიმენტულად დამტკიცდა, რომ დაქუცმაცებული მზესუმზირას გულის ნარევში ჩენჩოს მომატებით მცირდება ნიმუშის ცხიმიანობა. თითქმის მთლიანად და ნარევში დამატებული ჩენჩოს რაოდენობის პროპორციულად ლიპიდებში გადადის ცხიმოვანი მჟავები, გაუსაპავი და ცვილისმაგვარი ნივთიერებები, აგრეთვე ქლოროფილები, რაც იწვევს ზეთის შეფერილობის გაუარესებას. თანმდევი ნივთიერებების ექსტრაქირების მექანიზმი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მათი გამოწვლილვა ჩენჩოსაგან გულების ზეთით.


ჩენჩოდან თანმდევი ნივთიერებების ზეთში გადასვლის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამჟამად ჩენჩოს მიღებული ნორმა საწარმოო ნარევში (არა უმეტეს 8 %-ისა) წარმოადგენს მზესუმზირას გულის ლიპიდების ხარისხის საგრძნობლად გაუარესების მიზეზს. ამ შემთხვევაში გაუსაპავი ნივთიერებები იზრდება 1,3 %-ით, თავისუფალი ცხიმოვანი მჟავები – 2,2 %-ით, ცვილისმაგვარი ნივთიერებები – 1,59 %-ით, ხოლო ქლოროფილები – თითქმის 3,5-ჯერ.

სავარაუდოა, რომ მზესუმზირას გულებისაგან ზეთის გამოწვლილვისას ნარევში ჩენჩოს უფრო მეტი რაოდენობით დამატება გავლენას ახდენს არა მარტო ზეთის ხარისხზე, არამედ ზეთის გამოწვლილვის პროცესის ეფექტიანობაზეც, რასაც ამტკიცებს თეორიულ მნიშვნელობებთან შედარებით ცხიმიანობისა და ქლოროფილების ექსპერიმენტული მონაცემების საგრძნობლად გაზრდილი მნიშვნელობები, რომლებიც გაანგარიშებულია ჩენჩოს ლიპიდების წილისა და მოდელური ნიმუშების ლიპიდებს შორის თანაფარდობის გათვალისწინებით (ნახები 2 და 3). გაანგარიშება ჩატარდა თანმდევი ნივთიერებების პროპორციული გადანაწილებით ჩენჩოსა და გულის ლიპიდებს შორის.



ნახ. 2. ცხიმის მასური წილი მოდელურ ნიმუშში

ეს დასკვნა მტკიცდება ჩენჩოდან ზეთით თანმდევი ნივთიერებების გამოწვლილვის პირდაპირი ექსპერიმენტით. ლაბორატორიულ პირობებში მოხდა მზესუმზირას ჩენჩოს გაცხელება თბერი დატენიანების ტემპერატურაზე ( $80\text{--}85^{\circ}\text{C}$ -ზე) რაფინირებულ-დეზოდორირებულ მზესუმზირას ზეთთან ერთად უმნიშვნელო რაოდენობის ტენისა და დაბალმოლეკულური ორგანული მჟავას (ლიმონის) თანაობისას, რომელიც ჩვეულებრივ შედის მზესუმზირას მარცვლის გულების შედგენილობაში. ამ უკანასკნელის არსებობა განაპირობებს მზესუმზირას ჩენჩოს შესაბამისი სტრუქტურებიდან თანმდევი კომპონენტების კავშირების ჩამოშლას [4, 5].



ნახ. 3. ქლოროფილები მოდელურ ნიშანები

გაცხელება გრძელდებოდა პერიოდული მორევის პირობებში 40 წთ-ის განმავლობაში. ზეთისა და ჩენტის ნარევში ჩენტის რაოდენობა შეადგენდა 15 %-ს დეზოდორირებული ზეთის წონიდან. დამუშავების შემდეგ ზეთი მოშორდა ჩენტის ფილტრაციის საშუალებით და გამოკვლეულ იქნა თანმდევი ნივთიერებების შემცველობაზე. ზეთის შეფერილობა განისაზღვრა ტინტომეტრ „ლოვიბონდით“ 1 სმ სისქის კიუვეტში.

შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში, რომელის მიხედვითაც სახეზეა ზეთის ფერის, გაუსაპნავი და ცვილისმაგვარი ნივთიერებების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც სრულ შესაბამისობაშია ლაბორატორიულ პირობებში გულისა და ჩენტის განსაზღვრული რაოდენობის ნარევისაგან ექსტრაჰირებული მზესუმზირას ზეთის დონესთან.

### ცხრილი 3 თანამდევი ნივთიერებების ექსტრაჰირება მზესუმზირას ჩენტისაგან ზეთით

| ხარისხის მაჩვენებლები, %                                       | რაფინირებული დეზოდორირებული ზეთი | ზეთი ჩენტის დამუშავების შემდეგ |
|--|----------------------------------|--------------------------------|
| მჟავური რიცხვი, მგ KOH*  | 0,4                              | 4,2                            |
| ცვილისმაგვარი ნივთიერებები                                     | –                                | 2,7                            |
| გაუსაპნავი ნივთიერებები  | 0,3                              | 2,1                            |
| შეფერილობა ტინტომეტრ „ლოვიბონდით“ მიხედვით, 15 ყვითელ ერთეულზე | 0,6                              | 1,5                            |

\*მოცემულია ოლეინის მჟავაზე გადაანგარიშებით.

### დასკვნა

- ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე დადგინდა, რომ მწიფე მზესუმზირას მარცვლის ჩენტისაგან გამოყოფილი თანმდევი ნივთიერებების ზეთში გადასვლა საგრძნობლად აუარესებს ზეთის ხარისხს.

- ექსპერიმენტულად დამტკიცდა ისიც, რომ თანმდევი ნივთიერებების ექსტრაჰირების მექანიზმია მათი გამოწვლილგა ჩენჩოსაგან მზესუმზირას გულვბისაგან მიღებული ზე-თოთ;
- ჩატარებული გამოკვლევები საშუალებას იძლევა მეცნიერულად იქნეს დასაბუთებული მზესუმზირას გადამუშავებისას დაქუცმაცებულ გულში ჩენჩოს დონის ნორმირება; ამასთან, დადასტურდეს იმის აუცილებლობა, რომ საჭიროა არა მარტო ამ მაჩვენებლის კონტროლი, არამედ ადვილად მსხვრევადი და თხელი ჩენჩოს მქონე მზესუმზირას სელექციური ჯიშების შემუშავება და დანერგვა შესაბამისი აპარატურული საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფს მცირებულების ნედლეულის გადამუშავებას;

ჩენჩოს მომატებით მცირდება ექსტრაჰირებული ზეთის გამოსავალი და აპარატურის მწარმოეობლურობა, რაც, თავის მხრივ, ზრდის გამესხელის ხარჯს; იზრდება აგრეთვე თბური და ენერგეტიკული რესურსების ხარჯიც; ყოველივე ეს კი იწვევს ზეთების წარმოების თვითდირებულების გაზრდას.

#### **ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Ключкин В. В. и др. Способ подготовки масличного материала к извлечению масла. Авторское свидетельство 950766 СССР. Б. И., № 30, 1982.
2. Голдовский А. М. Теоретические основы производства растительных масел. М.: Пищепромиздат, 1988. - 445 с.
3. Арутюнян Н. С., Корнена Е. П. и др. Лабораторный практикум по химии жиров. СПБ.: ГИОРД, 2004. - 264 с.
4. Нечаев А. П., Траутенберг С. Е. и др. Пищевая химия. Изд. 2-е. СПБ.: ГИОРД, 2003. - 640 с.
5. Паронян В. Х. Технология жиров и жирозаменителей. М.: ДeЛи принт. 2006, с. 142-184.
6. Рудаков О. Б., Пономарев А. Н. и др. Жиры. Химический состав и экспертиза качества. М.: ДeЛи принт, 2005, с. 33-40.
7. Сирадзе М. Г., Бердзенишвили И. Г., Гоксадзе И. Б. Влияние содержания шелухи в хлопковой мяктике на эффективность процесса извлечения масла// Известия национальной академии наук Грузии, №1, 2009, с. 118-120.
8. Сирадзе М. Г., Бердзенишвили И. Г., Гоксадзе И. Б. Влияние содержания шелухи в мяктике на основные компоненты хлопкового масла//Химический журнал Грузии, №2, 2009, с. 150-152.

**EFFECT OF SUNFLOWER SEED SHELL ON THE MAJOR COMPONENTS OF EXTRACTED OIL**

**M. Siradze, I. Berdzenishvili, S. Dzneladze, T. Shurgaya, N. Gozalishvili**

(Georgian Technical University, Georgian Entrepreneur Association, Agricultural Scientific-Research Center)

**Resume:** There was investigated the effect of the content of the sunflower seed shell (husk) in the mixture of kernels and shells (crunch) on the quality of extracted oil. It was established, that with the increasing of the seed shell content in the kernel and shell mixture, the oiliness of the sample decreases, but the content of free fatty acids, unsaponified and wax-like substances increases, as well as chlorophylls, which deteriorate the color of the oil.

**Key words:** carotenoids; chlorophylls; color; extracted oil; free fatty acids; kernels; mixture; shells; sunflower; unsaponified substances.

**ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ**

**ВЛИЯНИЕ СЕМЕННОЙ ОБОЛОЧКИ ПОДСОЛНЕЧНИКА НА КАЧЕСТВО ПРОИЗВОДИМОГО МАСЛА**

**Сирадзе М. Г., Бердзенишвили И. Г., Дзнеладзе С. Дж., Шургая Т. А.,  
Гозалишвили Н. И.**

(Грузинский технический университет, Ассоциация грузинских предпринимателей, Научно-исследовательский центр сельского хозяйства)

**Резюме.** Исследовано влияние содержания семенной оболочки (лузги) подсолнечника в смеси ядра с оболочкой (мятка) на качество извлекаемого из нее подсолнечного масла. Установлено, что с повышением содержания семенной оболочки в составе смеси подсолнечного ядра с оболочкой снижается масличность образца, увеличивается содержание свободных жирных кислот, неомыляемых и воскоподобных веществ, а также хлорофиллов, которые ухудшают цветность масла.

**Ключевые слова:** липиды; лузга; неомыляемые вещества; подсолнечное масло; свободные жирные кислоты; смесь; хлорофиллы; цветность; ядро.

მზესშინირას თვისებები სიმჭიდვისა და შენახვის სხვადასხვა სტადიაზე  
მანანა სირაძე, ირინე ბერძენიშვილი, სოფო ძნელაძე, ნოდარ გოზალიშვილი  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი  
ცენტრი)

**რეზიუმე:** ადგილობრივი მზესუმზირას ბიოქიმიური თვისებების კვლევის შედეგად და-  
დგინდა, რომ მოსავლის სიმწიფის პერიოდისათვის საკვლევი ნედლეული ხასიათდება გუ-  
ლისა და ჩენჩხოს თანაფარდობის სპეციფიკური მნიშვნელობებით.

საგრძნობლად იზრდება ნედლეულის ცხიმიანობა თავისუფალი ლიპიდების ხარჯზე მო-  
სავლის სიმწიფის მომენტში, რაც აიხსნება შეუდლებული ლიპიდების მასური წილის ზრდის  
შემცირებით.

ადსანიშნავია, რომ ტრიგლიცერიდების სრული სინთეზით მკვეთრად მცირდება ნედ-  
ლეულის მჟავური რიცხვი, ხოლო 1,5 თვით შენახვის პროცესში შეინიშნება მჟავური რიცხვის  
ზრდა დაახლოებით 1,0 მგ KOH-ით, რაც გამოწვეულია იმით, რომ შენახვის პროცესში მზე-  
სუმზირას ნედლეულის ტენიანობა ოპტიმალურ ზღვარს ზემოთაა.

ექსპერიმენტულად დადასტურდა ისიც, რომ დაუმწიფებელი თესლების ლიპიდებში ქლო-  
როფილების საგრძნობლად მაღალი შემცველობაა.

**საკვანძო სიტყვები:** თავისუფალი ლიპიდები; მჟავური რიცხვი; ტენის შემცველობა;  
ქლოროფილები.

### შესავალი

სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლის აღების სხვადასხვა მეთოდის გამოყე-  
ნებით იცვლება წარმოდგენები ნედლეულის სიმწიფის ხარისხზე. მაგალითად, მზესუმზი-  
რას სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მეცნიერულად დასაბუთებული მოსა-  
ზრება სიმწიფესთან და მოსავლის აღებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, მოსავ-  
ლის აღების ვადები ძირითადად განისაზღვრება მზესუმზირას გულის სიმწიფით. ამასთან,  
მექანიზებულად მოსავლის აღების დროს ბუნებრივი სიმწიფის პროცესის მოსალოდნელმა  
შეწყვეტამ შეიძლება თესლები სასარგებლო ნივთიერებების შემცველობის შემცირება და  
მათი ტექნოლოგიური თვისებების შეცვლა გამოიწვიოს. აქვე შევნიშნავთ, რომ მზესუმზი-  
რას თესლები (განსაკუთრებით დაუმწიფებელი) შეიცავს საქმაო რაოდენობით ქლოროფი-  
ლის ჯგუფის პიგმენტებს [1, 2].

საწარმოო გადამუშავების პროცესში მზესუმზირას, როგორც ნედლეულის, ზოგიერ-  
თი ბიოქიმიური მახასიათებელი, ხშირად ტექნოლოგიურ მხარესთან დაფის მიზეზი ხდება

იმის გამო, რომ ტექნოლოგიური გადამუშავება იწვევს ხარისხის გარკვეულწილად გაუარესებას [3].

## ძირითადი ნაწილი

მზესუმზირას წარმოების ხარვეზების მიზეზების შესასწავლად აუცილებელია დადგინდეს გადასამუშავებელი ნედლეულის შედგენილობის მახასიათებლები, ამ ნედლეულოსაგან მიღებული ზეთების თვისებები და ამ მახასიათებლების კავშირი მზესუმზირას სიმწიფის ხარისხთან, შენახვისას მიღებული ცვლილებები და ტექნოლოგიური პროცესების პარამეტრები.

მნიშვნელოვანია, რომ სიმწიფის ბოლო ეტაპზე მიმდინარე ცვლილებები არსებით ზეგავლენას ახდენს ახლად აღებული მოსავალის მდგომარეობაზე, გადამუშავებასა და შენახვის სტადიებზე. ჩატარებულ იქნა კვლევები ადგილობრივ მზესუმზირაზე სიმწიფის ბოლო ეტაპზე და შენახვისას. დაკვირვების შედეგები მოცემულია 1-ლ ცხრილში.

როგორც ცხრილის მონაცემები ცხადყოფს, მოსავლის სიმწიფის პერიოდისათვის მიმდინარეობს შესამჩნევი ცვლილებები გულისა დაჩენჩოს მასური წილების რაოდენობათა თანაფარდობებს შორის, რაც უზრუნველყოფს გულის წილის მნიშვნელოვან ზრდას. მოსავლის სიმწიფის პერიოდისათვის კვლევები შესწავლილ ჯიშს ახასიათებს გულისა და ჩენჩოს თანაფარდობის სპეციფიკური მნიშვნელობები.

ადსანიშნავია, რომ საგრძნობლად (2,5–4,0 %-ით) იზრდება ნედლეულის სამომხმარებლო ღირებულების ძირითადი მაჩვენებელი – ცხიმიანობა. ცხიმიანობის ზრდა ძირითადად მიმდინარეობს თავისუფალი ლიპიდების ხარჯზე, რადგანაც შეუდლებული ლიპიდების მასური წილის ზრდა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე თავისუფალი ლიპიდებისა.

სხენადი და უხსნადი პროტეინების თანაფარდობა მოსავლის სიმწიფის მომენტისათვის ცვლილებით არ ხასიათდება. ამასთან, უხსნადი ფრაქციის ერთდროული ზრდის გამო შეინიშნება ცილის დენატურაციის ტენდენცია.

უხსნადი ნახშირწყლების (უჯრედისი) რაოდენობის მიღწეული დონეები სიმწიფის მომენტისათვის უცვლელია, ხოლო დი- და ოლიგოსაქარიდების რაოდენობის მიხედვით დასტურდება ცვლილებების სხვადასხვა ტენდენცია, რომლებიც, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ჩენჩოში უჯრედისის მასური წილის ცვლილებასთან. მონოსაქარიდები პრაქტიკულად ინარჩუნებს არსებულ მდგომარეობას ბოლო 15 დღის განმავლობაში მოსავლის სიმწიფის დაწყებამდე.

საჭურადლებოა ის ფაქტი, რომ ტრიგლიცერიდების სრული სინთეზის პირობებში დიგლიცერიდების აღმოჩენილმა რაოდენობამ შეიძლება მოახდინოს მზესუმზირას ნედლეულის სამომხმარებლო თვისებების მკვეთრი ზრდა, რაც გამოიწვევს მისი მჟავური რიცხვის შემცირებას.

## ცხრილი 1

### მზესუმზირას სამომხმარებლო თვისებების ცვლილება სიმწიფის ბოლო ეტაპზე და შენახვისას

| ხარისხის მაჩვენებლები მშრალ<br>ნივთიერებაზე გადაანგარიშებით, % | მოსავლის<br>სიმწიფის<br>დაწყებამდე<br>15 დღით<br>ადრე | მოსავლის<br>სიმწიფის<br>დროს | ახლად აღებულის<br>შენახვა |              |
|--|---|------------------------------|---------------------------|--------------|
|  |   |                              | 30 დღე                    | 45 დღე       |
| თესლის ტენიანობა   | 6,0   | 5,1                          | 6,4                       | 6,8          |
| მასური წილი:   |   |                              |                           |              |
| გულის<br>ჩენჩოს  | 65,2<br>34,8  | 66,5<br>33,5                 | 66,2<br>33,8              | 66,0<br>34,0 |
| თავისუფალი ლიპიდები:   |   |                              |                           |              |
| თესლის   | 31,9  | 34,4                         | 30,5                      | 30,3         |
| გულის  | 58,9  | 62,9                         | 62,6                      | 61,8         |
| გულის ბმული ლიპიდების მასური წილი                              | 1,4   | 1,7                          | 2,5                       | 3,1          |
| ნედლი პროტეინის მასური წილი:                                   |   |                              |                           |              |
| თესლის   | 13,9  | 17,1                         | 24,2                      | 24,9         |
| გულის  | 50,8  | 53,3                         | 49,3                      | 53,8         |
| ცილის ფრაქციული შედგენილობა                                    |   |                              |                           |              |
| წყლის ფრაქცია  | 18,6  | 18,6                         | 18,5                      | 18,6         |
| NaCl მარილის ფრაქცია   | 31,7  | 30,9                         | 31,5                      | 32,4         |
| 0,2 %-იანი NaOH ტუტის ფრაქცია                                  | 10,8  | 8,9                          | 10,1                      | 11,2         |
| უხსნადი ნარჩენი  | 38,9  | 41,6                         | 39,9                      | 37,8         |
| ნახშირწყლების მასური წილი:                                     |   |                              |                           |              |
| მონოსაქარიდები   | 1,9   | 2,1                          | 2,8                       | 2,9          |
| დი- და ოლიგოსაქარიდები   | 14,4  | 15,0                         | 14,9                      | 14,0         |
| საერთო ნაცრის მასური წილი                                      | 4,9   | 5,0                          | 4,3                       | 3,8          |
| ნედლი უჯრედისი   |   |                              |                           |              |
| გულში  | 0,6   | 0,6                          | 1,3                       | 1,1          |
| ჩენჩოში  | 59,4  | 50,2                         | 46,9                      | 47,7         |
| თესლის ზეთის მჟავური რიცხვი, მგ KOH                            | 6,1   | 5,9                          | 6,7                       | 7,0          |
| პიგმენტური შედგენილობა: ( $\times 10^{-4}$ )                   |   |                              |                           |              |
| კაროტინოდების მასური წილი,                                     | 6,0   | 5,0                          | 5,4                       | 5,5          |
| ქლოროფილების მასური წილი,                                      | 1,0   | 0,5                          | 0,6                       | 0,6          |
| გულის გლიცერიდები:   |   |                              |                           |              |
| მონოგლიცერიდები  | პგალი   | პგალი                        | პგალი                     | პგალი        |
| დიგლიცერიდები  | 2,7   | 2,0                          | 1,6                       | 1,3          |
| ტრიგლიცერიდები   | 89,4  | 91,6                         | 92,0                      | 91,8         |

შესამჩნევი ცვლილებებით ხასიათდება ცხიმიანობა, რომელიც მცირდება დაახლოებით 1–4 %-ით 45 დღის განმავლობაში შენახვისას, რასაც თან ახლავს ბმული ლიპიდების შესაბამისი ზრდა.

ადსანიშნავია, რომ დაუმწიფებელი თესლების ლიპიდებში ქლოროფილების საგრძნობლად მაღალი შემცველობაა, თუმცა მათი შემცველობის საერთო დონე ნედლეულისაგან მიღებულ ზეთებში მოსავლის სიმწიფის დაწყებამდე და პირველ თვეებში მოსავლის აღებიდან, ვერ აღწევს საწარმოო ზეთებში მათი შემცველობის დონეს (ცხრილი 2). ეს მოწმობს ზეთების მიღების პროცესში ქლოროფილების მოხვდერის დამატებითი წყაროს არსებობას.

კაროტინოიდების შემცველობა, პირიქით, პრაქტიკულად შესაბამისობაშია საწარმოო ზეთების დონის მნიშვნელობებთან.

## ცხრილი 2 მზესუმზირას საწარმოო ზეთები

| სარისხის მაჩვენებლები, %           | I     | II    | III   |
|------------------------------------|-------|-------|-------|
| მჟავური რიცხვი, მგ KOH             | 3,3   | 4,1   | 5,8   |
| ფოსფატიდები                        | 0,8   | 1,1   | 2,0   |
| გაუსაპნავი ნივთიერებები            | 1,0   | 1,3   | 1,9   |
| ქლოროფილები ( $\times 10^{-4}$ )   | 0,56  | 0,68  | 0,91  |
| კაროტინოიდები ( $\times 10^{-4}$ ) | 5,5   | 5,5   | 6,0   |
| ცხიმმჟავური შედგენილობა:           |       |       |       |
| ნაჯერი                             | 11,8  | 10,2  | 9,1   |
| ოლეინის                            | 27,3  | 30,0  | 34,5  |
| ლინოლის                            | 59,9  | 59,5  | 50,0  |
| გლიცერიდები:                       |       |       |       |
| მონოგლიცერიდები                    | კვალი | კვალი | კვალი |
| დიგლიცერიდები                      | 2,1   | 2,8   | 3,7   |
| ტრიგლიცერიდები                     | 92,5  | 91,6  | 91,8  |

1,5 თვით შენახვის პროცესში შეინიშნება მჟავური რიცხვის ზრდა დაახლოებით 1,0 მგ KOH-ით. ეს იმით აიხსნება, რომ შენახვის პროცესში მზესუმზირას ნედლეული ინარჩუნებს ტენიანობას ოპტიმალურ ზღვარზე ზემოთ.

მოცემული კვლევების შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მზესუმზირას ნედლეულის სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შესამუშავებლად, რომლებიც უზრუნველყოფს ზეთის დანაკარგების შემცირების ახლად აღებული ნედლეულის გადამუშავების პროცესში.

### დასკვნა

- მოსავლის სიმწიფის პერიოდისათვის მიმდინარეობს შესამჩნევი ცვლილებები გულისა და ჩენჩხოს მასური წილების რაოდენობათა თანაფარდობებს შორის, რაც უზრუნველყოფს გულის წილის მნიშვნელოვან ზრდას;
- საგრძნობლად იზრდება ნედლეულის ცხიმიანობა თავისუფალი ლიპიდების ხარჯზ;
- ხსნადი და უხსნადი პროტეინების თანაფარდობა მოსავლის სიმწიფის მომენტისათვის ცვლილებებით არ ხასიათდება;
- დაუმწიფებელი თესლების ლიპიდებში აღმოჩნდა ქლოროფილების საგრძნობლად მაღალი შემცველობა. ცხიმიანობა მცირდება დაახლოებით 1 – 4 %-ით, ხოლო მჟავური რიცხვი იზარდება 1,0 მგ KOH-ით 45 დღის განმავლობაში შენახვისას.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Руководство по технологии получения и переработки растительных масел и жиров/Под ред. Сергеева А.Г. и Ржехина В.П. Т. I, кн.2., Л.: ВНИИЖ, 1974, с.300-450.
2. Технология переработки жиров Под ред. Арутюняна Н.С. М.: Агропромиздат, 1985, с.22-28.
3. Паронян В. Х. Технология жиров и жирозаменителей. М.: ДeЛи прнт, 2006. - 140 с.

**SUNFLOWER PROPERTIES AT DIFFERENT STAGES OF MATURITY AND STORAGE**

**M. Siradze, I. Berdzenishvili, S. Dzneladze, N. Gozalishvili**

(Georgian Technical University, Agricultural Scientific-Research Center)

**Resume:** The investigation of biochemical properties of local sunflower has shown that raw material for the maturation period is characterized by the specificity of the ratio of the content of the kernel and husk.

Due to free lipids at the time of harvest maturity, the oiliness is significantly increased, that can be explained by decreasing of the mass of bound lipids.

It should be noted, that the full synthesis of triglycerides is sharply reduced the raw materials acid number and in the 1.5-month storage process, the increase in the acidic number is close to 1,0 mg KOH. This causes the moisture content of the above the optimal edge of the storage process.

There has been experimentally proved, that in immature seeds markedly high level of chlorophyll content was observed.

**Key words:** acid number; free lipids; chlorophyll content; moisture content.

**ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ**

**СВОЙСТВА ПОДСОЛНЕЧНИКА НА РАЗНЫХ СТАДИЯХ СОЗРЕВАНИЯ И ХРАНЕНИЯ**

**Сирадзе М. Г., Бердзенишвили И. Г., Дзнеладзе С. Дж., Гозалишвили Н. И.**

(Грузинский технический университет, Научно-исследовательский центр сельского хозяйства)

**Резюме.** Исследование биохимических свойств местного подсолнечника показало, что сырье для периода созревания характеризуется специфичностью соотношения содержания ядра и лузги.

Масличность значительно увеличивается за счет свободных липидов в момент созревания урожая, что можно объяснить уменьшением доли связанных липидов. Следует отметить, что полный синтез триглицеридов резко снижает кислотное число сырья, и в 1,5-месячном процессе хранения увеличение кислотного числа близко к 1,0 мг КОН, это приводит к тому, что содержание влаги подсолнечника в процессе хранения превышает оптимальный предел.

Экспериментально доказано, что в незрелых семенах заметен высокий уровень содержания хлорофиллов.

**Ключевые слова:** кислотное число; свободные липиды; содержание влаги; содержание хлорофиллов.

შუალედური სადგურების სასარგებლო სიბრძის დაბრძელება აპინიგზის  
სიმძლავრისა და მატარებელთა მომრაობის სიჩქარის გაზრდის მიზნით  
ბეჭან დიდებაშვილი, მერაბ ჩალაძე, ტარიელ კოტრიკაძე,  
ვლადიმერ ვაშაკიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

**რეზიუმე:** განხილულია მოძრაობის ზომებისა და ტვირთის მოცულობის ზრდასთან დაკავშირებით შუალედური სადგურების გადაკეთება ახალი მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგის დამატებით და უველა მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგის სასარგებლო სიგრძის დაგრძელებით 850 მ-მდე, ვინაიდან ასეთი ტიპის გადაკეთება სჭირდება საქართველოში არსებული შუალედური სადგურების უმრავლესობას, რომელთა სასარგებლო სიგრძე ვერ აქმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს (850, 1050, 1250 მ) და გაცილებით ნაკლებია (720 მ და უფრო ნაკლებიც). კვლევების საფუძვლზე დადგენილია ისეთი ვარიანტი, რომლის დროსაც სადგურის გამტარუნარიანობის გაზრდა პერსპექტივაში გადაზიდვის მოცულობის გაზრდის საშუალებას იძლევა.

**საკვანძო სიტყვები:** გამტარუნარიანობა; ლიანდაგის სასარგებლო სიგრძე; მატარებლის მასა; მთავარი ლიანდაგი; მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგი; მრუდის რადიუსი; საანგარიშო ქანობი; ტვირთნაკადი.

## შესავალი


ცნობილია, რომ საქართველო ევროპა-აზიის დამაკავშირებელი დერეფნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. პერსპექტივაში მოსალოდნელია, რომ ჩინეთის, შუა აზიის და ირანის ტვირთებმა ევროპისაკენ საქართველოს გავლით გაიაროს. ამისათვის აუცილებელია საქართველოს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და განვითარება მოსალოდნელი გაზრდილი ტვირთნაკადის დროულად და სრულყოფილად გატარებისათვის. საქართველოში დაწყებულია ანაკლიის ახალი პორტისა და ხარაგაული-ხაშურის შემოვლითი უბნის მშენებლობა, აგრეთვე თბილისი-ბათუმის სარკინიგზო ხაზის (გადასარბენების და სადგურების) რეაბილიტაცია მატარებელთა მოძრაობის სიჩქარისა და ტვირთების მოცულობის გაზრდის მიზნით.

## ძირითადი ნაწილი

ტვირთების გადაზიდვის მოცულობისა და ტვირთის ადგილზე დროულად მიტანის დაჩქარებაზე მრავალი ისეთი ფაქტორი მოქმედებს, როგორიცაა რკინიგზის ხაზის საანგა-

რიშო ქანობი, მრუდის რადიუსი, მატერიელთა მასა, მთავარ ლიანდაგთა რაოდენობა. მატერებელთა მასისა და სიჩქარის გაზრდის დროს შუალედურ სადგურებში იცვლება მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგების სიგრძე; ამასთან, მოძრაობის მაღალი ინტენსიურობის პირობებში აუცილებელი ხდება მთავარ ლიანდაგებზე უფრო მისადგები და გაუმჯობესებული (1/18, 1/22 მარკის) თანამედროვე საისრე გადამყვანების დაყენება, ვინაიდან საქართველოში არსებული შუალედური სადგურების სასარგებლო სიგრძე შეიძლება 720 მ და უფრო ნაკლებიც კი იყოს, რაც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს (850 მ, 1050 მ, 1250 მ). ამიტომ ზემოაღნიშნული პირობების დასაკმაყოფილებლად საჭირო ხდება მათი დაგრძელება და რეკონსტრუქცია.

განვიხილოთ, თუ როგორ ხდება მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით შუალედური სადგურის გადაკეთება ერთი მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგის დამატებით და უკელა მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგის 850 მ-მდე დაგრძელებით (ნახ. 1). ლიანდაგი 3-ის სასარგებლო სიგრძეა 720 მ, A – B კი – უპირატესი მიმართულება.



ნახ. 1. შუალედური სადგურის გადაკეთება მიმღებ-გამგზავნი  
ლიანდაგების დაგრძელებით და დამატებითი ლიანდაგის დაგებით

დასაწყისისათვის აუცილებელია ჯერ ახალი მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგისათვის ადგილის შერჩევა და შემდეგ არსებული ლიანდაგების დაგრძელების საკითხის გადაწყვეტა. ტოპოგრაფიული და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ახალი მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგი უნდა დაიგოს ლიანდაგი 3-ის ან მთავარი ლიანდაგის გვერდით. პირველ შემთხვევაში სადგურის პრინციპული სქემა არ შეიცვლება. საკითხის ასეთი გადაწყვეტა შესაძლებელია, თუ პერსპექტივაში A–B ხაზზე გადაზიდვის მოცულობა არ გაიზრდება. გადაზიდვის მოცულობის გაზრდა კი გამოიწვევს სადგურის შესახვლები და გასასვლელი ყელების დატვირთულობის გაზრდას და სადგურის გამტარუნარიანობის შემცირებას.


ახალი მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგის მთავარი ლიანდაგი I-ის გვერდით დაგების შემთხვევაში გვექნება ნახევრად გრძივი წყობის შუალედური სადგური. მატარებლები, რომლებიც სადგურზე შედის ნ უპირატესი მიმართულებიდან და უნდა გაჩერდეს, მაშინვე უცვევს მარჯვნივ ახლად დაგებულ ლიანდაგზე. ცენტრალური ყელიდან შეიძლება ერთდროულად გაიგზავნოს მატარებლები A (მე-5 ლიანდაგიდან) და B მიმართულებით. ასეთი გადაკეთების დროს ყელების გამტარუნარიანობის გაზრდა პერსპექტივაში გადაზიდვის A–B მიმართულებით მოცულობის გაზრდის საშუალებას იძლევა.

ადსანიშნავია, რომ ნახევრად გრძივ სქემებზე ახალი ლიანდაგის განლაგება მოითხოვს სასადგურო მოედნის დაგრძელებას. რთულ ტოპოგრაფიულ პირობებში დანახარჯები მშენებლობაზე შეიძლება იყოს საკმაოდ მაღალი. მაგრამ ახალი მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგის დაგება შესაძლებელია სამგზავრო შენობის საწინააღმდეგო მხრიდანაც. ამ დროს ნ


მიმართულებით არ მოითხოვება გრძივი პროფილის შერბილება, თუმცა სამგზავრო შენობის ახლოს საჭირო იქნება სამგზავრო ბაქნის მშენებლობა. არსებული ლიანდაგის 850 მ-მდე დაგრძელება მიზანშეწონილია ნ მიმართულებით, რადგან ამ შემთხვევაში ივარაუდება მინიმალური დანახარჯები.

სატენირო მატერებელთა მასისა და სიგრძის მომატებისას სადგურის ლიანდაგების დაგრძელება, როგორც წესი, ხორციელდება მანამადე მოქმედი ლოკომოტივების უფრო მძლავრი ლოკომოტივებით შეცვლასთან ერთად. უფრო მძლავრი ლოკომოტივების გამოყენებით იზრდება უბნის გამტარუნარიანობა როგორც მატერებლების მოძრაობის სიჩქარეს, ისე ტონებით გამოსახული მატარებელთა მასის გაზრდის პირობებში.

ერთლიანდაგიანი და ორლიანდაგიანი შუალედური სადგურების ტიპობრივ სქემებზე ლიანდაგთა დაგრძელების შესაძლო (რაციონალური) ვარიანტები ნაწვენებია მე-2 და მე-3 ნახ-ებზე.



ნახ. 2. ერთლიანდაგიან შუალედურ სადგურზე ლიანდაგთა დაგრძელების ვარიანტები:  
ა – სადგურის სქემა ლიანდაგთა ნახევრად გრძივი წყობით; ბ – ლიანდაგთა განივი წყობით და სამგზავრო შენობის საწინააღმდეგო მხარეს განლაგებით; გ – ლიანდაგთა გრძივი წყობით და სატენირო მოწყობილობათა სამგზავრო შენობის მხარეს განლაგებით



ნახ. 3. ორლიანდაგიან შუალედურ სადგურზე ლიანდაგთა დაგრძელების ვარიანტები:  
ა – სადგურის სქემა ლიანდაგთა განივი წყობით; ბ – სქემა ლიანდაგთა ნახევრადგრძივი წყობით

სადგურის მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგების დაგრძელება შეიძლება განხორციელდეს საჭირო ფარგლებში, სახელდობრ, 720 მ-დან 850 მ-დე, 850 მ-დან 1050 მ-დე, 1050 მ-დან 1250 მ-დე და ა. შ. ლიანდაგთა დაგრძელება მიზანშეწონილია განხორციელდეს სადგურის ერთ-ერთ მხარეს, საითაც ეს უფრო მოსახერხებელი, ეკონომიკური და ეფექტურია. ზოგ შემთხვევაში ლიანდაგთა დაგრძელება ძალაუნებურად უნდა განხორციელდეს სადგურის ორივე ბოლოდან, რაც უფრო მეტ კაპიტალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

## დასკვნა

ამრიგად, შეალევდური სადგურების მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგის სასარგებლო სიგრძის დაგრძელებითა და ახალი მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგის დამატებით პერსპექტივაში შესაძლებელია მიგადწიოთ სადგურების გამტარუნარიანობის გაზრდას, რაც პირდაპირ კავშირშია მატარებელთა მოძრაობის სიჩქარისა და გადაზიდვის მოცულობის ამაღლებასთან.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. გ. თელია, ზ. მესხიძე, ბ. დიდებაშვილი, კ. შარვაშიძე. რკინიგზის გამყოფი პუნქტები, სახელმძღვანელო. თბ.: სქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2016. - 249 გვ.
2. ა. ჩხაიძე. გადაზიდვითი პროცესების ორგანიზაცია და მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე. I ნაწილი. თბ.: ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა „ბაკმი“, 2001. - 480 გვ.
3. ა. ჩხაიძე, გ. ჩხაიძე, გ. თელია. სარკინიგზო ტრანსპორტის სრულყოფისა და სადგურთა განვითარების აქტუალური პრობლემები. თბ.: ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა „ბაკმი“, 2003. - 432 გვ.
4. Правдин Н. В. и др. Железнодорожные станции и узлы (задачи, примеры, расчеты). М.: Транспорт, 2005. - 501 с.

**EXTENSION OF INTERMEDIATE STATIONS USEFUL LENGTH IN ORDER TO  
INCREASE THE RAILWAY CAPABILITY AND TRAIN MOVEMENT SPEED**

**B. Didebashvili, M. Chaladze, T. Kotrikadze, V. Vashakidze**

(Georgian Technical University)

**Resume:** There are considered the related with traffic size and cargo volume growth the alteration of intermediate stations by addition of new receiving-sending track the addition and extension of all receiving-sending tracks the useful length of rails on 850 m, since such alteration is necessary for most of the existing in Georgia intermediate stations, those useful length does not meet modern requirements (850 m, 1050 m, 1250 m) and is much less (720 meters or even less). On the basis of the examples there are determined the variants in that the capacity of the stations will be increased in the perspective for increased volume of cargo transportation.

**Key words:** capacity traffic; cargo traffic; design slope; main track; radius of curvature; receiver-sender track; train mass; useful length of track.

**ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫЙ ТРАНСПОРТ**

**УДЛИНЕНИЕ ПОЛЕЗНОЙ ДЛИНЫ ПРОМЕЖУТОЧНЫХ СТАНЦИЙ ДЛЯ  
ЖЕЛЕЗНОДОРОЖНОЙ МОЩНОСТИ И УВЕЛИЧЕНИЯ СКОРОСТИ ПОЕЗДОВ**

**Дидебашвили Б. Ш., Чаладзе М. И., Котрикадзе Т. И., Вашакидзе В. Р.**

(Грузинский технический университет)

**Резюме.** Рассмотрена переделка промежуточных станций для увеличивающихся размеров движения и объемов грузов с помощью добавления новых приемо-отправочных путей и их удлинения до 850 м. Такого типа переделка обязательна для большинства промежуточных станций в Грузии, поскольку их полезная длина не удовлетворяет современным требованиям (850 м, 1050 м, 1250 м) и гораздо меньше (720 м и меньше).

С примера установлены такие варианты, с помощью которых увеличение пропускной способности на станциях в перспективе даст возможность освоить увеличенный объем перевозок.

**Ключевые слова:** главный путь; грузопоток; масса поезда; полезная длина пути; приемо-отправочный путь; пропускособность; радиус кривой; расчетный уклон.

მიკროპროცესორული ბაზასვლის სიგნალიზაციის აპტომატური ტექნიკური მომსახურების ორგანიზება

ნინო მუხიგულაშვილი, მერაბ ჩალაძე, ბეჟან დიდებაშვილი,  
მიხეილ გრიგორაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

**რეზიუმე:** განხილულია ახალი MAPI-ის ტიპის მიკროპროცესორული სისტემა, რომელიც ყველა სახის არსებული გადასვლის სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების მოწყობილობების გაკონტროლებისა და მართვის საშუალებას იძლევა. ასეთი ტიპის სისტემა ადგილად დასამონტაჟებელი ბლოკურ-მოდულური სისტემაა, რომელსაც მცირე მომსახურება სჭირდება. იგი მაღალი საიმედობით და გარკვეული ეკონომიკური ეფექტიანობით გამოირჩევა, რაც საგრძნობლად ამცირებს საექსპლუატაციო ხარჯებს და გამორიცხავს სპოლენდის მასალების ქურდობით გამოწვეულ დანაკარგებს.

**საკვანძო სიტყვები:** ბლოკირება; ბლოკურ-მოდულური სისტემა; ინტერვალური რეგულირება; მიკროპროცესორული ტექნიკა; გადასვლის უბნები; სალიანდაგო უბნები; საპოსტო მოწყობილობები; სარელსო წრედები; სიგნალიზაცია; ცენტრალიზაცია; ციფრული გარდაქმნელი.

### შესავალი

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიკროპროცესორული ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა მოწყობილობების ფართო სპექტრიდან მათი მდგომარეობის შესახებ ანლოგური მონაცემების მიღება, გაჩნდა ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელები. 80-იანი წლების შუა პერიოდიდან კი დაიწყო ტექნიკური მომსახურების პროცესის ავტომატიზაცია კომპაქტური ტელესაზომი გადამწოდების, მიკროპროცესორული სისტემების ცალკეული კვანძებისა და ბლოკების რეზიურვირების ბაზაზე. დღემდე მიმდინარეობს მათი ფუნქციური შესაძლებლობების ზრდა და გაბარიტების შემცირება.

### ძირითადი ნაწილი

MAPI-ის ტიპის სისტემა ემსახურება ყველა სახის სამანქანო და საცალფეხო გადასასვლელებს, ახალი სისტემების დაპროექტებას და მოქმედი სისტემების რეკონსტრუქციას.

ამ სისტემის საშუალებით შესაძლებელია არსებული გადასვლის სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების მოწყობილობების (სარკინიგზო გადასასვლელების შექნი-


შენების, აგუსტიკური სიგნალიზაციის, ყველა სახის შლაგბაუმების, გადასასვლელების გადამღობი მოწყობილობების, გადამღობი შუქნიშნების) გაკონტროლება და მართვა. ამავ-დროულად, ასევე შესაძლებელია ყველა სახის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთ-შესაბამისობის შენარჩუნება გადასვლის სიგნალიზაციის სისტემის ფუნქციონირებისას.

МАПС-ის ტიპის სისტემა უზრუნველყოფს არსებული ინფორმაციის მიწოდებას და საგადასასვლელო ცენტრალიზაციის შემსრულებელი მოწყობილობების მართვას, როგო-საც კონტროლირებად ლიანდაგზე მატარებლი უახლოვდება სისტემის მოქმედების ზონას. ლიანდაგის სპეციალიზაციისა და სალიანდაგო ბლოკირების მოქმედების მიუხედავად, შეტყობინების მიღება და გადასასვლელის გაღება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მატარებ-ლის ბოლო ვაგონი გაივლის გადასასვლელის ზონას და თავისუფალი იქნება ყველა კონ-ტროლირებადი ლიანდაგი. გადასასვლელი უბნების კონტროლს MAПС-ის ტიპის სისტემა ახორციელებს საველე მოწყობილობების საშუალებით.

აღნიშნული სისტემა გამოირჩევა მცირე მომსახურებით. იგი მარტივად დასამონტა-ჟებული ბლოკურ-მოდულური სისტემაა, რომელიც საშუალებას იძლევა აღჭურვის რო-გორც დაუცველი და დაცული, ისე საცალფეხო გადასასვლელები, რომლებიც ერთლიან-დაგიან და მრავალლიანდაგიან გადასარბენებზე მდებარეობს (კერძოდ იქ, სადაც მატარებ-ლები ნებისმიერი ინტენსიურობით მოძრაობს).

MAПС-ის ტიპის სისტემას შეუძლია იმუშაოს ნებისმიერი ტიპის სალიანდაგო ბლოკი-რებისას და იმ ადგილებში, სადაც არ არსებობს მატარებლის ინტერვალური რეგულირე-ბის მართვის სისტემები.

ლიანდაგის უბნების საველე მოწყობილობების კონტროლი ხდება ლერძების დათვ-ლის მეთოდით (ЭCCO).



ნახ. 1. საგადასასვლელო ცენტრალიზაციის MAПС-ის ტიპის ბლოკი

MAПС-ის ტიპის ბლოკს შეუძლია საკონტროლო და დიაგნოსტიკური ინფორმაციის Tr არხის საშუალებით შეტყობინება გადასცეს უახლოეს საღერძოების პუნქტების მუ-შაობისა და მტყუნებების, კონტროლირებადი სალიანდაგო უბნების დაკავებულობისა და თავისუფლების შესახებ; ამასთან, თვით MAПС-ის ტიპის ბლოკის დიაგნოსტიკური ინფორ-მაციისა და მდგომარეობის შესახებ.

МАПС-ის ტიპის ბლოკის აგებულება (ნახ. 2) თავისი დიდი სარეზერვო სივრცით მრავალჯერადი ნებისმიერი ახალი რგოლის დამატებების საშუალებას იძლევა. ამ ბლოკს აქვს მაღალი სამუშაოობა და ინარჩუნებს საგადასასვლელო სიგნალიზაციის მართვის ფუნქციას ორი დამთვლელი პუნქტის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.



ნახ. 2. სარეზერვო კარადა და MAPS-ის ტიპის ბლოკი

MAPS-ის ტიპის ბლოკის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლებია:

- ელექტროენერგიის მიწოდება DDC – მუდმივი ძაბვის სიდიდე: 11-დან 36 ვ-მდე;
- ელექტროენერგიის მიწოდება AC – ცვალებადი ძაბვის სიდიდე: 16 ვ;
- გამოყენებადი სიმძლავრე – არაუმეტეს 15 ვა;
- სამუშაო ტემპერატურები – -60... + 85 °C;
- საერთო ზომები – 310x266x171 მმ;
- სცბ-ის თანამედროვე ციფრულ სისტემებთან დასაკავშირებლად გათვალისწინებულია RS232/485 ტიპის ინტერფეისი, რომელიც უზრუნველყოფს და MODBUS პროტოკოლის გამოყენებას.

MAPS-ის ტიპის ბლოკი ხასიათდება მთელი რიგი ეფექტური ეკონომიკური მაჩვენებლებით, კერძოდ:

- საბოსტო მოწყობილობების მომსახურების, კაპიტალური მშენებლობის, მონტაჟისა და მოვლა-შენახვის ხარჯების შემცირებით;
- რელეების რაოდენობის შემცირებით;
- სარელსო წრედების არარსებობით, რაც საექსპლუატაციო ხარჯების შემცირებისა და სპილენძის მასალების ქურდობით გამოწეული დანაკარგების გამორიცხვის საშუალებას იძლევა.

## **დასკვნა**

ამრიგად, მიკროპროცესორული საგადასასვლელო სიგნალიზაციის ავტომატური ტექნიკური მომსახურების ორგანიზებისათვის MAPC-ის ტიპის მიკროპროცესორული სისტემის გამოყენებით შესაძლებელია სიგნალიზაციის ცენტრალიზაციისა და ბლოკირების მოწყობილობების საშუალებით ყველა სახის არსებული გადასასვლელების გაკონტროლება და მართვა. სისტემა საჭიროებს მცირე მომსახურებას. იგი ადვილად დასამონტაჟებელი ბლოკურ-მოდულური სისტემაა, რომელიც როგორც დაუცველი და დაცული, ისე საცალფეხო გადასასვლელების აღჭურვის საშუალებას იძლევა; ამასთან, იგი გამოირჩევა მთელი რიგი ჯონომიკური მაჩვენებლების ეფექტიანობით.

## **ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Автоматика и телемеханика на железнодорожном транспорте. Системы безопасности на железнодорожных переездах. 2017.
2. Василенко М. Н., Тележенко Т. А., Валиев С. И. Автоматизация расчета параметров перегонной переездной сигнализации// Изв. ПГУПС, Вып. 3, 2010, с. 53-61.
3. Щиголев С. А., Кондакова А. В. Микропроцессорная система автоматической переездной сигнализации// АПС-МП-М РСП-Эксперт. № 2, 2014, с. 22-23.

**ORGANIZATION OF AUTOMATIC MAINTENANCE OF THE  
MICROPROCESSORS CROSSING SIGNALIZATION**

**N. Mukhigulashvili, M. Chaladze, B. Didebashvili, M. Grigorashvili**

(Georgian Technical University)

**Resume:** There is considered new Computer-based Level Crossing Protection type microprocessor system, that gives the possibility to control and manage all types of transmitters through signaling centralization and blocking devices. This type of system represents a low service, easy-to-install block-modular system, that has high reliability and some economic efficiency, that gives the possibility to reduce the cost of exploitation and excludes losses due to stealing of copper materials.

**Key words:** blocking; block-modular system; centralization; crossing areas; digital transducer; interval regulation; microprocessor engineering; post devices; rail circuits; signalization.

**ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫЙ ТРАНСПОРТ**

**ОРГАНИЗАЦИЯ ТЕХНИЧЕСКОГО ОБСЛУЖИВАНИЯ  
МИКРОПРОЦЕССОРНОЙ ПЕРЕЕЗДНОЙ АВТОМАТИЧЕСКОЙ  
СИГНАЛИЗАЦИИ**

**Мухигулашвили Н. И., Чаладзе М. И., Дидебашвили Б. Ш., Григорашвили М. Т.**

(Грузинский технический университет)

**Резюме.** Рассмотрена новая микропроцессорная система типа МАПС, которая дает возможность контролировать и управлять любыми типами существующих переездов с помощью центральной сигнализации и блокировки устройств. Система такого типа не нуждается в больших услугах, легко устанавливается блок-модульной системой, у которой высокая надежность и имеет экономическую эффективность, что дает возможность уменьшить эксплуатационные расходы и исключить потерю, вызванную кражей (воровством) медных материалов.

**Ключевые слова:** блокировка; блоко-модульная система, интервальное регулирование; микропроцессорная техника; переездные участки; постовые устройства; путевые круги; путевые участки; сигнализация; централизация; цифровой преобразователь.

**ბაზგთა პვების პროდუქტების რეცეპტურის შემუშავება დაგალანებული  
პვების ცორი მოთხოვების გათვალისწინებით**

**გულნაზ კაიშაური**

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრი)

**რეზიუმე:** მოცემულია ზოგიერთი ხილისა და ბოსტნეულის, ასევე მათგან დამზადებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი ბავშვთა კვების პროდუქტების ბიოქიმიური კვლევის შედეგები. გაანგარიშებულია მათი კვებითი და ენერგეტიკული ღირებულებები. დადგენილია დამზადებული პროდუქტის დაბალანსებული კვების ფორმულის მოთხოვნებთან შესაბამისობის პროცენტი.

**საკვანძო სიტყვები:** ბავშვთა კვების პროდუქტი; ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები; გოგრა; დაბალანსებული კვება; ვაშლი.

**შესავალი**

ბოლო დროს მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იშვიათად გამოყენებულ, მაგრამ კვებითი ღირებულების მხრივ პერსპექტიულ ხილსა და ბოსტნეულს, რომლებიც ვიტამინებისა და მიკროელემენტების გარდა, შეიცავს ამინმჟავების შედგენილობის მიხედვით კარგად დაბალანსებულ სრულფასოვან ცილვბს (ბროკოლი, ჯიჯლაფა), სამკურნალო მოქმედების ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს (ქაცვი, კუნელი, ჯიჯლაფა და სხვ.), კაროტინს (ჩინური კომბოსტო, პეკინური ბროკოლი, გოგრა, სტაფილო და სხვ.) და ა.შ. აღნიშნული ხილი და ბოსტნეული საუკეთესო ნედლეულია დიეტური და ბავშვთა კვების პროდუქტების დასამზადებლად. ბოლო ხანებში საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნება ასეთი სახის პროდუქტებზე.

მეცნიერთა აზრით, დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია დაბალანსებული რაციონალური კვება. საკვების უკეთ შეთვისების მიღწევა შესაძლებელია არა მარტო საერთო დღიური რაციონის, არამედ საკვების თითოეული ულუფის დაბალანსებით.

მოსახლეობის საკვების რაციონალიზაციისათვის შედგენილია საკვები პროდუქტების ქიმიური შედგენილობის მთელი რიგი ცხრილები [1–4].

**ძირითადი ნაწილი**

კვების მრეწველობის მუშაკებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და ადგილობრივი ბუნებრივი ნედლეულის ბაზაზე

მაღალი კვებითი და ბიოლოგიური ლირებულების მქონე ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოება; გარდა ამისა, უნარჩენო ტექნოლოგიების დაზუშავება-დანერგვა.

მკვლევართა მიერ შესწავლითია სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის ქიმიური შე-დგენილობა და დადგენილია, რომ მათში დიდი რაოდენობითაა ნახშირწყლები, ორგანული მჟავები, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები (ვიტამინები, მინერალური ნივთიერებები და სხვ.). მაგალითისათვის განვიხილოთ ვაშლი და გოგრა.

**ვაშლის** ნაყოფი გამოირჩევა მაღალი კვებითი, დიეტური და სამკურნალო თვისებებით. იგი შეიცავს: 4,92–9,00 % ჭაქარს, 0,01–0,66 % მთრიმლავ ნივთიერებებს, 38–88 % აქტიურ კატექინებს, 0,72–1,51 % ხსნად პექტინს, 0,2–1,48 % უჯრედანას, 0,25–2,16 % სახამე-ბელს, 0,3–0,8 % ორგანულ მჟავებს (ჭარბობს ვაშლმჟავა), მინერალურ ნივთიერებებს (K, Na, Fe, I და სხვ.), ვიტამინებს (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, P, PP, კაროტინსა და სხვ.) და ა.შ. ვაშლში არის თო-თქმის ყველა შეუცვლელი ამინძმავა.

ვაშლის ნაყოფს იყენებენ წვენების, სასმელების, პიურეების, მურაბების, ჯემებისა და სხვათა დასამზადებლად [2, 5, 6].

**გოგრა** მდიდარია ისეთი ვიტამინებით, როგორიცაა ასკორბინის მჟავა ( $1,2\text{--}49,0\cdot10^{-3}$  %), პანთოენის მჟავა ( $0,4\cdot10^{-3}$  %), პირიდოქსინი ( $(0,11\text{--}0,31)\cdot10^{-3}$  %), B<sub>9</sub> ფოლაცინი ( $0,014\cdot10^{-3}$  %), B<sub>6</sub> ვიტამინი ( $14\cdot10^{-3}$  %), თიამინი ( $(0,03\text{--}0,05)\cdot10^{-3}$  %), რიბოფლავინი ( $(0,02\text{--}0,065)\cdot10^{-3}$  %). ამ უკანასკნელთა შემცველობა შედარებით მაღალია საქართველოში (განსაკუთრებით ქვე-მო ქართლში) მოყვანილ გოგრის ჯიშებში, რომლებშიც ( $0,02\text{--}0,903)\cdot10^{-3}$  % თიამინი და ( $0,01\text{--}0,192)\cdot10^{-3}$  % რიბოფლავინია. C ვიტამინის შემცველობით აღმოსავლეთ საქართველოს ჯი-შები ჩამოუგარდება ქვემო ქართლისა და დასავლეთ საქართველოს ჯიშებს.

გოგრაში დიდი რაოდენობითაა ( $40\cdot10^{-3}$  %-მდე) კაროტინი. აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშებში იგი ( $0,25\text{--}2,01)\cdot10^{-3}$  %-ია. გოგრას კაროტინის წყაროდ მიიჩნევენ და A ვიტამინზე ადამიანის ორგანიზმის დღიური მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად ყოველდღიური კვების რაციონში 80 გ-ია ჩართული.

გოგრის ნაყოფები მდიდარია აგრეთვე შაქრებით (1,9–12,0 %), სახამებლით (0,07–8,5 %), აუცილებელი მინერალური ნივთიერებებით (განსაკუთრებით, ნატრიუმითა და კალიუ-მით) [7–10].

ვაშლსა და გოგრას სამკურნალოდაც იყენებენ. ცნობილია, რომ ვაშლის წვენი დიე-ტური და ბაგშვთა კვების შეუცვლელი პროდუქტია, რადგანაც მასში მაქსიმალურადაა შე-ნარჩუნებული ნედლ ნაყოფში არსებული კომპონენტები [11]. გოგრა ხელს უწყობს ორგა-ნიზმში ნივთიერებათა ცვლას. იგი საუკეთესო საკეთია დიაბეტით, პიელონეფრიტით, გას-ტრიტით დაავადებულთათვის. ამასთან, წარმატებით გამოიყენება ლვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, თირკმლების ფუნქციის დარღვევისას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული დაა-ვადებების დროს. ის კარგად შეითვისება ორგანიზმის მიერ და ადამიანის ყოველდღიური კვების რაციონის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს [7–10, 12–13].

ასეთი ქიმიური შედგენილობის მიუხედავად, საქართველოს გადამამუშავებელ მრეწ-ველობაში გოგრა პრაქტიკულად გამოუყენებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი მუშაობის ძირითადი მიზანი იყო ზოგიერთი ხილისა და ბოსტნეულისაგან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი ბაგშვთა კვების პროდუქტების დამზადება დაბალანსებული კვების ფორმულის მოთხოვნების გათ-ვალისწინებით და მათი გამოკვლევა.

კვლევის ობიექტად შეირჩა მშრალი ნივთიერების, შაქრებისა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა მაღალი შემცელობის მქონე ხილი (ვაშლი) და ბოსტნეული (გოგრა).

ნედლეულისა და მზა პროდუქციის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებისა და ბიოქიმიური შედგენილობის კვლევა ტარდებოდა სტანდარტული მეთოდებით [14-17].

დასახული მიზნის მისაღწევად შესწავლილ იქნა საკვლევი ნედლეულის, კერძოდ ვაშლისა და გოგრის, კვებითი ლირებულების განმსაზღვრელი მაჩვენებლების კომპლექსი, ასევე მათი ტექნოლოგიური მაჩვენებლები.

რეცეპტურის შედგენისას შესარევი კომპონენტების პროცენტული რაოდენობა დადგინდა ექსპერიმენტულად.

ძირითადი ბიოქიმიური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, დაკუპაჟება ხდებოდა დაბალანსებული კვების ფორმულის გათვალისწინებით.

ვაშლისა და გოგრის გახეხილი მასები მზადდებოდა მათი გადამუშავების მოქმედი ტექნოლოგიური ინსტრუქციის შესაბამისად.

დაბალანსებული კვების თეორიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კვების პროდუქტების ქიმიურ შედგენილობას, კერძოდ გლუკოზისა და ფრუქტოზის თანაფარდობას, მცენარეული წარმოშობის ლიპიდებს, ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებსა და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კვების მრავალფეროვნება.

არასწორი კვება არღვევს ცხიმების ცვლას, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადების განვითარებას. ამ ფაქტის გათვალისწინებით შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელთა მიხედვით ინტეგრალური მაჩვენებლები გაანგარიშებულ იქნა პროდუქტის მასაზე და კალორიულობაზე (300 კკალ ან 1255 კკ, რაც საშუალოდ დღიური ენერგეტიკული ხარჯის დაახლოებით 10 %-ს შეადგენს).

საკვლევი ნედლეულისა და მისგან დამზადებული პროდუქციის მიერ დაბალანსებული კვების ფორმულის მოთხოვნების დაკმაყოფილების განსასაზღვრად შესარევი კომპონენტების კვებით ლირებულებას გამოვსახავდით ინტეგრალური მაჩვენებლით (ცხრილი 1). ამ უკანასკნელის გასაანგარიშებლად ვეურდნობდით ნაყოფების ქიმიურ შედგენილობას.

ვაშლისა და გოგრის გახეხილი მასების ენერგეტიკული ლირებულება შეადგენს, შესაბამისად, 115,2 და 192,0 კკალ/100 გ-ს.

ნედლეულის სარგებლიანობის განსაზღვრისას გოგრის კვებითი ლირებულების უმნიშვნელოვანებს მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს: ვიტამინები (კაროტინი, თიამინი, ინოზიტი, ბიოტინი, რიბოფლავინი), მინერალური ნივთიერებები (კალციუმი, მაგნიუმი, რკინა, სპილენდი და სხვ), ხოლო ვაშლის კვებითი ლირებულების მაჩვენებლად – ასკორბინისა და ნიკოტინის მჟავები და მინერალური ნივთიერებები (ნატრიუმი, კალიუმი, ბორი).

ცალკეულ საკვებ ნივთიერებებზე ადამიანის ორგანიზმის დღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცენტის განსასაზღვრად, ჩვენს მიერ მიღებულ მონაცემებს ვაღარებდით დაბალანსებული კვების ფორმულის შესაბამის მაჩვენებლებს და ვსაზღვრავდით შესარევი კომპონენტების შემცველობის შესაბამისობას დაბალანსებული კვების ფორმულის მოთხოვნებთან.

ჩვენ მიერ გაანგარიშებულმა ინტეგრალურმა მაჩვენებლებმა როგორც მასურ, ასევე ენერგეტიკულ ერთეულებში აჩვენა, რომ მათ შესწევთ უნარი დააკმაყოფილონ ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნილება ცალკეულ საკვებ ნივთიერებებზე.

ძირითადი ბიოქიმიური მაჩვენებლების მიხედვით შერჩეულ იქნა რეცეპტურები, რომლებიც უფრო მეტად აკმაყოფილებს დაბალანსებული კვების ფორმულის მოთხოვნებს.

ნედლეულის კვებითი ღირებულება ენერგეტიკულ გამოსახულებაში  
1255 ქვ-ზე (300 კკალ), გ

| მაჩვენებელი                              | კვლევის ობიექტი |        | გახეხილი მასა |
|--|-----------------|--------|---------------|
|  | ვაჭლის          | გოგრის |               |
| ცილა                                     | 2,61            | 10,89  |               |
| საერთო შაქარი                            | 58,82           | 50,33  |               |
| სახამებელი                               | 5,23            | 17,76  |               |
| ორგანული მჟავები                         | 4,58            | 0,44   |               |
| ბალასტი ნივთიერებები                     | 10,46           | 21,90  |               |
| ნაცარი                                   | -               | 10,46  |               |
| მინერალური ნივთიერებები, $\cdot 10^{-3}$ |                 |        |               |
| ნატრიუმი                                 | 112,92          | 44,67  |               |
| კალიუმი                                  | 1107,47         | 490,56 |               |
| კალციუმი                                 | 195,44          | 245,55 |               |
| მაგნიუმი                                 | 73,83           | 139,55 |               |
| რკინა                                    | 2,61            | 3,33   |               |
| ბორი                                     | 1,59            | 0,19   |               |
| სპილენდი                                 | 0,35            | 0,69   |               |
| მანგანუმი                                | 0,39            | 0,80   |               |
| თუთია                                    | 0,40            | 0,62   |               |
| ვიტამინები, $\cdot 10^{-3}$              |                 |        |               |
| კაროტინი                                 | 0,20            | 1,53   |               |
| ასკორბინის მჟავა                         | 104,58          | 18,63  |               |
| თიამინი                                  | 0,20            | 0,87   |               |
| რიბოფლავინი                              | 0,13            | 0,76   |               |
| პანთოენის მჟავა                          | 0,46            | 0,44   |               |
| პირიდოქსინი                              | 0,52            | 0,54   |               |
| ნიკოტინის მჟავა                          | 1,96            | 0,76   |               |
| ინოზიტი                                  | -               | 1,85   |               |
| ბიოტინი                                  | 0,002           | 0,76   |               |
| კალორიულობა, %                           | 10              | 10     |               |
| ნაყოფის მასა, გ                          | 653,6           | 1089,4 |               |

შერჩეული რეცეპტურით დაბორატორიულ პირობებში დამზადდა საცდელი ნიმუშები. მზა პროდუქციაში ვახდენდით ხარისხის განმსაზღვრული ძირითადი მაჩვენებლების შესწავლას (ცხრილი 2).

## პროდუქტის ხარისხობრივი მაჩვენებლები, %

| გვლევის ობიექტი<br>მაჩვენებელი                  | ბაგშვთა კვების პროდუქტი |
|---|-------------------------|
| ხსნადი მშრალი ნივთიერება                        | 14,30                   |
| საერთო შაქარი                                   | 9,68                    |
| მონოსაქარიდები                                  | 6,34                    |
| საქართვა  | 3,34                    |
| პექტინოვანი ნივთიერებები                        |                         |
| საერთო  | 1,85                    |
| ხსნადი  | 1,47                    |
| უხსნადი   | 0,38                    |
| ტიტრული მჟავიანობა (გაშლმჟავაზე გადანგარიშებით) | 0,21                    |
| აქტიური მჟავიანობა (pH)                         | 4,73                    |
| ვიტამინები, •10 <sup>-3</sup>                   |                         |
| კაროტინი  | 0,01                    |
| ასკორბინის მჟავა                                | 1,67                    |
| თიამინი   | 0,004                   |
| რიბოფლავინი                                     | 0,169                   |
| პანთოეტინის მჟავა                               | 0,069                   |
| პირიდოქსინი                                     | 0,092                   |
| ნიკოტინის მჟავა                                 | 0,008                   |
| ინოზიტი   | 0,120                   |
| ბიოტინი   | 0,160                   |

გამოკვლევებით დადგინდა, რომ შესწავლილ პროდუქციაში მშრალი ნივთიერება ძირითადად წარმოდგენილი იყო ნახშირწყლებით, რომელთა შორის საერთო შაქარზე მოდიოდა 9,68 %, ხოლო პექტინოვან ნივთიერებებზე – 1,85 %.

## დასკვნა

ჩატარებული გამოკვლევების შედეგების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკნაო, რომ დამზადებული პროდუქცია ხასიათდება მაღალი ხარისხობრივი (ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებით). იგი შეიცავს შესწავლილი ვიტამინების (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, PP და სხვ.) მეტ რაოდენობას და აქვს მაღალი კვებითი ღირებულება. პროდუქციაში აღმოჩენილია თითქმის ყველა შეუცვლელი ამინმჟავა.

მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები წარმოებისათვის.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Химический состав пищевых продуктов: Справочные таблицы содержания аминокислот, жирных кислот, витаминов, макро- и микроэлементов, органических кислот и углеводов /Под ред. М. Ф. Нестерина и И. М. Скурихина. М.: Пищевая промышленность, 1979. - 248 с.
2. Химический состав пищевых продуктов: Справочные таблицы содержания основных пищевых веществ и энергетической ценности пищевых продуктов /Под ред. Скурихина И. М. и Волгарева М. Н.). 2-е изд. перераб. и доп.. кн. 1. М.: Агропромиздат, 1987.
3. Химический состав пищевых продуктов: Справочные таблицы содержания аминокислот, жирных кислот, витаминов, макро- и микроэлементов, органических кислот и углеводов /Под ред. И. М. Скурихина и М. Н. Волгарева. 2-е изд. перераб. и доп. кн. 2. М.: Агропромиздат, 1987. - 360 с.
4. Скурихин И. М., Нечаев А. П. Все о пище с точки зрения химика: Справ. издание. М.: Высш. школа, 1991. - 299 с.
5. ქ. ოობაქიძე, ბ. აბაშიძე, კლ. მაღლაკელიძე, გ. ბარბაქაძე, ნ. ჩხაიძე, მ. ჭუმბაძე, თ. დარსაველიძე. ჯიშთმცოდნები (ვაზის, ხილ-ბოსტნებულისა და მარცვლოვანი კულტურების). თბ., 2009. - 274 გვ.
6. Химический состав пищевых продуктов. Справочные таблицы содержания основных пищевых веществ и энергетической ценности пищевых продуктов /Под ред. Покровского А. А. М.: Пищевая промышленность, 1977. - 228 с.
7. Кайшаури Г. Н. Напиток из хранящихся сортов тыквы//Известия аграрной науки, т. 6, № 4, 2008, с. 97-99.
8. გ. კაიშაური. ბოსტნებულის სახმელი ბავშვებისათვის//საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 23, თბ., 2009. გვ. 199-200.
9. Кезели Т. А. Витамины в растениях Грузии. Тб.: Мецниереба, 1966, с. 5-199, 225.
10. გ. კაიშაური. საქართველოში მოყვანილი „ქართული თეთრი“ ჯიშის გოგრის ბიოქომიური შედეგების კვლევის შედეგები//საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბ.: საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, №2 (504), 2017, გვ. 11-16.
11. Борденюк В., Диакону Д. Пищевая ценность тыквы//Общественное питание, № 2, 1977, с. 36-37.
12. Ивакин Н.Н., Сердюк Т.Л., Колюненко А.И., Камнева З. П., Богданова З. Н., Чулаевская О. М. Химико-технологические качества сортов тыквы//Картофель и овощи, №1, 1982.- с. 37.
13. გ. კაიშაური. ნატურალური ვაჟინი მცენარეულ ფუქუზე. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „კვების პროდუქტების წარმოების აქტუალური პრობლემები და თანამედროვე ტექნოლოგიები“. შრომათა კრებული, ა. წერეთლის სახლმწიფო უნივერსიტეტი, 12 – 13 ივნისი, ქ. ქუთაისი, 2014, გვ. 257-259.
14. Методические указания по химико-технологическому сортопротивлению овощей, плодов и ягод для консервной промышленности. М., 1977. -198 с.
15. Соловьева Е. Н. Методическое руководство по определению витаминов. М.: Медгиз, 1960.
16. Плешков В.П. Практикум по биохимии растений. М.: Колос, 1976. - 256 с.
17. Марх А. Т., Кржевова Р.В. Химико-технический контроль консервного производства. М.: Пищепромиздат, 1962. - 435 с.

**DEVELOPMENT OF COMPOUNDING OF PRODUCTS OF KID'S FOOD TAKING INTO ACCOUNT THE REQUIREMENTS OF THE FORMULA OF THE BALANCED DELIVERY**

**G. Kaishauri**

(Biotechnological Center of Georgian Technical University)

**Resume:** There is given the results of the research of biochemical substances of some fruit and vegetable and their products for kid's nourishment, enriched by biologically active substances. There is determined nutrition and energetic value of the production.

There is established the percent in compliance with ready made production to the formula of the balanced delivery.

**Key words:** apple; balanced delivery; biologically active substances; kid's nourishment product; pumpkin.

**ПИЩЕВАЯ ТЕХНОЛОГИЯ**

**РАЗРАБОТКА РЕЦЕПТУР ПРОДУКТОВ ДЕТСКОГО ПИТАНИЯ С УЧЕТОМ ТРЕБОВАНИЙ ФОРМУЛЫ СБАЛАНСИРОВАННОГО ПИТАНИЯ**

**Кайшаури Г. Н.**

(Биотехнологический центр Грузинского технического университета)

**Резюме.** Приведены результаты исследования биохимического состава продуктов детского питания, обогащенных биологически активными веществами. Продукты изготовлены из некоторых фруктов и овощей. Определена пищевая и энергетическая ценность изготовленной продукции.

Установлен процент соответствия изготовленной продукции требованиям формулы сбалансированного питания.

**Ключевые слова:** биологически активные вещества; продукт для детского питания; сбалансированное питание; тыква; яблоко.

## ალკოჰოლური დუღილი ნახშირჟანგის მაღალი ზევისა და ვაპუშას პირობებში

ნუგზარ ბალათურია, ნანა ბეგიაშვილი, მარიამ ლოლაძე, ლევან უჯმაჯურიძე,  
დავით ჩიჩუა

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო-პალევითი  
ინსტიტუტი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ცენტრი)

**რეზიუმე:** ნაშრომში მოყვანილია თანამედროვე წარმოდგენები ნახშირორჟანგის მაღალი  
წნევის პირობებში ალკოჰოლური დუღილის პროცესის ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიური  
საფუძვლების შესახებ. აღწერილია მაღალი წნევის ქვეშ დუღილის ტექნოლოგია მეღვინეობის  
პრაქტიკაში.

ნაჩვენებია, რომ ვაკუუმის პირობებში ფერმენტაციისას იზრდება ეთილის სპირტის გა-  
მოსავალი ატმოსფერულ წნევაზე დუღილთან შედარებით.

**საკვანძო სიტყვები:** ვაკუუმი; დუღილი; ნახშირორჟანგი; წნევა.

### შესავალი


მაღალი წნევის ბიოქიმიის ისტორია. პოული (1971 წ.) პირველი გამოკვლევები ჩა-  
ატარა ცილებზე მაღალი წნევის გავლენის შესასწავლად. მან შექმნა ე. წ. „პოულის წესი“,  
რომელშიც აღწერილია წნევისა და ტემპერატურის გავლენა ცილის დენატურირებაზე.

### ძირითადი ნაწილი

მაღალი წნევის ქვეშ დუღილი. 1-ლ ნახ-ზე წარმოდგენილია წონასწორობის კონსტანტის გრაფიკი ცილის ნატურალურ (ნატივურ) და დენატურალურ მდგომარეობათა შორის. ამ გრაფიკებს ელიფსის ფორმა აქვს და წნევისა და ტემპერატურის ცვლილებებით გამო-  
წვეულ მაკრომოლეკულების სტრუქტურულ გადასვლებს ასახავს. XD სიდიდე კი მაღალი წნევის ზემოქმედების შედეგად დენატურირებული ცილების დაუზიანებელ ცილებთან შე-  
ფარდებას წარმოადგენს.

კონტური XD-5 გვიჩვენებს, რომ ამ პირობებში ცილის მასის ნახევარი დენატურირ-  
ბულ იქნა ტემპერატურისა და წნევის ზემოქმედების შედეგად.

სონოკემ (Sonoike) და სხვებმა (1992 წ.) დაადასტურეს, რომ ბაქტერიების ინაქტივა-  
ცია ტემპერატურისა და წნევის ზემოქმედების შედეგად ეთანხმება პოულის წესს რმის მე-  
გას ბაქტერიების – Escherichia coli-ს შემთხვევისათვის. ანალოგიური შედეგები იქნა მიღებუ-  
ლი Saccharomyces cerevisiae-ს შემთხვევაშიც (Hashizume et al., 1995 წ.).



**ნახ. 1. დენატურირებული ცილის მუდმივი წილის კონტურები წნევა-ტემპერატურის  
სიბრტყეზე. კონტურის შიგნით ცილის ნატურალური მდგომარედობაა შენარჩუნებული,  
გარეთ – დენატურირებული**

ბოლო წლებში ჩატარებული გამოკლევებით დადასტურდა ფერმენტების აქტიურობის რეალური ზრდა წნევით დამუშავების შემდეგ (Ueno et al., 2009 წ.). ეს მოვლენა გამოწვეული იყო ფერმენტის სსნარის შემოდინებით, რაც, თავის მხვრივ, განაპირობა წნევის ზემოქმედების შედეგად უჯრედის კედლის მთლიანობის დარღვევამ. კერძოდ, პროტეაზების მაგალითზე ნაჩვენები იყო, რომ 150 – 200 მპა წნევით დამუშავებისას 15 °C ტემპერატურაზე პროტეაზების აქტიურობა გაიზარდა 7-ჯერ (Ikeuchi et al., 2000 წ.). თერმოლიზინის აქტიურობა, რომელიც გამოიყენება ასპარტამის საწარმოებლად, გაძლიერდა, რის გამოც გაიზარდა ასპარტამის წინამორბედების გამოსავალი თოთქმის 6-ჯერ (Kunugi and Nomura, 1990 წ.). უფრო მეტიც, S. cerevisiae-ს მიერ გამოწვეული ალკოჰოლური დუღილი 10 მპა წნევაზე, ატმოსფერულ წნევასთან შედარებით, 3-ჯერ უფრო სწრაფად წარიმართა (Picard et al., 2007 წ.).


ნაშმიროვანგის წნევის ქვეშ დუღილისას იცვლება ალკოჰოლური დუღილის ცალკეული პროდუქტების რაოდგნობრივი თანაფარდობა. წარმოიქმნება დაახლოებით 2-ჯერ ნაკლები უმაღლესი სპირტები ღია აერობულ დადუღებასთან შედარებით; ასევე მცირდება გლიცერინის ბიოსინთეზიც. CO<sub>2</sub>-ის ჭარბი წნევის პირობებში გროვდება აზოტოვანი ნივთიერებებისა და ალდეჰიდების მეტი რაოდგნობა (ცხრილი 1).

### ცხრილი 1 მაღალი წნევის გავლენა ალკოჰოლური დუღილის პროდუქტების დაგროვებაზე

| დუღილის<br>პირობები | ალდეჰიდების<br>ჯამი,<br>მგ/ლ | მქრო-<br>ლაფი<br>მჟავე-<br>ბი,<br>გ/ლ | გლიცერინი, გ/ლ          |                               | უმაღ-<br>ლესი<br>სპირ-<br>ტები,<br>მგ/ლ | აზოტი,<br>მგ/ლ    |            | 1 დღე-დამეში<br>დადუღებული<br>შაქარი, გ 1 გ<br>პაერზე გამშ-<br>რალ საფუარზე |
|---------------------|------------------------------|---------------------------------------|-------------------------|-------------------------------|---|-------------------|------------|---|
|                     |                              |                                       | დვინო-<br>მასა-<br>ლაში | 1 გ დადუ-<br>ღებულ<br>შაქარზე |   | ამო-<br>ნუ-<br>რი | საერ-<br>ო |   |
| წნევის<br>ქვეშ      | 145                          | 0,6                                   | 6,9                     | 0,031                         | 163                                     | 110               | 362        | 63  |
| ანაერობუ-<br>ლი     | 96                           | 0,5                                   | 7,1                     | 0,031                         | 221                                     | 110               | 309        | 38  |
| აერობული            | 92                           | 0,5                                   | 8,2                     | 0,035                         | 284                                     | 108               | 280        | 33  |

მაღალი წნევა ასევე ახდენს გავლენას კეტომჟავების წარმოქმნაზე. დია დუღილის პირობებში პიროფურმნის მჟავას მაქსიმალური რაოდენობა გროვდება 90 % შაქრების და-დუღების შემდეგ, ხოლო 0,4 მპა წნევის პირობებში – 60 %-ის დაღუღების შემდეგ (ნახ. 2, მრუდები 1 და 2).

დახურული დუღილის დროს წარმოქმნება  $\alpha$ -კეტოგლუტარის მჟავას უფრო მეტი რა-ოდენობა (ნახ. 2, მრუდები 3 და 4); ამასთან, მაღალი წნევის პირობებში მცირდება პირო-ფურმნის მჟავას დაგროვება.  $\alpha$ -კეტოგლუტარის მჟავას რაოდენობის ზრდას ხსნიან კრე-ბსის ციკლში დეგარბოქსილირების რეაქციის შეფერხებით  $\text{CO}_2$ -ის მაღალი კონცენტრაცი-ებისას, ხოლო პიროფურმნის მჟავას შემცველობის შემცირებას – ამავე პირობებში მისი კარბოქსილირების რეაქციების სტიმულირებით. მე-2 ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს მა-დუღარ არეში ნახშირორჟანგის მაღალი წნევისას პიროფურმნის მჟავას შემცირების პარა-ლელურად კეტოგლუტარის მჟავას რაოდენობრივი შემცველობის ზრდას.



ნახ. 2. ნახშირორჟანგის მაღალი წნევის გავლენა კეტომჟავების წარმოქმნაზე ალკოჰოლური დუღილის პროცესში: 1 – პიროფურმნის მჟავა ატმოსფერული წნევის დროს; 2 – პიროფურმნის მჟავა 0,4 მპა წნევისას; 3 –  $\alpha$  – კეტოგლუტარის მჟავა ატმოსფერული წნევისას; 4 –  $\alpha$ -კეტოგლუტარის მჟავა 0,4 მპა წნევისას

## ცხრილი 2

**კეტომჟავების შემცველობის ცვლილება ალკოჰოლური დუღილის  
პროცესში  $\text{CO}_2$ -ის წნევაზე დამოკიდებულებით**


| $\text{CO}_2$ -ის წნევა, მპა | დაღუღებული შაქარი,<br>% | კეტომჟავები, მგ/ლ |              |
|------------------------------|-------------------------|-------------------|--------------|
|                              |                         | პიროფურმნის       | კეტოგლუტარის |
| 0 (კონტროლი)                 | 71,4                    | 32,85             | 2,82         |
|                              | 87,8                    | 37,20             | 4,57         |
|                              | 99,8                    | 32,55             | 7,52         |
| 0,3                          | 50,3                    | 29,80             | 3,37         |
|                              | 60,4                    | 27,50             | 4,85         |
|                              | 88,0                    | 18,35             | 10,65        |
| 0,5                          | 41,0                    | 22,60             | 6,00         |
|                              | 70,7                    | 18,60             | 10,15        |
|                              | 80,7                    | 15,15             | 12,75        |

ამრიგად, ნახშირორჟანგის წნევის ქვეშ ალკოჰოლური დუღილისას ხდება საფუვრის ნივთიერებათა ცვლის გადაწყობა, იზრდება დუღილის ენერგია, ეთილის სპირტის გამოსავალი ერთეული დაღუდებული შაქრებიდან, წარმოიქმნება პიროფურმნის მუავას შედარებით ნაკლები რაოდენობა.

ალკოჰოლურ დუღილში მონაწილე საფუვრების ბიომასის სიმცირის გამო მიღება დაბალი ჟანგვა-აღდგენთი პოტენციალის ქვეშ მაღალხარისხების, ოდონდ ჟანგბადისადმი მაღალი მგრძნობიარობის, სუფრის დვინო.

**მაღალი წნევის მიკრობიოლოგიის ისტორია.** გამოკვლეულ იქნა წნევის გავლენა მიკრორგანიზმების კოლონიაწარმომქმნელ უნარზე (kazuki Nomura and Hitohi Iwahasi, 2014 წ.). დადგინდა, რომ მაღალი წნევით დამუშავებული ნიმუშების კოლონიები არ წარმოიქმნება აგარის არეში მათი ინოკულაციისთანავე. მაგრამ მიკრორგანიზმების ცხოვლმყოფელობა აღდგა მათი ატმოსფერულ წნევაზე და  $25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურულ პირობებში გადატანიდან ერთი კვირის შემდეგ (Koseki and Yamamoto, 2006 წ.).

მაღალი წნევის ზემოქმედების შედეგად ინაქტივირებული *E.coli* გამოცოცხლდა წნევის მოხსნის შემდეგ და მოხდა მათი ცხოვლმყოფელობის აღდგენა და შემდგომი განვითარება (Ohshima et al., 2013 წ.). მაშასადამე, ატმოსფერული წნევის პირობებში გადმოტანისას ხდება არა მარტო მიკრორგანიზმების ცხოვლმყოფელობის აღდგენა, არამედ მათი შემდგომი ზრდა-განვითარებაც (ნახ. 3).



ნახ. 3. მაღალი წნევის ზემოქმედებით დაზიანებული *E. coli*-ს აღდგენა წნევის მოხსნისას ალკოჰოლური დუღილის პროცესში

მაღალი წნევის ქვეშ დუღილი ამცირებს საფუვრების გამრავლების უნარს და ამით ზღუდავს ალკოჰოლური დუღილის მეორეული პროდუქტების წარმოქმნას (ცხრილი 1), რაც მაღალ ტემპერატურაზე განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს წნევის რეგულირებას

როგორც დროში, ასევე რაოდენობრივადაც. წნევის ადრე გამოყენებით საფუვრების გამრავლება მნიშვნელოვნად ითრგუნება და დუღილი ნელდება, მაგრამ, თუ წნევა ძალიან გვიან გამოიყენება ან იგი საჭიროზე დაბალია, მაშინ იზრდება დუღილის თანმდევი პროდუქტების რაოდენობა დვინოში.

**მაღალი წნევის ქვეშ დუღილი მეღვინეობის პრაქტიკაში.** ბოლო წლებში გერმანიაში თეთრი და წითელი სუფრის დვინოების წარმოებისას ფართოდ გამოიყენება წნევის ქვეშ ალკოჰოლური დუღილის ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ნაკლებად დაჟანგული


დგინოების მიღებას. დუღილი მიმდინარეობს ფოლადის პორიზონტალურ (ნახ. 4) ან ვერტიკალურ რეზერვუარებში, რომლებიც გათვლილია 12 ატმ წნევაზე.

პირველ რიგში რეზერვუარები იგსება ტემპით, შემდეგ 120 დკლ ტემპადობის რეზერვუარიდან იხსნება 50 ლ, ხოლო 2000 დკლ-დან – 500 ლ ტემპილი. დუღილის წინ ტემპილში შეპყავთ კალიუმის პიროფოსფატი იმ ანგარიშით, რომ სულფიტირებამ შეადგინოს 50 მგ/ლ  $\text{SO}_2$ . დუღილი მიმდინარეობს საკუთარი საფუვრის მონიტორილებით. დუღილისას წარმოქმნილი ნახშირორეზანგის აირი დახურულ რეზერვუარებში ქმნის წნევას, რომელიც დუღილის პროცესში შენარჩუნდება 8 ატმ-ს დონეზე. წნევის 8 ატმ-ზე მეტად გაზრდისას რეზერვუარიდან აირის ნაწილი ჩამოიშვება შლანგის მეშვეობით, რომელიც დაკავშირებულია დამკავ სარქველთან, და წნევა რეზერვუარში შემცირდება საურველ დონემდე.

წნევის ქვეშ ალკოჰოლური დუღილისას გაცილებით მარტივია ნორმალური ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფა დია დუღილთან შედარებით. დუღილისას დროის ნებისმიერ მომენტში შეიძლება წნევის გაზრდა ან შემცირება და ამით საფუვრების ცხოველ-მყოფელობაზე ზემოქმედება. საფუვრების აქტიურობისა და გამრავლების ტემპის გაზრდით ან შემცირებით ხდება დუღილის ტემპერატურის რეგულირება.

დადგენილია, რომ ნახშირორეზანგის ჭარბი წნევა 0,4 ატმ-მდე გავლენას არ ახდენს საფუვრების გამრავლებასა და დუღილის პროცესის მიმდინარეობაზე.

ჭარბი წნევის ერთ ატმოსფერომდე გაზრდისას საფუვრების გამრავლება შესამჩნევად ითრგუნება და 20 ატმ-ზე საფუვრები ადარ მრავლდება. საფუვრების გამრავლების შესაწყვეტად დვინოში  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაცია უნდა შეადგენდეს 15 გ/ლ-ს. ასეთი კონცენტრაცია მიიღწევა  $0^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა და 2,75 ატმ წნევისას, ხოლო  $20^{\circ}\text{C}$  ზე – 6,25 ატმ წნევისას.



ნახ. 4. ტემპილის დასადუღებელი პორიზონტალური ფოლადის რეზერვუარი:

- 1 – სადუღარი სარქველი; 2 – დამცავი სარქველი; 3 – სითხის დონის განმსაზღვრელი ხელსაწყო; 4 – სასინჯი ონკანი; 5 – დვინის ჩამოსაშვები ონკანი;
- 6 – ლექის ჩამოსაშვები ონკანი; 7 – ჩასასხმელი ონკანი

დუღილის სრული შეჩერებისთვის  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაცია უნდა იყოს 20 გ/ლ-ზე ზევით.  $\text{CO}_2$ -ის მაღალი კონცენტრაციების თვისება, დათრგუნოს საფუვრების გამრავლება, გამოიყენება დუღილის პროცესის რეგულირებისათვის წნევის ქვეშ ალკოჰოლური დუღილისას.

ჩვეულებრივ, დუღილი ტარდება  $18^{\circ}\text{C}$ -ზე 5 ატმ წნევის პირობებში და გრძელდება 20 – 30 დღე, რაც დადებითად მოქმედებს დვინის ხარისხზე.


ნახშირორეზანგის წნევის ქვეშ დაღუდებული დვინის შემდგომი დამუშავება ისეთივეა, როგორიც დია წესით დაღუდებული დვინოების შემთხვევაში – ზომიერი სულფიტაცია პორველი და მეორე გადაღებისას, ადრეული ჩამოსხმა წინასწარი სულფიტაციით, ჩამოსხმა სტერილურ ავტომატიზებულ ხაზზე.

ნახშირორეანგის კონცენტრაციის 5 ატმ-მდე გაზრდა იწვევს საფუვრების გამრავლების სიჩქარის საშუალოდ 3-ჯერ შემცირებას ატმოსფერულ წნევასთან შედარებით.

დადგენილია, რომ ალკოჰოლური დუღილისას მუდმივი ჭარბი წნევის პირობებში საფუვრები კარგ ფიზიოლოგიურ მდგომარეობაში ილექტბა ფსკერზე, რაც იწვევს მათი კონცენტრაციის შემცირებას მაღულარ არეში და ამუხრუჭებს დუღილს. რეზერვუარის ზედა ნაწილში საფუვრების უჯრედების რაოდენობა 4-5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე რეზერვუარის ქვედა ნაწილში. აյ საფუვრები გროვდება სქელ ფენად და იწყება მათი ავტოლიზი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ცილოვანი სიმღვრივის მქონე მიკრობულად დაავადებული ღვინოების მიღება. ამიტომ მიზანშეწონილია წნევის ქვეშ დუღილისას წნევის პერიოდულად დაწევა, რასაც მოჰყვება მაღულარი ტკბილის არევა და დალექილი საფუვრების შეწონილ მდგომარეობაში გადასვლა, ეს კი, შესაბამისად, აჩქარებს დუღილს და ზრდის აპარატის მწარმოებლურობას.

დუღილის პროცესისი დასრულების შემდეგ ღვინო ინახება იმავე რეზერვუარში 1-2 ატმ წნევის პირობებში. მაშასადამე, ტკბილის ალკოჰოლური დუღილიც და მიღებული დვინის შენახვაც ტარდება უპაერო (ანაერობულ) პირობებში. დუღილის მართვა იძლევა ნახევრად ტკბილი ღვინოების მიღების ფართო შესაძლებლობებს.

**ვაკუუმის ქვეშ დუღილი.** გამოკვლეულ იქნა გლუკოზის ალკოჰოლური დუღილის პროცესი სისტემის დაბალი წნევის პირობებში (Viet D. Nguyen and al., 2008 წ.). დადგენილ იქნა, რომ ინოკულანტებად გამოყენებული პურცხობის საფუვრები ცხველმოქმედია და შეუძლია ვაკუუმის ქვეშ გლუკოზის ეთილის სპირტად გარდაქმნა (ნახ. 5). ამ პირობებში ფერმენტაციისას იზრდება ეთილის სპირტის გამოსავალი ატმოსფერულ წნევაზე დუღილთან შედარებით.



ნახ. 5. A – გლუკოზის უტილიზაცია (s) და ეთანოლის წარმოქმნა (P);  
B – უჯრედის მასის ფორმირება მაღულარ არეში სხვადასხვა წნევის პირობებში (x)

## **დასკვნა**

ამრიგად, ნახშირორეანგის წნევის ქვეშ ალკოჰოლური დუდილი დაუქანგავი მაღალ-ხარისხოვანი სუფრის დვინოების მიღების საშუალებას იძლევა. აღნიშნული გარემოება გათვალისწინებული იქნება ქართული დვინოების წარმოების ტექნოლოგიების სრულყოფისას მათი მსოფლიო პაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

## **ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Валуйко Г.Г. Технология столовых вин. М.: Пищевая промышленность, 1969. - 305 с.
2. approach thattilizes hidrostatic pressure. Reviuews in Agricultural Science, 2: 1-10, 2014, doi: 7831/ras.2.1
3. Viet D. Nguyen etc. Effect of Vacuum Pressure on Ethanol Fermentation. 2nd Asian Conferens on Sciens Technology & Medicine. Deira Dubai, UAE, March 20-22, 2008.

**ALCOHOLIC FERMENTATION UNDER HIGH PRESSURE OF CARBON DIOXIDE  
AND VACUUM CONDITIONS**

**N. Bagaturia, N. Begiashvili, M. Loladze, L.Ujmajuridze, D. Chichua**

(Food Industry Scientific-research Institute of Georgian Technical University, Scientific-research centre of Agricultural ministry)

**Resume:** The article presents modern ideas about the biochemical and microbiological foundations of alcoholic fermentation under the pressure of carbon dioxide. The technology of alcoholic fermentation in the practice of winemaking is described.

It is shown that fermentation under vacuum conditions increases the yield of ethyl alcohol.

**Key words:** pressure; carbon dioxide; fermentation; vacuum.

**ПИЩЕВАЯ ПРОМЫШЛЕННОСТЬ**

**АЛКОГОЛЬНОЕ БРОЖЕНИЕ ПОД ВЫСОКИМ ДАВЛЕНИЕМ УГЛЕКИСЛОГО  
ГАЗА И УСЛОВИЯХ ВАКУУМА**

**Багатурия Н. Ш., Бегиашвили Н. А., Лоладзе М. Т., Уджмаджуридзе Л. М .,  
Чичуа Д. Т.**

(Научно-исследовательский институт пищевой промышленности Грузинского технического университета, Научный центр Министерства сельского хозяйства)

**Резюме.** В статье приведены современные представления о биохимических и микробиологических основах алкогольного брожения под давлением углекислого газа. Описана технология алкогольного брожения в практике виноделия.

Показано, что приферментации в условиях вакуума увеличивается выход этилового спирта.

**Ключевые слова:** давление; углекислый газ; брожение; вакуум.

## მოცხარის სახელის შედარებითი დახასიათება

გულნაზ კაიშაური, მზია ლირსიაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრი)

**რეზიუმე:** განხილულია გარეული კენტრის (კერძოდ მოცხარის) სახეობები და მათი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები. მოცხარის მოცხარის სახეობების (თეორი, წითელი, შავი) ბოტანიკური დახასიათება, ქიმიური შედგენილობა, სასარგებლო თვისებები და სამკურნალო მნიშვნელობა.

დადგენილია, რომ შავი და წითელი მოცხარი თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით (ორგანოლეპტიკური თვისებები და ქიმიური შედგენილობა) საშუალებას იძლევა წარმატებით იქნეს გამოყენებული როგორც სამკურნალოდ, ასევე კვების მრეწველობაში.

**საკვანძო სიტყვები:** ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები; თეორი მოცხარი; შავი მოცხარი; წითელი მოცხარი.

### შესავალი

ბოლო დროს გამოიკვეთა ადამიანის ორგანიზმისთვის სასარგებლო ნივთიერებების შემცველი კულტურების ფართოდ დანერგვის ტენდენცია. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ტყის კენტროვანი კულტურები, რომლებიც გამოირჩევა კარგი გემოთი, ეკოლოგიური სისუფთავით, მაღალი კვებითი დირექტულებით, დიდი რაოდენობით ადვილად შესათვისებელი ნახშირწყლების, ვიტამინების, იმუნიტეტის ასამაღლებელი ნაერთების, ანტიოქსიდანტებისა და სხვათა შემცველობით. ამ მხრივ ისინი შესანიშნავ ნედლეულს წარმოადგენენ.

სხვა კულტურებთან შედარებით კენტროვნები ადრე მწიფდება და მაღალი ხარისხისა და კვებითი დირექტულების ნედლეულს იძლევა, რაც მეტად საყურადღებოა გადამამუშავებელი მრეწველობისათვის. კენტროვნების გამოყენება ხელს უშლის ორგანიზმის დაბერებას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას, აპათიას და ძილის დარღვევას. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ კენტროვნებში მძიმე ლითონები გროვდება ფესვებსა და ფოთლებში, ამიტომ ნაყოფის შეგროვებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო.

კენტრა ადამიანის ძვირფას საკვებად ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან გამოიყენება. იგი ყოველთვის იყო მონადირეებისათვის ერთ-ერთი ძირითადი საკვები და დღესაც რჩება.

დროთა განმავლობაში ხალხმა ისწავლა კენტრის შენახვა ზამთარში მოსახმარად, რაც ადამიანის ორგანიზმის ვიტამინებით ხანგრძლივად მომარაგების საშუალებას იძლევა [1].

კენტრის შეგროვება ძალიან პოპულარულია ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში.

გარეული კენკროვანი მცენარეების მსოფლიო ფონდი ითვლის 5320 ჯიშს, რომელიც მიეკუთვნება 55 სახეობას. აქედან საკვებად გამოყენება 700–1000 ჯიშის მცენარე. მათი მრავალფეროვნების ჩამოყალიბების კუთხით მთავარ ბაზად კაგვასია ითვლება.

კენკროვანი მცენარეების, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი ნედლეულის, წარმოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ეტაპს წარმოადგენს გენოტიპურ და კოლოგიურ ფაქტორებზე დამყარებული მისი ხარისხის სამეცნიერო შეფასება და ბიოქიმიური შედგენილობის ამაღლება თანამდეროვე აგრომეთოდების გამოყენების გზით.

კენკროვნები ითვლება ყველაზე სასარგებლო კულტურად. С ვიტამინის შემცველობით ის ლიდერია. მასში ბევრია P, K და B ჯგუფის ვიტამინები, პეტიონვანი ნივთიერებები, კაროტინი.

კენკროვნებს მიაკუთვნებენ ფუნქციონალური, ანუ ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ინგრედიენტების უმდიდრეს წყაროს, ამიტომ მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და აუცილებლად ჩაირთოს ადამიანის კვების რაციონში.

საქართველოს ტყეები მდიდარია ბუნებრივად მზარდი ისეთი კენკრით, როგორიცაა მაყვალი, პანტა, შინდი, მოცხარი, მოცვი და სხვ.

ტყის კენკროვნებიდან ყურადღებას იმსახურებს მოცხარი. მისგან ამზადებენ ჯემებსა და მურაბებს, ცუბატებს, ხოლო ძირძველი ამერიკლები, ანუ ინდიელები ლორთან და ხორცოან ერთად – პემიკანს [1–5].

## ძირითადი ნაწილი

**მოცხარი** ზოგადად შეიცავს: 85–85,4 % წყალს, არანაკლებ 8 % საერთო ნახშირწყლებს, 4–10 % შაქრებს (7,3 % მონო- და დისაქარიდებს). მასში ბევრია უჯრედანა (2,5 %) და თავისუფალი მჟავები (2,5–4,5 %), ორგანული მჟავები ძირითადად წარმოდგენილია ვაშლმევათი (2,5 %), ცოტად ცილა (0,6 %). ნაყოფი მდიდარია მინერალური ნივთიერებებით (21–32 მგ% Na, 275–372 მგ% K, 36 მგ% Ca, 17–35 მგ% Mg, 33 მგ% P, 0,9–1,3 მგ % Fe) და ვიტამინებით (0,1–0,2 მგ % კაროტინი, 25–200 მგ % C, 0,01–0,03 B<sub>1</sub>, 0,03–0,04 B<sub>2</sub>, 0,2–0,3 მგ % PP და სხვ.) [6–8].

კენკრაში C და P ვიტამინების მაღალი შემცველობა ხელს უწყობს სისხლძარღვთა სისტემის ნორმალურ განვითარებას. კენკრა ამცირებს ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნის რისკს. ნაყოფი სასარგებლოა საშარდე ბუშტითა და თირკმელებით დაგვადებულთათვის.

მოცხარი თაფლოვანი მცენარეა. ჩვენში გავრცელებული სახეობები უეპლო ბუჩქებია. კულტურაში მოცხარი სამ ძირითად სახეობად იყოფა. ესენია: თეთრი, წითელი და შავი.

**თეთრი** მოცხარი იშვიათად გვხვდება.

**წითელი** მოცხარს შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ხურმასა და ფეიშოას და ხელი შეუწიოს ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებას. საქართველოში ბუნებრივად იზრდება წითელი მოცხარის სამი სახეობა: კლდის მოცხარი (*Ribesbiebersteinii*), აღმოსავლური მოცხარი (*Ribesorientale*) და მთის მოცხარი (*Ribesalpinum*), რომელთაგან პირველი გავრცელებულია კაგასია-ანატოლიაში, მეორე – კაგვასიაში, ანატოლიასა და ირანში, მესამე კი – ჩრდილოეთ და შუა ევროპაში, კავკასიასა და ანატოლიაში.

**წითელი მოცხარი** (*Ribes rubrum*) – ველურად იზრდება ევრაზიის ტყის ზონაში. მისი სიმაღლე 1–2 მ-ს აღწევს. ყლორტი ნაცრისფერი ან მოყვითალო აქვს. მერქანი – მომწვანო, შუაგულში – ღია ფერისა. ყვავილები მოყვითალო-მომწვანო ან მოწითალო მურა შეფერი-

ლობისაა. ყვავის მაისში. მას აქვს 8–12 სმ დიამეტრის ღია-მოწითალო ფერის და წვნიანი, მომჟავო გემოს მქონე ნაყოფები, რომლებიც ქმნის მტევანს [9].



**ნახ. 1 წითელი მოცხარი (*Ribes rubrum*) Red currant**

ქიმიური შედგენილობით მოცხარის სახეობები ერთმანეთისაგან განსხვავდება. მაგალითად, წითელი მოცხარის ნაყოფი ითვლება მჟავების, მთრიმლავი და მინერალური ნივთიერებების წყაროდ. იგი შავ და თეთრ მოცხართან შედარებით ნაკლებშაქრიანია (4,86–7,94 %) და უფრო მჟავე გემო აქვს. შავი მოცხარის ნაყოფში შემავალი ორგანული მჟავებიდან (0,589–2,35 %) ძირითადია ვაშლმჟავა (2,5 %). ზოგ შემთხვევაში ნაყოფში მჟავას შემცველობა 4,2 %-მდეც აღწევს. ამის გამო ნაყოფის წვენი კარგად კლავს წყურვილს, აღძრავს მადას, ააქტიურებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამიტომ დიდი ხნით ავადმყოფობის შემდეგ ძალების აღსაღენად და გაციების საწინააღმდეგოდ შესანიშნავი საშუალებაა.

მოცხარის სახეობებიდან შედარებით მაღალი მჟავიანობით (3 %) გამოირჩევა შავი და წითელი მოცხარი, ხოლო მაღალი შაქრიანობით (8,7 %) – თეთრი მოცხარი.

ასკორბინის მჟავას შემცველობით (30,1–110,5 მგ %) წითელი მოცხარი რამდენადმე ჩამოუვარდება შავ მოცხარს (80–417 მგ %), მაგრამ აჭარბებს თეთრ მოცხარს (40 მგ %), თუმცა მდიდარია C და P ვიტამინებით; შეიცავს 1031,7 მგ % P აქტიურ ნივთიერებებს. მასში ასევე გახვდება მთრიმლავი ნივთიერებები. ნაყოფში დიდი რაოდენობითაა რკინა, რომელიც სისხლის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. ამ სახეობის მოცხარის კალორიულობაა 38 კკალ (159 კჯ) [2, 6, 8, 10, 11 და სხვ].

მოცხარის ნაყოფი წარმოადგენს ანტიაღერგიულ საშუალებას. მასში არსებული კალიუმი დადებითად მოქმედებს გულზე; კუმარინი ხელს უშლის სისხლის შედედებას, პექტინი კი, პირიქით, იცავს ორგანიზმს ტოქსინებისაგან. გარდა ამისა, ნაყოფი ორგანიზმს ათავისუფლებს ქლესტერინისაგან. მოცხარი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებსაც აქვს ტკივილგამაყუჩებელი და ანტისიმსივნური თვისებები. ნაყოფი აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ზრდის მადას. წითელ მოცხარს აქვს სიცხის დამწევი, სისხლდენის შემაჩერებელი და სხვა ეფექტი. მისი წვენი კლავს წყურვილს, ზრდის ნაწლავების პერისტალტიკას, სხნის სპაზმებს. ნაყოფი საუკეთესო საშუალებაა კოლიტის სამკურნალოდ.

მოცხარს იყენებენ ჯემების, სიროფების, კომპოტის, მურაბისა და სხვა კონსერვების დასამზადებლად. სკანდინავიის ქვეწებში იგი ხშირად გამოიყენება, როგორც ხილის წვნიანისა და პუდინგების კომპონენტი, ხოლო გერმანიაში – როგორც ტორტის დანამატი მოხარშულ კრემთან და ბეზესთან ერთად [11, 12].

**შავი მოცხარი** (*Ribes nigrum*) 1-2 მ-მდე სიმაღლის სინათლის მოყვარული ბუჩქია, თუმცა ეგუება მკრთალწრდილიან ტერიტორიებსაც, იზრდება მეტწილად თიხნარ ნიადაგზე აქვს ბუსუსიანი ნორჩი ყლორტი. მისი 3-5-ნაკვთიანი სურნელოვანი ფოთლები ზევიდან მუქი მწვანეა, ქვევიდან კი – უფრო ღია ფერის. მცენარე გავრცელებულია ევროპის მთელ ტერიტორიაზე, ყაზახეთში, ჩინეთსა და ჩრდილოეთ მონდოლეთში [9, 12-14].



ნახ. 2. შავი მოცხარი (*Ribes nigrum*) Blackcurrant [21]

შავი მოცხარი ერთ-ერთი უველაზე სასარგებლო კენკრაა. ნაყოფს აქვს მომჟავო-ტებილი გემო და განსაკუთრებული არომატი. მის როგორც ნედლ, ასევე მშრალ ნაყოფში დიდი რაოდენობით გროვდება შაქრები, ორგანული მჟავები და ფენოლური ნაერთები, ვიტამინები (C, კაროტინი), მინერალური და სხვა სასარგებლო ნივთიერებები. იგი მიეპუთგნება სამჯურნალო-პროფილაქტიკური პროდუქტების ჯგუფს. ნაყოფი შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებსაც ადამიანის ორგანიზმიდან გამოაქვს რადიოაქტიური ნივთიერებები. ნაყოფისაგან დამზადებულ პროდუქტებს კოსმონავტების კვების რაციონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს [11-15].

შავი მოცხარი შედარებით მაღალი სიტკბოთი გამოირჩევა. იგი შეიცავს 5,0-9,72 % სხვადასხვა სახის შაქარს (ძირითადად, გლუკოზას – 1,5, ფრუქტოზას – 4,2, საქაროზას – 1 %-ს). 0,40-3,92 % მჟავებს (უმეტესად გვხვდება ლიმონმჟავა – 2, ვაშლმჟავა – 0,21 და მჟაუნმჟავა – 0,06 %), პოლისაქარიდებს – პერიცელულოზას (0,1 %), უჯრედანას (3 %), სახამებელს (0,6 %), პექტინოვან ნივთიერებებს (0,36-1,44 %).

ზემოაღნიშნულის გარდა, ნაყოფის შედგენილობაშია გლუკოზიდები, ფლავონოიდები (საერთო რაოდენობა – 62 მგ %), ფენოლები (საერთო რაოდენობა – 352 მგ %); ანტოციანები (საერთო რაოდენობა – 131,3 მგ-ის ექვივალენტი) – (ციანიდინ-3-გლიკოზიდი, დელფინინი), აზოტოვანი და მინერალური ნივთიერებები; მაკროელემენტებიდან – 32 მგ % ნატრიუმი, 350-372 მგ % კალიუმი, 36 მგ % კალციუმი, 31-35 მგ % მაგნიუმი, 31-35 მგ % ფოსფორი, 2 მგ % გოგირდი, 14 მგ % ქლორი, მიკროელემენტებიდან კი – 55 მგგ % ბორი, 1300 მკგ % რკინა, 1 მკგ % იოდი, 4 მკგ % კობალტი, 180 მკგ % მანგანუმი, 130 მკგ % სპილენი, 24 მკგ % მოლიბდენი, 17 მკგ % ფტორი, 130 მკგ % თუთია [12]. რაც შეეხება კალციუმს, ის სამივე სახეობის მოცხარში თითქმის ერთნაირი რაოდენობითაა. აღსანიშნავია, რომ ნაყოფში 1000-ჯერ მეტი ანტიოქსიდანტია [1].

შავი მოცხარის სახეობა გამოირჩევა C ვიტამინის მაღალი შემცველობით (99–417 მგ % ნედლ მასაზე). მაღალია ასკორბინის მჟავას შემცველობა მცენარის სხვა ნაწილშიც: ფოთლებში (მოსავლის აღების შემდეგ) – 470 მგ %-მდე, კვირტებში – 450 მგ %-მდე, ყვავილებში – 270 მგ %-მდე [10, 16, 18, 19].

ნაყოფში გვხვდება B ვიტამინი (0,03–0,4 მგ %), P ვიტამინი (500–1200 მგ %), A პროვიტამინი (90,1–0,7 მგ %), ფოლაცინი (6 მგ %), ბიოტინი (2,4 მგ %), E ვიტამინი (0,72 მგ %).

B<sub>2</sub> და PP ვიტამინების შემცველობა მოცხარში, შესაბამისად, 0,03 და 0,2 მგ %-ია. შავ მოცხარში, წითელთან შედარებით, ბევრია P აქტიური ნივთიერებები (500–1200 მგ%). წითელ მოცხარში მისი შემცველობა 1081,7 მგ %-ს შეადგენს. შავ მოცხარში ასევე გვხვდება ცინგის დაავადებისაგან დამცავი ბუნებრივი საშუალება – O ვიტამინი, ამიტომ მეზღვაურებსა და შორეული ჩრდილოეთის ექსპედიციის მუშაობს ყოველთვის თან მიჰქონდათ ან შავი მოცხარი, ან მისგან დამზადებული წვენები, ჯემი და სხვა კონსერვები [10, 16, 18, 19 და სხვ.]. უნდა აღინიშნოს, რომ მოცხარის სამივე სახეობა იძლევა 8 % ნარჩენს.

წითელ მოცხართან შედარებით მაღალია შავი მოცხარის ენერგეტიკული დირებულება – 40 კკალ (167 კჯ) [6–8].

შავი მოცხარის ნაყოფი გამოიყენება გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ; გარდა ამისა, მას ხმარობენ აპათიის, აგრესიის, დაღლილობისა და ძილის დარღვევის შემთხვევაში; სასარგებლო ორგანიზმის ტონუსის ასაწევად, ნერვული სისტემის ფუნქციონირების მოსაწესრიგბლად და საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; ჰიპერტონიის, ანემიის, რევმატიზმის, დიათეზის, ხველების, თვალის, ყელისა და თირკმელების დაავადების, გაციების, ეგზემის ზოგიერთი ფორმის დროს; ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებასა და სხვ. [11, 19, 20].

კენკრის შენახვა შეიძლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რაც ზამთრის პერიოდში კარგი განხწყობილების საწინდარია.

სახალხო მედიცინაში მოცხარის ნაყოფი რეკომენდებულია კუჭ-ნაწლავის დაავადებებისა და გულის არითმის დროს.

ფოთლები და კვირტები საუკეთესო შარდმდენი და სადეზინფექციო საშუალებაა. მათში არსებული ანტიოქსიდანტები ეწინააღმდეგება ტგინის უჯრედების ასაკობრივ დარღვევას, ე. ი. აუმჯობესებს მეხსიერებას.

მოცხარი ადვილად ეგუება კლიმატს. რაც უფრო მკაცრი კლიმატის პირობებში იზრდება მცენარე, მით უფრო ბევრი სასარგებლო ნივთიერება გროვდება მის ნაყოფში.

კვლევებმა ცხადყო, რომ შავი მოცხარის ნაყოფი საუკთესო საკვებია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის. იგი თავის კვებით დირებულებას ინარჩუნებს დაკონსერვების დროსაც. ნაყოფი გამოიყენება როგორც ნედლი, ისე გადამუშავებული სახით. მისგან მზადდება კისელი, სიროფი, ლიქიორი, მურაბა; განსაკუთრებული გემოს, ფერისა და არომატის დვინო და სხვ. ვიტამინების შესანარჩუნებლად რეკომენდებულია შაქრით შენახვა (თერმული დამუშავების გარეშე). ამ დროს C ვიტამინის შემცველობა უკეთაა შენარჩუნებული, ვიდრე მურაბაში.

მცენარის ფოთლები მდიდარია კაროტინით, ფიტონციდებით და ეთერზეთებით. ფოთლები შეიცავს 0,7 %-მდე ეთერზეთებს და გამოიყენება სასმელებსა და ლიქორებში, ახალგაზრდა ფოთლები – დიეტურ სალათებში, ხოლო მშრალი ფოთლები – ჩაის ნაყენის დასამზადებლად [3, 11, 12, 20 და სხვ.]; გამოიყენება ასევე როგორც დამხმარე საშუალება ანტიბიოტიკების აქტიურობის ასამაღლებლად. ეფექტურია ანემის, ხველის, დიარეის, რევმატიზმის, თირკმელში ქვების, ათეროსკლეროზისა და სხვადასხვა ინფექციური დაავადებების შემცველობით.

бис შემთხვევაში, თუმცა კუჭის წყლის დაფადებებისა და გასტრიტის დროს მისი მიღება არ არის რეკომენდებული [20].

## დასკვნა

კვლევებით დადგენილია, რომ როგორც შავი, ისე წითელი მოცხარი თავისი ხარისხით მაჩვენებლებით (ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები და ქიმიური შედგენილობა) საშუალებას იძლევა წარმატებით იქნეს გამოყენებული სამცურნალწამლო და კვების მრგველობაში.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Гореликова Г. А. и др. Использование системного подхода при обогащении пищевых продуктов незаменимыми микронутриентами //Пищевая промышленность, N11, 2003, с.70-73.
2. Базанов Н. А. Химико-технологическое исследование ягод черной смородины. Автореферат диссерт. на соиск. уч. степени канд. технич. наук. М., 1962.
3. The Cambridge World History of Food. by Kenneth F. Kiple and Kriemhild Conee Ornelas (Editors) Cambridge University Press. Vol. 2, 2000, pp. 1731-1732.
4. ქ. გელაშვილი გ. კაიშაური. გარეული ხილის ქიმიური შედგენილობის შესწავლის შედეგები. საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის, საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკადემიისა და საქართველოს სახელმწიფო სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო მრომათა კრებული „აგრარული მეცნიერების პრობლემები“, გ. 1X. თბ., 2000, გვ. 124-127.
5. Хотивари А. В. и др. Пищевые продукты лечебно-профилактического назначения для детей //Хран. и перераб. с/х сырья №11, 2004, с. 47-48.
6. Химический состав пищевых продуктов. Справочные таблицы содержания основных пищевых веществ и энергетической ценности пищевых продуктов /Под ред. Покровского А. А. М.: Пищевая промышленность. 1976, с. 80-81, 192.
7. Химический состав пищевых продуктов. Справочные таблицы содержания аминокислот, жирных кислот, витаминов, макро- и микроэлементов, органических кислот и углеводов /Под ред. Нестерина М. Ф. и. Скурихина И. М. М.: Пищевая Промышленность, 1979, с. 97, 101, 103, 105.
8. Химический состав пищевых продуктов. Кн. 2. Справочные таблицы содержания аминокислот, жирных кислот, витаминов, макро- и микроэлементов, органических кислот и углеводов /Под ред. Скурихина И. М. и Волгарева М. Н., 2-е изд., перераб. и доп. М.: Агропромиздат, 1987, с. 153, 157, 159.
9. ლ. ხინდიანი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. გ. 7. თბ., 1984. გვ. 154; გ. 5, თბ., 1980. - 468 გვ.
10. Ягудина С. И. Смородина. Ташкент: “Фан” Узбекской ССР. 1976, с. 21, 45, 49.
11. [www.diagnos-online.ru](http://www.diagnos-online.ru)
12. Губанов И. А. и др. Дикорастущие полезные растения СССР. Справочники-определители географа и путешественника (отв. ред. Работнов Т. А.). М.: Мысль, 1976. - 360 с.
13. Артюшенко З.Т., Фёдоров Ал. А. Ягода. Атлас по описательной морфологии высших растений. Плод /АН СССР; Бот. ин-т им. В. Л. Комарова. Л.: Наука, Лен. отд, 1986, с. 79-81.

14. Большая советская энциклопедия (гл. ред Прохоров. А. М.). 3-е изд. М.: Сов. Энцикл., (1969-1978).
15. Хранение ягод черной смородины. Методические рекомендации. Новосибирская плодово-ягодная опытная станция им. И. В. Мичурина. Новосибирск. 1981, с. 3-4, 8.
16. Скурихин И. М., Нечаев А. П. Все о пище с точки зрения химика. М.: Высш. школа, 1991. - 288 с.
17. Шалпыков К. Т., Бейшенбеков М. А. Рекомендации по уходу за смородиной в фермерских хозяйствах. Бишкек, 2010. - 32 с.
18. Говорова Г. Ф. Ягодные культуры. Краснодар: Краснод. книжн., 1966, с. 146-147.
19. Бруйло А. С., Шешко П. С. Лекции по ягодным культурам. Гродненский Государственный Аграрный Университет, кафедра плодоовощеводства и луговодства. 2001.
20. Блинова К. Ф. и др. Ботанико-фармакогностический словарь: Справ. пособие Под ред. Блиновой К. Ф., Яковлева Г. П.). М.: Высш. школа, 1990. - 238 с.
21. ۋەرەمەسىلە ئۆزبېڭلە ئەڭجىلىقەنە.

**COMPARATIVE CHARACTERISTIC OF TYPES OF CurrANT**

**G. Kaishauri, M. Ghirsashvili**

(Biotechnological Center of Georgian Technical University)

**Resume:** This work contains data on wild berries, in particular currants. There is determined the data on types of currant (red, black, white) and also products from them. Data on the botanical and chemical characteristic, the useful and medicinal properties of types.

It is established, that both the red and the black currant according to their qualitative indices (organoleptic indices and chemical composition) give the chance to use them with success both, as treatment, so in industrial processing.

**Key words:** black currant; red currant; the biologically active materials; white currant.

**ПИЩЕВАЯ ТЕХНОЛОГИЯ**

**СРАВНИТЕЛЬНАЯ ХАРАКТЕРИСТИКА ВИДОВ СМОРОДИНЫ**

**Кайшаури Г. Н., Гирсиашвили М. Р.**

(Биотехнологический центр Грузинского технического университета)

**Резюме.** Работа содержит данные о диких ягодах, в частности смородины. Приведены сведения о видах смородины (красной, черной, белой) и продукции из них. Рассмотрены данные о ботанической и биохимической характеристике, полезных и лечебных свойствах видов.

Установлено, что как красная, так и черная смородина своими качественными показателями (органолептические показатели и химический состав) дают возможность с успехом использовать как для лечения, так и для промпереработки.

**Ключевые слова:** биологически активные вещества; белая смородина; красная смородина; черная смородина.

## ჰიდარბის მაქოს ტესტირების მეთოდოლოგიური საფუძვლები

### ედიშერ მაჩაიძე

(საქართველოს ფიზიკური აღმოჩენისა და სპორტის სახელმწიფო სახალხო უნივერსიტეტი)

**რეზიუმე:** განხილულია ჭიდაობის მაქოს ტესტირების (WST) სრულყოფის (განვითარების) საკითხი, რომელიც დაფუძნებულია ოთხ ძირითად ელემენტზე. პირველი გულის ჭიდაობის მაქოს ტესტირებას (WST) ლიცენზირებული ჭიდაობის ლეიბის რეგულირებულ ზედაპირზე. მისი მართვა ხორციელდება ჭიდაობის ჩატარების ტიპურ ადგილას მწვრთნელის მიერ ან საზომი ხელსაწყოთი; მეორე – მოძრაობებს ოთხი სხვადასხვა მიმართულებით ლეიბის მთელ ზედაპირზე ჭიდაობის სპეციფიკური მუდმივი მოძრაობების ჩათვლით (დაცვა ნაბიჯის გადადგმის მეშვეობით). მესამე – შემოწმებას, დაფუძნებულს მატჩის მიმდინარეობის იმ დროზე, რომელიც შეესაბამება აქტიურობის ორი 3 წთ-იანი პერიოდის მატჩის ხანგრძლივობას 30 წთ-იანი შესვენების პერიოდით. ეს დრო განსაზღვრულია გაერთიანებული მსოფლიოს ჭიდაობის (UWW) წესების მიხედვით; მეოთხე – მაქოს ტესტირებას, რომელიც ფოგუსირებულია მონაწილის ინდივიდუალურობაზე, ანუ შედეგი მიიღწევა პარტნიორის ან სხვა პირების გარეშე, მხოლოდ მონაწილის ინდივიდუალური ძალისხმევით.

**საკვანძო სიტყვები:** გარკვეული მოძრაობის შემოწმება (ტესტი); მეტაბოლური მოთხოვნები; მოჭიდავები; ორთაბრძოლების სპორტი; ჭიდაობის მაქოს ტესტირება.

### შესავალი

გაერთიანებული მსოფლიოს ჭიდაობა (UWW) [2, 3] არის მსოფლიოს მმართველი ორგანიზაცია ოლიმპიური ჭიდაობის სახეობებისათვის და იგი ზედამხედველობას უწევს ისეთ საერთაშორისო სანქციონებულ ღონისძიებებს, როგორიცაა ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო ჩემპიონატი, მსოფლიოს თასი და სხვა საერთაშორისო შეჯიბრები სამ აღიარებულ სტილზე მამაკაცებისა და ქალებისათვის (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა და ქალთა ჭიდაობა). თავის ვალდებულებებიდან გამომდინარე, გაერთიანებული მსოფლიოს ჭიდაობა (UWW) 2016 წლიდან [4] ადგენს და ავრცელებს საერთაშორისო წესებს ჭიდაობის თითოეული სახეობისათვის. საერთაშორისო ჭიდაობის მატჩები შედგება ორი 3 წთ-იანი პერიოდისაგან თითოეულ პერიოდს შორის შესვენების 30 წმ-იანი ინტერვალით. მატჩი წარმართება 9 მ დიამეტრის ქონე მრგვალი ლეიბის ზედაპირზე.

წინასწარმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ელიტარულ მოჭიდავეებს აქვთ მაღალი აერობული და ანაერობული შესაძლებლობები, რომდებიც ძირითადი ფიზიოლოგიური კომპონენტებია დიდებული ჭიდაობისათვის. ათლეტების მეტაბოლური მოთხოვნების ლაბორატორიული ტესტირება ფართოდაა გავრცელებული [7], თუმცა ნაკლებად პოპულარულია სიძვირისა და მოუხერხებული მართვის გამო, რადგან საჭიროებს სპეციალურ მოწყობი-

ლობას. ლაბორატორიული ტესტირების პროცესოდები ასევე ხშირად იყენებენ ველოსიპედს ან სარბენ ბილიკებს აქტიურობის (ენერგიის) გასაზომად. ეს ტესტირება უფრო შესაფერისია მძლეოსნობის და ველოსიპერტის ან მსგავსი სპორტული სახეობებისათვის. ლაბორატორიული კვლევების შეზღუდვა არის შედეგების დასაბუთება, რომლებიც დაკავშირებულია სპორტულ გარემოში რეალური ცხოვრების დინამიკურ მოძრაობებსა და აქტიურობებთან. სპორტის ზოგიერთ სახეობაში გამოიყენება საველე ტესტები მათი შესაბამისი პრაქტიკის გათვალისწინებით და შეჯიბრის აღგილების სწორად შერჩევის ჩათვლით – მოედანზე (მიწაზე ან სპორტული დარბაზის იატაკზე), სარბენ ბილიკზე, ყინულის მოვდანზე, ჭილოფის (იაპონური ტრადიციული იატაკის საფარი) ლეიბებზე. საველე ტესტირებას ლაბორატორიულ გამოკვლევებთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობები აქვს: მარტივია მართვისათვის, იაფია და თანაც უფრო სპეციფიკური; ამასთან, მათი ჩატარება შესაძლებელია მთელი სეზონის განმავლობაში სპორტსმენების პროგრესის საჩვენებლად. ამჟამად არ არსებობს ჭიდაობის სპეციფიკური მოძრაობებით შედგენილი შეფასების ინსტრუმენტი, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს მოჭიდავის სიძლიერე (მომზადების დონის სტანდარტი) ჭიდაობის ლეიბზე. მოჭიდავეს მოეთხოვება კარგი ფიზიკური მომზადება. განსაკუთრებული უურადრება ექცევა ისეთ ფიზიკურ კომპონენტს, როგორიც არის სიმძლავე, სისწრაფე, ენერგია. ასევე მნიშვნელოვანია მომზადება აერობულ და ანაერობულ ენერგეტიკულ სისტემებში. მოჭიდავები მატჩის დროს მოძრაობენ სხვადასხვა მიმართულებით, რაც დამოკიდებულია შეტევისა და დაცვის მოქმედებებსა და რეაქციებზე, გამოყენებულ ტაქტიკასა და მოჭიდავების ინდივიდუალურ სტილზე [5, 6]. ჭიდაობის მოძრაობები მოიცავს მოძრაობას წინ, უკან და გვერდზე (დაცვა ნაბიჯის გადადგმის მეშვეობით). ასეთი დაცვა მოჭიდავეს აძლევს მოკლე წრიული მოძრაობების შესრულების საშუალებას, როთაც ხშირად ქმნის შეტევის კუთხეს ან იცავს თავს თანხენტისაგან. დაცვა ნაბიჯის გადადგმის მეშვეობით თავიდან აცილებს სპორტსმენს ფეხების გადაჯვარედინების საფრთხეს და ჭიდაობისას ეხმარება სტანდარტი პოზიციის შენარჩუნებაში.


## ძირითადი ნაწილი

ჭიდაობის მაქოს ტესტირება (WST) შეიქმნა სპეციალურად ჭიდაობისათვის და დაფუძნებულია სპორტისათვის განსაზღვრულ ოთხ ძირითად ელემენტზე:

1. **ჭიდაობის ლეიბი.** ჭიდაობის მაქოს ტესტირება სრულდება ჭიდაობის ლეიბის ზედაპირზე, რაც მისაღებ და ცნობილ გარემოს ქმნის ჭიდაობაში ვარჯიშის ჩატარებისათვის. იგი უზრუნველყოფს პრაქტიკულ და ხელსაყრელ ადგილს ტესტირებისთვის, რაც კარგად ცნობილია მონაწილეებისათვის. მონაწილე-მოჭიდავეს ასევე შეუძლია შეასრულოს მაქოს ტესტირება ჭიდაობის სპეციალური ფეხებაცმლის საშუალებით, რაც მას უფრო რეალურსა და სპორტულს ხდის. ჭიდაობის მაქოს ტესტირების შესრულება მარტივადაა შესაძლებელი ასევე რეგულარული ვარჯიშის დროს მცირე მოწყობილობის გამოყენებით. საჭიროა მხოლოდ ტაიმერი/საათი, კალამი და ქაღალდი. ტესტირებაში მონაწილეობს ორი ადამიანი – აღმრიცხველი, რომელიც ინიშნავს შესრულებული მოძრაობების რაოდენობას და, შესაბამისად, გავლილ მანძილს, და ასისტენტი, რომელიც ამოწმებს და პერიოდულად აცხადებს დარჩენილ დროს, რომელსაც შეუძლია გახდეს ასევე მონაწილის მოტივატორი. ამ ტესტის ჩატარებისათვის არ არის აუცილებელი სპეციალური მომზადება, საჭიროა მხოლოდ იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ტესტირება.

ჭიდაობის მაქოს ტესტირებისას საჭიროა ჭიდაობის ლეიბზე მოძრაობა შესრულდეს ოთხი მიმართულებით (მოძრაობა წინ, უკან, ნაბიჯის გადადგმა მარცხნივ, მარჯვნივ).

თითოეული მოძრაობა სრულდება ლეიბის ცენტრალური წრიდან 4 მის სიგრძეზე. მონაწილეებმა უნდა შეძლონ რაც შეიძლება მეტი მოძრაობის შესრულება მაქოს სიგრძის მუდმივი განმეორებით ორ 3 წთ-იანი პერიოდში 30 წმ-იანი შესვენებით პერიოდებს შორის (ნახ. 1). ხილულ დროის საათზე მაგრდება ხმოვანი სირენა, რომელიც ამოქმედდება დროის გასვლისთანავე. ექსპერიმენტის დროს მაქოს მიერ გავლილი სიგრძეების საერთო რაოდენობა იყო ჩაწერილი და მხოლოდ ბოლო, შეუსრულებელი სიგრძე ითვლება სრულად დროის გასვლის შემდეგ.



ნახ. 1. ჭიდაობის მაქოს ტესტირების პროცედურა

მონაწილეს უწერენ შესრულებული მაქოს სიგრძის (4 მ) რაოდენობას. მონაწილის მიზანია შეასრულოს რაც შეიძლება მეტი მაქოს სიგრძე ციკლის წრის გამეორებების მეშვეობით; მაგალითად, სიგრძე 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8; 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8; 1, 2, ... და ა. შ. სიგრძე 1: A-დან B-მდე. საწყისი წერტილიდან (A) მონაწილე გაირჩენს ცენტრალურ წრემდე (B); სიგრძე 2: B-დან C-მდე. ცენტრალური წრიდან (B) მონაწილე გადადგამს ნაბიჯს მარჯვნივ ლეიბის გარე მხრიდან (C); სიგრძე 3: C-დან B-მდე. ლეიბის გარე მხრიდან (C) მონაწილე გადადგამს ნაბიჯს მარცხნივ ცენტრალური წრის (B) მიმართულებით; სიგრძე 4: B-დან A-მდე. ცენტრალური წრიდან (B) მონაწილე უკან დაბრუნდება საწყის წერტილში (A); მონაწილე გაიმეორებს იგივე ნახაზს ლეიბის მეორე მხარეს, შემდეგნაირად: სიგრძე 5: A-დან B-მდე. საწყისი წერტილიდან (A) მონაწილე გაირჩენს ცენტრალურ წრემდე (B); სიგრძე 6: B-დან D-მდე. ცენტრალური წრიდან (B) მონაწილე გადადგამს ნაბიჯს მარცხნივ ლეიბის გარე მხრიდან (D); სიგრძე 7: D-დან B-მდე. ლეიბის გარე მხრიდან (D) მონაწილე გადადგამს ნაბიჯს მარჯვნივ ცენტრალური წრის (B) მიმართულებით; სიგრძე 8: B-დან A-მდე. ცენტრალური წრიდან (B) მონაწილე უკან ბრუნდება საწყის წერტილში (A). მონაწილე გაიმეორებს და გააგრძელებს მოძრაობას ზემოაღნიშნული ნახაზის მიხედვით ჭიდაობის მაქოს ტესტირების განმავლობაში (ორი 3-წთ-იანი პერიოდი 30 წმ-იანი შესვენებით პერიოდებს შორის). აღმრიცხველი თვალს ადუვნებს 1-ლი და მე-2 პერიოდების განმავლობაში გავლი-

ლი მაქოს სიგრძის რაოდენობას და აჯამებს საერთო შეფასებისთვის. ასევე ბოლო 30 წმინდა პერიოდების დროს სიგრძის რაოდენობას ინიშნავს ასისტენტიც;


**2. ჭიდაობის სპეციალური მოძრაობები.** მაქოს ბეჭრ ტესტირებაში გამოიყენება მხოლოდ მოძრაობა წინ (როგორც მთავარი მოქმედება) შეჩერებით, მობრუნებით და ჭიდაობის დაწყებით. ჭიდაობის მაქოს ტესტირება მოიცავს ჭიდაობისათვის დამახასიათებელ ისეთ მოქმედებებს, როგორიცაა მოძრაობა გვერდზე და ტრიალით უკან მოწინააღმდეგებულ შემოვლით. ნაბიჯის გვერდზე გადადგმა (Side-stepping) არის მნიშვნელოვანი მოძრაობა ჭიდაობაში, რადგან ის მოჭიდავებს საშუალებას აძლევს გადაადგილდეს მოწინააღმდეგის მიმართულებით, ანუ მოძრაობს „კვადრატულად“, რათა შეინარჩუნოს მოწინააღმდეგებულ შემდეგ დისტანციისა და კონტროლის არეში. ბეჭრი მოძრაობა ლეიბზე მოკლე დისტანციისა და მუდმივად მეორდება.

გვერდზე ნაბიჯის გადადგმისას მონაწილე იწყებს მოძრაობას გვერდითი მიმართულებით – როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ. კ. ი. იგი მოძრაობს მოდიფიცირებული პოზიციით. ოდნავ წინ დახრილი პოზიციიდან ნაბიჯის გადადგმა ხდება გვერდზე წამყვანი ფეხით მოძრაობის მიმართულებით, შემდგომ – უკანა ფეხით. ამის შემდეგ სწრაფი ხტომითი მოძრაობით მონაწილე ცდილობს კვლავ დაუბრუნდეს მოდიფიცირებულ მდგომარეობას.

ასე რომ, გვერდულად გადაადგილებისათვის საჭიროა აღნიშნული მოძრაობის მუდმივად გამეორება.

გაგაცნობთ რჩევების ძირითად პუნქტებს:

- ეცადეთ შეინარჩუნოთ მოდიფიცირებული პოზიცია ოდნავ წინ დახრილი მდგომარეობით და ასევე ოდნავ ჩაკეცილი მუხლებით. ეს დაგეხმარებათ სტაბილური საბაზისო პოზიციის შენარჩუნებაში;
- არ მოახდინოთ ფეხების (კოჭების) გადაჯვარედინება იმისათვის, რომ თავი აარიდოთ მოდიფიცირებული პოზიციიდან გასვლას (ნახ. 2).
- დარჩით „მსუბუქი“ ფეხზე წონით ქუსლებიდან.



ნახ. 2. ფეხების გადაჯვარედინების შეზღუდვა

გვერდზე ნაბიჯის გადადგმის მოძრაობები სპორტსმენს იცავს ფეხების გადაჯვარედინებისაგან, როდესაც ისინი აგრძელებენ ნაბიჯის გადადგმას გვერდითი მიმართულებით (მარცხნივ ან მარჯვნივ). ამ გამოკვლევაში სწორედ ნაბიჯის გვერდზე გადადგმის მოძრაობები იყო აღნიშნული, როგორც ჭიდაობის ერთ-ერთი ძირითადი მუდმივი მოძრაობები;

**3. გაერთიანებული მსოფლიოს ჭიდაობის (UWW) სპეციფიკაცია.** ჭიდაობის მაქოს ტესტირება იყენებს გაერთიანებული მსოფლიოს ჭიდაობის სტანდარტით განსაზღვრულ (9 მ დიამეტრის მქონე წრე) ჭიდაობის ლეიბს [1, 4]. თოთოეული მაქოს სიგრძე (4 მ ცენტრალური წრიდან) შესაძლებელს ხდის მონაწილეობის დაფაროს დისტანცია ცენტრალური წრიდან ლეიბის გარე საზღვრამდე. ზოგიერთი საველე ტესტისაგან განსხვავებით, მაგალითად, როდესაც მონაწილეებმა უნდა დაფარონ დისტანცია 12 წთ-იანი სირბილით, ჭიდაობის მაქოს ტესტირებას აქვს მოკლე მაქოს სიგრძე (4 მ), რაც სწრაფი მოძრაობის შესრულებას განაპირობებს. გაერთიანებული მსოფლიოს ჭიდაობის ლეიბის გამოყენება ტესტირების დროს სტანდარტიზაციისა და შეთანხმებულობის საშუალებას იძლევა.

ჭიდაობის მაქოს ტესტირების მიმდინარეობის დრო სტანდარტული მატჩის ხანგრძლივობის იდენტურია და ორი 3 წთ-იანი პერიოდისაგან შედგება 30 წმ-იანი შესვენებით პერიოდებს შორის. გაერთიანებული მსოფლიოს ჭიდაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჭიდაობის მაქოს ტესტირების ჩატარება ზოგადად სპორტში მიღებული მეთოდია;

**4. ინდივიდუალურობა.** ჭიდაობის მაქოს ტესტირების ინდივიდუალური ფოკუსირება მონაწილეს უზრუნველყოფს უშუალოდ პერსონალური შედეგებით. ეს მეთოდი გამორიცხავს პარტნიორზე დამოკიდებულებას, რაც შეუსაბამობის ნებისმიერი რისკის თავიდან აცილების გარანტია სხვებთან (მოწინააღმდეგესთან) კონტაქტის დროს. ცალკეულ მონაწილეს ასევე შეუძლია უზრუნველყოს თავისი საუკეთესო პირადული ძალისხმევა და მოტივაცია, რაც მნიშვნელოვანია მთელი ტესტირების პერიოდში, კერძოდ, ჭიდაობის მაქოს ტესტირების ბოლო 30 წმ-ის განმავლობაში.

გამოკვლევის მთავარი მიზანი იყო ჭიდაობის მაქოს ტესტირების სრულყოფა და განვითარება. კვლევისას გამოყენებულ იქნა ჭიდაობისთვის დამახასიათებელი მოძრაობები, რაც შესასრულებლად ადვილია და მოხერხებული ტიპური ჭიდაობის პროგრამის ფარგლებში. ტესტირების რეჟიმი ერთდროულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორი მონაწილის შემოწმების საშუალებას იძლევა, თუ ისინი ლეიბის ნახევარ ზედაპირს იკავებენ. ტესტირების რეჟიმის შეცვლით ასევე შესაძლებელია ერთდროულად ოთხი მონაწილის შემოწმება ლეიბის მეოთხედის გამოყენებით და ყოველი მაქოს სიგრძის დისტანციის შენარჩუნებით. ამისათვის, სიგრძე 6 და 7 გაიმეორებს სიგრძეს 2 და 3 (ნახ. 1). ეს შეამცირებს მონაწილეთა დიდი ჯგუფის ტესტირების ჩატარების დროს.

3 წთ-იანმა სრულმა ტესტირებამ შესანიშნავად გამოავლინა აერობული და ანაერობული შესაძლებლობები. ბოლო 30 წმ-ის საშუალო სიჩქარე არის კრიტიკული სიმძლავრის მაჩვენებელი. ჭიდაობის მაქოს ტესტირების 3 წთ-იანი პერიოდები ემთხვევა 3 წთ-იან ტესტირების დროს, რაც სამომავალო კალეგის გაგრძელების საფუძველს იძლევა; კერძოდ, უნდა შევასდეს აერობული და ანაერობული შესაძლებლობები შეჯიბრების ბოლო 30 წმ-ის განმავლობაში. ჩაწერილი მაქოს სიგრძის რაოდენობის მიხედვით შეიძლება დაზუსტდეს მონაცემები მონაწილის შესაძლებლობების შესახებ, რადგან ის დატვირთულია ანაერობულ სისტემაზე. გარკვეული რაოდენობის ტესტირებაზე დაყრდნობით და ინდივიდუალური ძირითადი სტანდარტების შემუშავებით მოხდება იმის განსაზღვრა, თუ როგორ მიმდინარეობს სპორტსმენის პროგრესი სეზონის განმავლობაში.

როდესაც გამოკვლევა უტარდება მხოლოდ მონაწილეს, ჭიდაობის მაქოს ტესტირების ინდივიდუალური ხასიათიდან გამომდინრე, გამორიცხულია ნებისმიერი არასწორი მოქმედება პარტნიორის ან ოპონენტის მხრიდან, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს უთანხმოება წინააღმდეგობის ან თანამშრომლობის პროცესში. ჭიდაობის მატჩები თავად ვერ უზრუნველყოფს ინტენსიურობის ზუსტ მაჩვენებლებს, რადგან მათზე გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი; მაგალითად, ოპონენტის მომზადების დონე, ტაქტიკა, ტექნიკის გამოყენება და ა. შ. ინდივიდუალური მოტივაცია ჭიდაობის მაქოს ტესტირების კარგი შესრულებისათვის არგუმენტირებულია ერთი პირის ინდივიდუალური და მაქსიმალურად საიმედო მოქმედებით და პირადი მონაცემების უზრუნველყოფით; ასევე შესაძლებელია ასისტენტის

ჩანაწერით, რომელსაც შეუძლია წაახალისოს და გარკვეული მოტივაცია მისცეს მონაწილეს ჭიდაობის მაქოს ტესტირების შესრულების დროს. მონაწილის მოტივაცია ბოლომდე მოქმედებისათვის შეიძლება ასახულ იქნეს მაქოს სიგრძის რაოდენობით მატჩის ბოლო 30 წმ-ის განმავლობაში.

მომავალში საჭიროა ჩვენი ქვეყნის ფარგლებში რეგიონების მიხედვით მოჭიდავეების შესახებ კიდევ ბევრი სხვა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, რითაც შესაძლებელი იქნება მათი მსგავსების ან განსხვავების დადგენა. რადგან ჭიდაობა ითვალისწინებს სხვადასხვა ასაკისა და წონის მიხედვით მამაკაცებისა და ქალების კატეგორიებად დაყოფას, იქმნება დამატებითი გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობა, რაც უზრუნველყოფს ადგვატურ შეფასებას, მაგალითად, მსუბუქი და მძიმე წონის კატეგორიის მოჭიდავეთა სხვაობის ან სქესთა შორის სხვაობის შესახებ. გარდა ზემოაღნიშნულისა, უმაღლესშედეგიანი ან კონკურენტუნარიანი მოჭიდავის დონის დამატებითი განხილვის დროსაც შესაძლებელია მათზე მრავალი ახალი სასარგებლო ინფორმაციის მოპოვება. შემდგომი და განმეორებითი ტესტირებების ჩატარება საჭიროა იმისათვის, რომ შემოწმდეს ჭიდაობის მაქოს ტესტირების სანდოობა.

## დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩატარებულ გამოკვლევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სპორტსმენებისა და ინსტრუქტორებისათვის. ჭიდაობის მაქოს ტესტირება შეიძლება ადვილად შესრულდეს ნორმალური სპეციფიკური ვარჯიშების დროს მცირე დარღვევითაც კი. მისი გამოყენება შესაძლებელია აგრეთვე ტრენინგისთვისაც და დამოკიდებულია მის განსაზღვრულ მიზანზე. მაგალითად, ტესტირება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ვარჯიში, რომელიც ფოკუსირებულია ფეხების მოძრაობებზე. არსებული საბრძოლო სპორტის სახეობებიდან ჭიდაობა არის ერთ-ერთი გამორჩეული, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურად თითოეული თავისებურად სპეციფიკური და უნიკალურია, თუმცა აქვთ საერთო მახასიათებლები, მსგავსი შესრულებისა და ტექნიკის მანერა, მაგალითად, მიუდოში, სამბოში და ჯიუ-ჯიუცუში.

ჭიდაობის მაქოს ტესტირება შეიძლება განხორციელდეს საბრძოლო სპორტის სხვა სახეობებში და ადვილად იქნეს გამოყენებული სავალე ტესტირების დროს ჭიდაობის ლეიბის მსგავს ზედაპირზე.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. <http://www.unitedworldwrestling.academy>
2. <http://www.unitedworldwrestling>
3. <http://www.wrestling.ge>
4. United World Wrestling. (2016). International Wrestling Rules. 1-41
5. გიორგი თუმანიანი. სპორტული ჭიდაობა. თბ., 1984.
6. ივანე ალიხანოვი. თავისუფალი ჭიდაობის ტექნიკა და ტაქტიკა. მ., 1986.
7. ზურაბ კახაბრიშვილი. მაღალი კვალიფიკაციის მოჭიდავეების საწვრთხო პროცესის სამედიცინო საფუძვლები, თბ., 2005 წელი.

**METHODOLOGICAL DEVELOPMENT OF WRESTLING SHUTTLE TEST****E. Machaidze**

(Georgian State Teaching University of Physical Education and Sport)

**Resume:** There is discussed the question of improvement (development) of a wrestling shuttle test (WST), based upon four elements. Firstly, the WST is conducted on a regulation wrestling mat surface. It is convenient to administer in a typical wrestling venue by a coach or tester. Secondly, the WST includes movements in four different directions across the entire mat surface including wrestling-specific standing movements (side- stepping). Thirdly, the test is based on the match duration consistent with the duration of two three-minute periods of activity with a 30 second rest period. This duration is defined consistent with United World Wrestling (UWW) rules of match duration. Fourthly, the shuttle test is focused on the individuality of the participant, that is, without a partner or others, to ensure results are solely of the participant's individual effort.

**Key words:** metabolic demands; single combat sport; specific movement test; sport of martial art; wrestlers, wrestling shuttle test.

**МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ТЕСТИРОВАНИЯ ЧЕЛНОЧНОЙ БОРЬБЫ****Мачайдзе Э. П.**

(Грузинский государственный учебный университет физического воспитания и спорта)

**Резюме.** Рассмотрен вопрос совершенствования (развития) тестирования челночной борьбы (WST), которая основана на четырех основных элементах. Первый элемент подразумевает тестирование челночной борьбы (WST) на регулируемой поверхности лицензированного мата для борьбы. Ее управление осуществляется тренером или измерительным прибором на месте, типичным для проведения борьбы. Второй элемент подразумевает движения по четырем различным направлениям по всей поверхности мата, включая специфические постоянные движения борьбы (защита шагом в сторону). Третий элемент подразумевает проверку, основанную на то время продолжительности матча, которое соответствует двум 3-х минутным периодам активности с 30 секундным периодом отдыха. Это время определено в соответствии с правилами Объединенного Мира Борьбы (UWW). Четвертый элемент - челночное тестирование, которое сфокусировано на индивидуальности участника, т.е. результат достигается без партнера или других лиц, только благодаря индивидуальным усилиям участника.

**Ключевые слова:** борцы; единоборство; метаболические потребности; проверка (тестирование) определенных движений; тестирование челночной борьбы.

## ავტორთა საყურადღებოდ

ქართულენოვანი მრავალდარგობრივი სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ არის პერიოდული გამოცემა და გამოდის წელიწადში სამჯერ.

1. ავტორის/ავტორთა მიერ სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს მთავარი რედაქტორის სახელზე ქართულ ენაზე და თან ახლდეს:

- აკადემიის წევრის, წევრ-კორესპონდენტის ან კოლეგიის წევრის წარდგინება ან დარგის სპეციალისტის რეცენზია (ორი მაინც);
- რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე;
- ცნობები ავტორის/ავტორების (მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს) შესახებ; მითითებული უნდა იყოს ავტორის/ავტორების გვარი, სახელი, მამის სახელი (სრულად), დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ბინისა და სამსახურის მისამართები, E-mail, სამეცნიერო წოდება და საკონტაქტო ტელეფონები (ბინის, სამსახურის), მობილური;
- შაპ (უნივერსალური ათობითი კლასიფიკაცია) კოდი.

2. სტატია ამობეჭდილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცელზე. მოცულობა ფორმულების, ცხრილებისა და ნახატების (ფოტოების) ჩათვლით არ უნდა იყოს ხუთ გვერდზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 15 ნაბეჭდ გვერდს; სტატია შესრულებული უნდა იყოს doc და docx ფაილის სახით (MS Word) და ჩაწერილი ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე. ინტერვალი – 1,5; არეები – 2 სმ; ქართული ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Acadnusx შრიფტით, ინგლისური და რუსული ტექსტები – Times New Roman-ით, ზომა – 12.

3. სტატია გაფორმებული უნდა იყოს შემდეგნაირად:

- რუბრიკა (მეცნიერების დარგი);
- სტატიის სათაური;
- ავტორის/ავტორების სახელი და გვარი (სრულად);
- სად დამუშავდა სტატია;
- ქართული რეზიუმე და საკვანძო სიტყვები უნდა განთავსდეს სტატიის დასაწყისში, ინგლისური და რუსული რეზიუმეები საკვანძო სიტყვებთან ერთად – სტატიის ბოლოში. საკვანძო სიტყვები სამიერ ენაზე დალაგებული უნდა იყოს ალფაბეტის მიხედვით. რეზიუმე შედგენილი უნდა იყოს 100 – 150 სიტყვისაგან; უნდა ასახავდეს სტატიის ძირითად შინაარსსა და კვლევის შედეგებს (არ უნდა შეიცავდეს ზოგად სიტყვებსა და ფრაზებს); უცხო ენებზე თარგმანი უნდა იყოს ხარისხიანი და ეკრანობოდეს სპეციალურ დარგობრივ ტერმინოლოგიებს;
- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების მონაცემთა ბაზების რეკომენდაციით დამოწმებული ლიტერატურის რაოდენობა სასურველია იყოს ათი და მეტი. ლიტერატურა ტექსტში უნდა დალაგდეს ციტირების თანმიმდევრობის მიხედვით და აღინიშნოს ციფრებით კვადრატულ ფრჩხილებში, ხოლო ლიტერატურის სია უნდა

ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და დაერთოს სტატიას ბოლოში; თან მიეთითოს რო-  
მელ ენაზე იყო გამოქვეყნებული სტატია.

- ნახაზები (ფოტოები) და ცხრილები თავის წარწერებიანად უნდა განთავსდეს ტექ-  
სტილი. მათი კომპიუტერული ვარიანტი უნდა შესრულდეს ნებისმიერი გრაფიკუ-  
ლი ფორმატით;
- რედაქტირებული და კორექტირებული მასალის გამოქვეყნებაზე თანხმობა ავტორ-  
მა უნდა დაადასტუროს ხელმოწერით (რედაქტირებული ვერსია ან სარედაქციო  
კოლეგიის მიერ დაწუნებული სტატია ავტორს არ უბრუნდება).

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: 0108 თბილისი, რუს-  
თაველის გამზირი 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. IV სართული,  
ოთახი 435, ტელ.: 299-58-27.

ელ.ფოსტა: metsn.technol@gmail.com

რედაქტორები: ლ. გიორგობიანი, დ. ქურიძე, მ. პრეობრაჟენსკაია  
კომპიუტერული უზრუნველყოფა ქ. ფხავაძის

გადაეცა წარმოებას 19.09.2018, ხელმოწერილია დასაბუჭიდად 10.12.2018. ქაღალდის  
ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

